**A List of Butterflies with the Perspective Pharmacological Effects**

N	1	2	N	1	2
1	Californian nun butterfly	California Sister (Adelpha seu Limentis bredowii californica)	12	Small Tortoise-Shell Butterfly	Small Tortoiseshell (Nymphalis urticae)
2	Tropical swallowtail “Tailed Jay”	Tailed Jay (Graphium agamemnon)	13	Drinker-Moth	Fox Moth (Macrothylacia rubi)
3	Lilac beauty	Lilac Beauty (Apeira syringaria)	14	Papilio Machaon	PapilioMachaon
4	Mulberry silkworm	Processional Caterpillar (Bombyx processionea)	15	Mulberry silkworm	Bombyx processionea
5	Brown Tail Moth	Brown Tail Moth (Euproctis chrysorrhoea)	16	Processionary Moth	Bombyx chrysorrhoea
6	Brimstone butterfly	Brimstone (Gonepteryx aspasia, G. rhamnii)	17	Californian butterfly	Adelpha (Limenitis) bredowii californica
7	Death’s Head Hawkmoth	Death’s Head Hawkmoth (Acherontia atropos)	18	Tropical swallowtail Gamemnon	Graphiuma gamemnon
8	Blue Morpho	Blue Morpho (Morpho menelaus)	19	Lilac Beauty	Graphiuma Apeira syringaria
9	Peacock butterfly, nymph Io	European Peacock (Inachis io)	20	Peacock-eye	Inachisio
10	Marsh Fritillary Butterfly	Marsh Fritillary (Euphydryas aurinia)	21	Big cabbage white butterfly	Pieris brassicae
11	Cabbage White Butterfly	Cabbage White (Pieris brassicae)	22	Lepidopterous emperor moth	Lomonion oblique

Insects are used and will be used in the treatment of various diseases, as the quite effective sources of new remedies of modern pharmacotherapy and new research works. We shall notice that the most insects, particularly moths and butterflies, have unreliable test reports or incomplete provings, so this family of insects requires collaborative research work of pharmacists and biologists.

**REFERENCES**

- David G. Armstrong, Precious Salas, Brian Short, Billy R. Martin, Heather R. Kimbriel, Brent P. Nixon, and Andrew J. M. Boulton. Maggot Therapy in “Lower-Extremity Hospice” Wound Care. Journal of the American Podiatric Medical Association: May 2005, Vol. 95, No. 3. 254-257. <https://doi.org/10.7547/0950254>
- SR Stoddard, RA Sherman, BE Mason, DJ Pelsang, and RM Sherman (1995) Maggot debridement therapy. An alternative treatment for nonhealing ulcers. Journal of the American Podiatric Medical Association: April 1995, Vol. 85, No. 4, pp. 218-221. <https://doi.org/10.7547/87507315-85-4-218>
- David G. Armstrong, Jeff Mossel, Brian Short, Brent P. Nixon, E. Ann Knowles, and Andrew J. M. Boulton (2002)



Maggot Debridement Therapy. Journal of the American Podiatric Medical Association: July 2002, Vol. 92, No. 7, pp. 398-401. <https://doi.org/10.7547/87507315-92-7-398>

4. G. N. Jukema A. G. Menon A. T. Bernards P. Steenvoorde A. Taheri Rastegar J. T. van Dissel. Amputation-Sparing Treatment by Nature: “Surgical” Maggots Revisited. *Clinical Infectious Diseases*, Volume 35, Issue 12, 15 December 2002, Pages 1566–1571. <https://doi.org/10.1086/344904>
5. Kosta Y. Mumcuoglu, Jacqueline Miller, Michael Mumcuoglu, Michael Friger, Mark Tarshis. Destruction of Bacteria in the Digestive Tract of the Maggot of *Lucilia sericata* (Diptera: Calliphoridae). *Journal of Medical Entomology* 2001. 38(2):161-166.
6. Kosta Y. Mumcuoglu. Clinical Applications for Maggots in Wound Care. *American Journal of Clinical Dermatology*. August 2001, Volume 2, Issue 4: 219–227. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/11705249>
7. Ronald A. Sherman Kathleen J. Shimoda. Presurgical Maggot Debridement of Soft Tissue Wounds Is Associated with Decreased Rates of Postoperative Infection. *Clinical Infectious Diseases*, Volume 39, Issue 7, 1 October 2004, Pages 1067–1070. <https://academic.oup.com/cid/article/39/7/1067/492845/Presurgical-Maggot-Debridement-of-Soft-Tissue>
8. [http://www.sivatherium.narod.ru/library/Korpachv/part\\_04.htm](http://www.sivatherium.narod.ru/library/Korpachv/part_04.htm)
9. Лампетри К. «Атлас бабочек и гусениц Европы». С. Петербург, 1913.
10. Панфилов Д.В. Исследование состава пчелиных по музейным коллекциям. В сб.: Исследования по фауне Советского Союза. Изд. МГУ, М, 1976
11. <http://mewo.ru/tumb/20/423/>
12. [http://health-ua.com/pics/pdf/ZU\\_2013\\_Hirurg\\_3/35-37.pdf](http://health-ua.com/pics/pdf/ZU_2013_Hirurg_3/35-37.pdf)
13. <http://fitoapoteka.com.ua/nauchnye-issledovaniya-nastojki-lichinok-voskovoj-moli/>
14. <http://panoramatest.ru/podborka-nauchnih-publikacij-o-sindrome-dauna/1-2/>
15. <http://www.polykhrest.od.ua/nasekomye.php?p=9>
16. <https://www.infoniac.ru/news/15-nasekomyh-na-pol-zu-zdorov-yu.html>

**მწერები – ფარმაცევტები და მწერების გამოყენება ფარმაცოთერაპიაში**  
**ნატალია მანდარია**  
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**რეზიუმე**

ადამიანი ყველგან ეძებს სამკურნალო საშუალებებს და მწერების სამყაროც არ არის გამონაკლისი. მით უმეტეს, რომ თანამედროვე მედიცინამ აღადგინა და ახალი სიცოცხლე მისცა ლარვოთერაპიას. ამჟამად მსოფლიოში აღირიცხება მწერის მილიონზე მეტი სახეობა, ხოლო ხერხემლიანი ცხოველის დაახლოებით 70 ათასი. მწერებით მკურნალობის მრავალი მაგალითი არსებობს ტრადიციულ თუ ალტერნატიულ მედიცინაში და ამჟამად ინერგება თანამედროვე ფარმაცოთერაპიაშიც. ჩვენი მიზანი იყო ფარმაცოთერაპიაში მწერების გამოყენების ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა მომავალი კვლევებისათვის.

თანამედროვე ფარმაცია  
 მეცნიერება და პრაქტიკა



## ჩაის სასმელის გამდიდრება მცენარეული ბიოაქტიური დანამატებით

შ.მ. ჩაპვითაძე, მ.რ. შრშიძე, ე.ბ. ბენდელიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ნაშრომში განხილულია ჩაის სასმელის მნიშვნელობა, მასში არსებული ნივთიერებების თვისებები, მათი გამდიდრება საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების ბიოაქტიური ნივთიერებებით, ჩაის სასმელის რეცეპტურები გამდიდრებული სამკურნალო მცენარეების ასკილისა და კუნელის დანამატებით*

ჩაის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე ათასწლეულობის მანძილზე იყო დაინტერესების საგანი. ჩაი ძალიან ბევრ სისტემაზე ახდენს გავლენას ადამიანის ორგანიზმში. ჩაიში შემავალი ფენოლური ნაერთები აწესრიგებს არტერიულ წნევას. იაპონელი მედიკოსების მიერ აღმოაჩენილი იქნა, რომ პირველი - მეორე ხარისხის არტერიული ჰიპერტენზიისას მწვანე ჩაის რეგულარული მოხმარების დროს წნევა მცირდება 10-20%. კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე მოქმედებისას, ჩაის აქვს ორი ძალიან მნიშვნელოვანი ეფექტი: 1) ანტიბაქტერიული და ანტიოქსიდანტური; 2) ძლიერდება შეხორცების პროცესები. მაგარი მწვანე ჩაი კარგ ეფექტს იძლევა დისპეპსიური მოვლენების დროს: დიარეა, გულისრევა, ღებინება, გულმძარვა და ა.შ.

დადგენილია, რომ ჩაი აფერხებს ნაწლავებში ჩიქროვანი პროცესების მიმდინარეობას, ანადგურებს გარკვეულ პათოგენურ ბაქტერიებს და ანეიტრალებს რიგ ტოქსინებს. ჩაიში თავმოყრილია უამრავი მიკროელემენტი, მათ შორის ფტორი, კალციუმი, ფოსფორი და ა.შ, ის მინერალები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კბილების ფორმირებაში.

თანამედროვე მეცნიერებმა ჩაიში აღმოაჩინეს ალკალოიდები თეოფილინი და თეობრომინი ამ ნივთიერებებს შარდმდენი ეფექტი გააჩნიათ. ჩაის აქვს აგრეთვე ანტიკანცეროგენული მოქმედება. მის შემადგენლობაში არსებულ პოლიფენოლებს აქვთ უნარი აქტიურად შებოჭონ კანცეროგენები. გარდა ამისა, პოლიფენოლები აძლიერებენ იმუნიტეტს, რაც დამატებითი დაცვაა კანცეროგენების წინააღმდეგ.

ჩინელმა მეცნიერებმა შეისწავლეს 108 პროდუქტის კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება და გაირკვა, რომ ყველაზე ძლიერი ეფექტი აღმოაჩნდა ჩაის.

ჩაი საუკეთესო საშუალებაა გაციების დროს: ჩაი მატონიზირებლად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, კერძოდ, თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქს და ნერვული სისტემის პერიფერიულ ნაწილებს. ის აგრეთვე არის ფსიქოსტიმულატორი. ჩაი ამძაფრებს მხედველობითი ანალიზატორების მუშაობას რის გამოც





ზრდის ნერვული სისტემის მიმდებლობასა და მგრძობელობას; აჩქარებს რეაქციათა სისწრაფეს; ჩაი აუმჯობესებს ახალი ინფორმაციის მიღებასა და გათავისებებს; აადვილებს ყურადღების კონცენტრირებას [1,2].

ჩაის პროდუქტის ხარისხი დამოკიდებულია მისი ნედლეულის ხარისხზე, რასაც თავის მხრივ განაპირობებს ქიმიური შედგენილობა. კვირტი და პირველი ფოთოლი იძლევა ყველაზე მაღალი ხარისხის პროდუქციას, ხოლო 2-3 და შემდეგი შედარებით დაბალს და ა.შ., რომელთა ფერმენტული და ქიმიური გარდაქმნების საფუძველზე პროდუქტის ქიმიური მაჩვენებლები ყალიბდება [3,4].

ჩაი ქიმიური შედგენილობით მრავალფეროვანი და ურთულესი მცენარეა. მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან ჩაის მწვანე ფოთლისა და მზა ნაწარმის შედგენილობა. ჩაის ფოთლის გადამუშავებისას ზოგიერთი ნივთიერება ქრება, ზოგიერთი მთლიანად ან ნაწილობრივ იჟანგება, მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ქიმიურ გარდაქმნებში და წარმოიქმნება სრულიად ახალი ნივთიერება. ჩაის ნედლეულის მაქსიმალურად გამოყენების და მისი ბიოაქტიური ნივთიერებებით გამდიდრების მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნით ჩაის ნაწარმის გამდიდრება საქართველოში გავრცელებილი სამკურნალო მცენარეული ნედლეულით, როგორცაა ასკილი და კუნელი [6;7].

ასკილი (*Rosa canina* L) ველური ვარდი მცენარის გვარი ვარდისებრთა ოჯახისაა. მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი, ზოგჯერ ხვიარა, ეკლიანი ბუჩქებია. ცნობილია 400-მდე სახეობა, საქართველოში - გავრცელებულია 25, მათგან 5 ენდემურია.

ასკილის ნაყოფები დიდი რაოდენობით შეიცავს C, P და E ვიტამინებს. მას ვიტამინების ბუნებრივ კონცენტრატსაც უწოდებენ. C ვიტამინის შემცველობას ხვადასხვა ჯიშის ასკილის ნაყოფში 7-18%-მდე მერყეობს.

ასკილის მწიფე ნაყოფი შეიცავს წყალს, ცილებს, ნახშირწყლებს, საკვებ ბოჭკოებს, თავისუფალ ორგანულ მჟავებს. ასევე შეიცავს 18%-მდე B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, P, K ვიტამინებს, მინერალებსა და კაროტინს (40 მგ%-მდე), შაქარს 18%, პექტინებს 3,7%, ლიმონისა და ვაშლის მჟავებს 1,8%. ამიტომ, მისი ნაყენი, ნახარში და ვაჟინი ჰიპოვიტამინოზისა და ავიტამინოზის, გემორაგიური დიათეზის (გემოფილია) ართეროსკლეროზის, ჭრილობების შეხორცებისა და საშვილოსნოდან სისხლდენის, თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების სამკურნალო და პროფილაქტიკურ უნიკალურ საშუალებად ითვლება [6,7].

ასკილის ფოთლებსა და ნაყოფების ნახარშს იყენებენ ხველის საწინააღმდეგოდ, ორგანიზმის გასასუფთავებლად. კულტურული ფორმების გვირგვინის ფურცლებისაგან დამზადებულ ჩაის იყენებენ ოფლის მომგვრელ საშუალებად, ასევე მისგან ამზადებენ მურაბას. ასკილის ფოთლების ჩაი დადებითად მოქმედებს კუჭზე, აუმჯობესებს მის მო-



ტორულ ფუნქციას და აწყნარებს კუჭის ტკივილებს [6,7].

კუნელის (*Crataegus*) მრავალი სახეობა არსებობს. ამათგან სამკურნალოდ იყენებენ ძირითადად ორი სახეობის კუნელს – ეკლიანს ანუ ჩვეულებრივ და წითელ კუნელს. კავკასიაში ბუნებრივად გავრცელებული 20-მდე სახეობიდან საქართველოში იზრდება 9. მათგან კავკასიური კუნელი (*Crataegus caucasica*) და კოლხურ კუნელი (*Crataegus colchica*) ენდემებია.

კუნელის ნაყოფის შემადგენლობაში შედის მცენარეული შაქრები, მთრიმლავი ნივთიერებები, ფიტოსტერინები, საპონინები, ფლავონოიდები, გლიკოზიდები, ქოლინი, კაროტინი, ასევე - ორგანული მჟავები: ასკორბინის, ლიმონის, ვაშლის, ღვინის და სხვა. თესლი შეიცავს ძვირფას ეთერზეთებს და მეტად სასარგებლო ნივთიერებას - ამიგდალინს. ყვავილებში უხვადაა სასარგებლო მჟავები - კოფეინის, ქლოროგენის და სხვა, ასევე - ეთერზეთები, ფლავონოიდები და საპონინები. კუნელის პრეპარატებს იყენებენ გულის კუნთის ფუნქციონალური მოშლილობის დროს, ჰიპერტონიული დაავადების, პაროქსიზმული ტაქიკარდიის, საერთო ათეროსკლეროზისა და კლიმაქტერული ნევროზის დროს, ასტიმულირებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას. კუნელის ნაყენი შედის პრეპარატ კარდიოვალენში. კუნელის პრეპარატები ნაკლებად ტოქსიკურია და უკუჩვენებები არ შეიმჩნევა [6,7].

ჩვენს მიერ შერჩეული იქნა ჩაის არაკონდიციური ნედლეული (ყრუ დუყები, მესამე, მეოთხე და მეხუთე ფოთოლი), გადამუშავებული იქნა ლაბორატორიულ პირობებში მწვანე და შავ ჩაიდ (წვრილი ჩაი), მას ემატებოდა გარკვეული თანაფარდობით ასკილისა და კუნელის გრანულირებული მშრალი ფოთლები და ნაყოფები. ჩაისა და მცენარეული დანამატების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (ვიტამინების-C, B, P, PP, და ა.შ., ფენოლური ნაერთების ალკალოიდების, ორგანული მჟავების და ა.შ.) შედგენილობის და მათი რაოდენობის გათვალისწინებით შერჩეული იქნა ოპტიმალური თანაფარდობა ჩაის პროდუქტისა და მცენარეული დანამატების, შემდეგი პროდუქტებისათვის: „ჩაი ასკილის ფოთლებით“, „ჩაი ასკილის ნაყოფებით“, „ჩაი კუნელის ფოთლებით“, „ჩაი კუნელის ნაყოფებით“, ეს თანაფარდობა შესაბამისად შეადგენდა -1:1, 2:1, 1:1, 2:1 რაოდენობას. ისაზღვრებოდა მათი ტენშემცველობა, ტიტვრადი ფენოლური ნაერთები, ალკალოიდები, ვიტამინი C, ექსტრაქტულობა და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები (ცხრილი 1).

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



ბიოაქტიური დანამატებით გამდიდრებული ჩაის პროდუქტთა  
ქიმიური შედგენილობა (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით)

ნიმუშის დასახე- ლება	ტენი (%)	ექსტრაქტული ნივთიერებები (%)	ფენოლური ნა- ერთების ჯამუ- რი რაოდენობა (%)	კოფეინი (%)	C ვიტამინის რაოდენობა (მგ/გ)
ჩაის ფოთოლი	70,03	34,77	15,43	1,35	5,58
ჩაი ასკილის ფოთლებით	6,8	32,24	12,26	0,67	4,29
ჩაი ასკილის ნა- ყოფებით	6,78	23,33	14,67	0,90	7,72
ჩაი კუნელის ფოთლებით	6,5	33,17	14,56	0,69	4,04
ჩაი კუნელის ნა- ყოფებით	6,52	22,67	11,97	0,88	4,55

საბოლოოდ, დადგენილი იქნა ჩაის ნედლეულის და სამკურნალო მცენარეების ქი-  
მიური შედგენილობა. შერჩეული იქნა გასამდიდრებლად გამოსაყენებელი ჩაის ნედლე-  
ული. ასკილის, კუნელის ნაყოფებისა და ფოთლების რაოდენობა. რეცეპტურა ჩაის სას-  
მელის პროდუქტებისათვის: „ჩაი ასკილის ფოთლებით“, „ჩაი ასკილის ნაყოფებით“,  
„ჩაი კუნელის ფოთლებით“, „ჩაი კუნელის ნაყოფებით“, ეს თანაფარდობა შესაბამისად  
შეადგენდა 1:1, 2:1, 1:1, 2:1 რაოდენობას.

ლიტერატურა:

1. კობახიძე შ.კ. – ჩაის ქიმია, გამომც. „განათლება“ თბილისი. 1974წ. 276 გვ.
2. მ. ფრუიძე, ე. ბენდელიანი - „ჩაის საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა“, სახელმძღვანელო, ქუთაისი, 2014წ., 275გვ.
3. მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი - სუბტროპიკული კულტურების წარმოების ტექნო-ქიმიური კონტროლის პრაქტიკაში, ქუთაისი, 2012წ, აწსუ, 185გვ.
4. მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე - სხვადასხვა სახის ჩაიზე ჩაის ნედლეულის ხარისხობრივი მაჩვენებლების გავლენა. „აგრო NEVS“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი N3, ქუთაისი, 2017. გვ. 85 -89.
5. ფრუიძე მ.რ., ბენდელიანი ე.გ., ჩაკვეტაძე შ.მ. - ჩაის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში და მისი განვითარების შესაძლებლობები. მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენციის შრომების კრებული „ბიოუსაფრთხო კვების პროდუქტთა პრობლემები და ბიზნეს გარემო“. ქუთაისი. 2016წ. გვ.109-114



6. ზ. შენგელია - საქართველოს სამკურნალო მცენარეები, თბილისი, 1952წ, გვ. 301.
7. შალვა ხიდაშელი, ვანო პაპუნიძე - საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები, ბათუმი „საბჭოთა აჭარა“, 1985წ, 351გვ.

## ENRICH THE TEA DRINK OF GEORGIA WITH BIOACTIVE SUBSTANCES OF PLANT SH. CHAKVETADZE, M. PRUIDZE, E. BENDELIANI

Akaki Tsereteli State University

### Summary

Finally, the chemical composition of tea raw and medicinal plants was established. The raw materials used to enrich the product were selected. The number of leaves, hawks, and leaves. The recipe for tea drink products: "tea with honey leaves", "tea honey", "tea hawthorn leaves", "tea hawthorn fruits", this ratio was 1: 1, 2: 1, 1: 1, 2 : 1 count.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



**დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის განკუთვნილი  
დაბალკალორიული, დიეტური და ბიოლოგიურად აქტიური საკვების  
ცუკაბისა და ფუნქციონალური დანამატების წარმოების  
ინტენსიფიკაცია**

**მ.შ. მიქაბერიძე, ვ.რ. აკლაკოვი, თ.ს. ხუციანი**

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

*მოცემული ნაშრომი ეძღვნება ციტრუსოვანი ხილის მეორადი მატერიალური რესურსებიდან ცუკაბის წარმოების პროცესში ნედლეულის თბურ დამუშავებას ინფრაწითელი (იწ) ენერგიით. ჩვენს მიერ შემუშავებულია მანდარინისა და ფორთოხლის ცუკაბის წარმოების ახალი ტექნოლოგიური სქემა; დადგენილია იწ ენერგიით ციტრუსოვანი ნედლეულის თბური დამუშავების (ზღანშირება, შრობა) ოპტიმალური რეჟიმული პარამეტრები; დადგენილია ასევე ციტრუსოვანი ნედლეულის გამონაწერი მასის – ფუნქციონალური დანამატების იწ სხივური ენერგიით შრობის პროცესის ოპტიმალური რეჟიმები. დადასტურებულია იწ სხივური ენერგიით ციტრუსოვანი ნედლეულის თბური დამუშავების მიზანშეწონილობა და პერსპექტიულობა. ჩვენს მიერ შემოთავაზებული დიეტური ცუკაბი და აქტიური ფუნქციონალური დანამატი რეკომენდირებულია სამკურნალო-პროფილაქტიკური დაკვებითი მიზნით ფაქტიურად შეუზღუდავი რაოდენობით, როგორც ინსულინ-დამოკიდებული, ასევე ინსულინ-დამოუკიდებელი პაციენტებისათვის.*

შაქრიანი დიაბეტი მძიმე დაავადებაა. დადგენილია, რომ დიაბეტიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სამართავად დიეტას, სწორ კვებასა და ჯანმრთელ პროდუქტებს მთავარი ყურადღება ეთმობა. დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობისკვების სქემა უნდა იყოს ყველაფრის მომცველი, მაგრამ ამავე დროს დაბალკალორიული. დიაბეტიანთა მიერ მოხმარებული პროდუქტები სასურველია იყოს თერმულად მცირე დროში და დაბალ ტემპერატურულ რეჟიმში დამუშავებული, მასში სასარგებლო ნივთიერებების შემცველობის მაქსიმალური შენარჩუნების მიზნით. სასურველია, პაციენტებმა უმთავრესად მიირთვან დაბალი ნახშირწყლის შემცველი ხილი, ბოსტნეული და მათი ნაწარმები, რომლებიც ჭარბად შეიცავენ ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, მინერალებს, მცენარეულ ბოჭკოებს [4].

მრავალრიცხოვან ხეხილოვან კულტურათა შორის ციტრუსოვნები გამოირჩევა განსაკუთრებული პოპულარობით და შეუცვლელი ხილია დიაბეტიკებისათვის. ნაყოფები შეიცავენ სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, აქვთ მაღალი წვნიანობა, სასიამოვნო არომატი, გემო, ნახშირწყლების, პექტინოვანი ნივთიერებების, ორგანული მჟავების, მინერალური ნივთიერებების და ვიტამინების (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, C, D, E, P), მინერალების მაღალი კონცენტრაცია, რაც განაპირობებს მათ დიეტურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, კვებით, ღირებულებას. ქიმიური შემადგენლობით მდიდარია ასევე ციტრუსოვა-



ნი ნაყოფების მეორადი მატერიალური რესურსებიც (კანი, გამონაწერი მასა) და საუკეთესო დანამატია საკონდიტრო ნაწარმებში, კარგი მასალაა ცუკატის წარმოებისათვის, სპირტიანი არომატული სასმელების მოსამზადებლად და სხვა. ციტრუსოვანი ნაყოფების კანისგან მიიღება საუკეთესო ხარისხის ეთერზეთები, რომელსაც წარმატებით იყენებენ პარფიუმერულ წარმოებაში. ციტრუსოვანი ნედლეულის 40% ნარჩენია – გამონაწერი მასა, რომლისგანაც მიიღება მშრალი ფუნქციონალური დანამატი. თუმცა როგორც ყველა ხილის უარყოფითი მომენტი – მათი სეზონურობაა [3, 5].

მოცემული შრომის მიზანია დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის განკუთვნილი დაბალკალორიული, დიეტური და ბიოლოგიურად აქტიური საკვების – ციტრუსოვანი ხილის გადამუშავების მეორადი მატერიალური რესურსებიდან (მანდარინი, ფორთოხალი) ცუკატისა და ფუნქციონალური დანამატების წარმოების ინტენსიფიკაცია იწ სხივური ენერჯის გამოყენებით.

ნედლეულის თბური დამუშავებისათვის ჩვენს მიერ არჩეული იქნა ინფრაწითელი სხივური ენერჯია, იმ მოსაზრებით, რომ აღნიშნული ენერჯია ხასიათდება მთელი რიგი დადებითი თვისებებით: იწ სხივები მნიშვნელოვნად ზრდის ტექნოლოგიური პროცესების ინტენსივობას: მათი ზემოქმედება დასამუშავებელ მასალაზე მაქსიმალურად უნარჩუნებს პროდუქციას ნედლეულში არსებულ სასარგებლო ნივთიერებებს, მნიშვნელოვნად იზრდება მიღებული პროდუქციის ხარისხი, შენახვისუნარიანობა; აღნიშნული ენერჯია ადვილად სამართავია და სხვა [1].

ცუკატის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს: ნედლეულის გარეცხვა, კანის გაცლა, კანის დაჭრა სასურველ ზომებად, მარილწყალხსნარში დაყოვნება (სიმწკლარტის მოცილება), რეცხვა გამდინარე წყალში და დაწდომა, თბური დამუშავება – ხარშვა, შაქრიან სიროფში დაყოვნება, დაწდომა, შრობა, ტენის გადანაწილება, დახარისხება, დაფასოება [2, 6].

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ციტრუსოვანი ნედლეულის – მანდარინისა და ფორთოხლის კანიდან დიეტური ცუკატის წარმოების ტექნოლოგიურ სქემაში ვთავაზობთ: თბური პროცესების (ხარშვა (წყალში  $t=100^{\circ}\text{C}$ ), შრობა (ცხელი ჰაერით  $t=120^{\circ}\text{C}$ ) ჩანაცვლებას იწ სხივების თბური ენერჯიით (ბლანშირება, შრობა); “შაქრის” დანამატის ჩანაცვლებას დაბალკალორიული “სახარინით” (ასპარტამი). ვთავაზობთ ასევე, ნედლეულის გამონაწერი მასიდან - ფუნქციონალური დანამატების წარმოებას (შრობა) იწ თბური ენერჯის გამოყენებით.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მანდარინისა და ფორთოხლის დიეტური ცუკატის წარმოების ტექნოლოგიურ სქემას აქვს შემდეგი სახე:



იწ სხივური ენერგიით მანდარინისა და ფორთოხლის კანის თბური დამუშავების (ბლანშირება, შრობა) რეჟიმული პარამეტრების დადგენის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა მრავალრიცხოვანი კვლევები (2014-2016 წწ.). შემუშავებული იქნა იწ სხივური ენერგიით ციტრუსოვანი ნედლეულის თბური დამუშავების კვლევის მეთოდიკა.

ექსპერიმენტის ჩატარებისათვის ვიღებდით საკვლევ მასალას, შეგვქონდა წინასწარ გაცხელებულ ექსპერიმენტულ კამერაში. პროცესის ოპტიმალურ ტემპერატურად მიღებული გვექონდა  $T=118...120^{\circ}\text{C}$  (ბლანშირების პროცესი). პროცესს ვაგრძელებდით მანამ, სანამ ნიმუში არ გაცხელდებოდა სასურველ ტემპერატურამდე  $t=95...98^{\circ}\text{C}$ . მანდარინისა და ფორთოხლის ცუკატის წარმოების ტექნოლოგიური ციკლის მეორე თბური ოპერაციის– მანდარინისა და ფორთოხლის კანის შრობის რეჟიმების პარამეტრების დადგენისას პროცესის ოპტიმალურ ტემპერატურად მიღებული გვექონდა  $T=100...105^{\circ}\text{C}$ . შრობის პროცესს ვაგრძელებდით მანამ, სანამ ნიმუშის ნარჩენი ტენიანობა არ ჩამოვიდოდა ზღვრებში 23-25%. ციტრუსოვანი ნედლეულის გამონაწერი მასის იწ სხივური ენერგიით შრობის პროცესის ოპტიმალური რეჟიმების პარამეტრების დადგენის მიზნით პროცესის ოპტიმალურ ტემპერატურად მიღებული გვექონდა  $T=100...105^{\circ}\text{C}$ . შრობის პროცესს ვაგრძელებდით მანამ, სანამ ნიმუშის ნარჩენი ტენიანობა არ ჩამოვიდოდა ზღვრებში 5-7%.

ციტრუსოვანი ნაყოფების მეორადი მატერიალური რესურსების იწ თბური ენერგი-



ით გადამუშავების ჩვენს მიერ დადგენილი ოპტიმალური რეჟიმული პარამეტრები მოცემულია ცხრილებში 1,2,3.

ცხრილი 1

იწ ენერგიით ციტრუსოვანი ნედლეულის კანის ბლანშირების ოპტიმალური რეჟიმული პარამეტრები

იწ დასხივების სიმკვრივე, $P$ , კვტ/მ <sup>2</sup>	დაშორების მანძილი იწ გენერატორებსა და მასალას შორის, $H$ , სმ	მასალის ფენის სისქე, $\delta$ , სმ	პროცესის ხანგრძლივობა, $\tau$ , წმ	ნედლეულის ტემპერატურა, $t$ , °C
0,45	20	5	35...40	95...98

ცხრილი 2

იწ ენერგიით ციტრუსოვანი ნედლეულის კანის შრობის ოპტიმალური რეჟიმული პარამეტრები

იწ დასხივების სიმკვრივე, $P$ , კვტ/მ <sup>2</sup>	დაშორების მანძილი იწ გენერატორებსა და მასალას შორის, $H$ , სმ	მასალის ფენის სისქე, $\delta$ , სმ	პროცესის ხანგრძლივობა, $\tau$ , წმ	გამშრალი ცუკატის ნარჩენი ტენიანობა $W_2$ , %
0.25...0.30	20	5	55...60	23..25

ცხრილი 3

იწ ენერგიით ციტრუსოვანი ნედლეულის გამონაწური მასის შრობის ოპტიმალური რეჟიმული პარამეტრები

იწ დასხივების სიმკვრივე, $P$ , კვტ/მ <sup>2</sup>	დაშორების მანძილი იწ გენერატორებსა და მასალას შორის, $H$ , სმ	მასალის ფენის სისქე, $\delta$ , სმ	პროცესის ხანგრძლივობა, $\tau$ , წმ	მასალის საწყისი ტენიანობა $W_1$ , %	მასალის ნარჩენი ტენიანობა $W_2$ , %
0.35...0.40	20	5	45...50	18..20	5..7

იწ სხივური ენერგიის გამოყენებით მიღებულ პროდუქციას (საანალიზო) ვადარებდით მოქმედი ტექნოლოგიით მიღებულ ნიმუშებს (საკონტროლო) (ცხრილი 4, 5).





ცხრილი 4

ცუკატის ნახევარფაბრიკატის საანალიზო და საკონტროლო ნიმუშების შედარებითი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები (% მშრალნივითიერებაზე გადაანგარიშებით)

გადამუშავების მეთოდი	ნახშირწყლები, გრ	ციხმები, გრ	ცილები, გრ	მინერალ. ნივთ., გრ	ასკორბინმჟავა, %მგ	კალორიულობა, კკალ
მოქმედი ტექნოლოგიით	78,5(დამატებული) 81,2 (სულ)	0,07	0,31	0,15	0,41	325
იწ თბური ენერჯის გამოყენებით	2,9	0,07	0,34	0,15	0,5	11,5

ცხრილი 5

ცუკატის ნახევარფაბრიკატის საანალიზო და საკონტროლო ნიმუშების შედარებითი ორგანოლექტიკური მაჩვენებლები

გადამუშავების მეთოდი	დეფუსტაციური შეფასება, ბალ		
	ფერი	გემო	გარეგნული იერსახე
მოქმედი ტექნოლოგიით	4,5	4,5	4,55
იწ თბური ენერჯის გამოყენებით	4,75	4,95	4,75

იწ სხივების ველში ციტრუსოვანი ნედლეულის – მანდარინისა და ფორთოხლის კანიდან ცუკატის წარმოების ტექნოლოგიურ სქემაში თბური პროცესების (ხარშვა, შრობა) ჩანაცვლება იწ სხივების თბური ენერჯით (ბლანშირენა, შრობა) მიზანშეწონილი და პერსპექტიულია. პერსპექტიულია ასევე ციტრუსების გამონაწური მასიდან მშრალი ფუნქციონალური დანამატის შრობა იწ სხივური ენერჯით. პროცესების ინტენსივობა იზრდება 8...10-ჯერ და მეტად ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. ნედლეულის გადამუშავების პროცესები ხდება იოლად მართვადი. იწ თბური ენერჯის გამოყენება ციტრუსოვანი ხილის ნარჩენების გადამუშავების პროცესში მაქსიმალურად უნარჩუნებს პროდუქტს მასში არსებულ ქიმიურ შემცველობას. შესამჩნევად იზრდება პროდუქტის ხარისხი (0,25-045 ბალი). ჩვენს მიერ შერჩეული დიეტური ცუკატის წარმოების ტექნოლოგიური სქემა უზრუნველყოფს მკვეთრად დაბალკალორიული, დიეტური ცუკატისა და აქტიური ფუნქციონალური დანამატის წარმოებას, რომლის მიღება რეკომენდირებულია სამკურნალო-პროფილაქტიკური დაკვებითი მიზნით ფაქტიურად შეუზღუდავი რაოდენობით, როგორც ინსულინ-დამოკიდებული, ასევე ინსულინ-დამოუკიდებელი



პაციენტებისათვის.

ჩვენს მიერ შემუშავებული ციტრუსოვანი ხილის დიეტური ცუკატის პროდუქტების და ციტრუსოვანი ხილის გამონაწერი მშრალი ფხვიერი მასის - ფუნქციონალური დანიშნულების დანამატების ყოველდღიური ჩართვა დიაბეტიანთა კვების რაციონში ხელს შეუწყობს ამ დაავადების პაციენტებს შეინარჩუნონ ორგანიზმში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, ვიტამინებისა და მინერალების აუცილებელი ნორმა, იყვნენ აქტიურები და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავი იგრძნონ სრულყოფილ შრომისუნარიან წევრებად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მიქაბერიძე მ. კვების საწარმოების პროცესები და მანქანა-აპარატურული სისტემები. სახელმძღვანელო. გამომცემლობა აწსუ, ქუთაისი. 2015 წ. 492 გვ.
2. მიქაბერიძე მ. კინწურაშვილი ქ. ხილ-ბოსტნეულის შრობის ტექნოლოგია და ტექნოლოგიური მოწყობილობა. სახელმძღვანელო. გამომცემლობა აწსუ, ქ. ქუთაისი. 2014 წ. 300 გვ;
3. Кочеткова А.,Тужилкин В. Функциональные пищевые продукты: некоторые технологические подробности в общем вопросе./ж. „Пищ. промышлен“ №5.М:2012. с.8-10.;
4. Кудряшова А. А. Пищевые добавки и продовольственная безопасность./ж.Пищевая промышленность. №7. Москва, 2014. с.36-37.;
5. Лифляндский В. Г., Закревский В.В., Андропова М.Н.Лечебные свойства пищевых продуктов/ «TERRA-TERRA» . Москва, 1996. 544с.
6. Юрченко А. Е. Пирогов Н. Л. и др. Вторичные материальные ресурсы пищевой промышленности. Справочник. М.,«Экономика» 1994 г. 326 с.

## INTENSIFICATION OF PRODUCTION OF LOW-CALORIE, DIETARY AND BIOLOGICALLY ACTIVE FOOD PRODUCTS – CANDIED FRUITS AND FUNCTIONAL ADDITIVES FOR PATIENT WITH DIABETES

M.SH. MIKABERIDZE, V.R. APLAKOV, T.S. KHUTSIDZE

Akaki Tsereteli State University

### Summary

The work is devoted to heat treatment of secondary material resources of citrus fruits in the production of candied fruits in the field of infrared rays. We have developed a new technological scheme for the production of mandarin and orange candied fruits; With the help of IR energy the optimal regime parameters of heat treatment (cooking, drying) of citrus secondary material resources have been determined; Also, the optimal regimes of the nutrient mass of the citrus raw material- functional additives in the field of IR rays. The feasibility and perspective of the use of IR energy was confirmed. The dietetic candied fruits and functional supplements we offer are recommended for curative and preventive and nutritional purposes unlimited quantities, for Insulin-dependent, as well as insulin-independent patients.



საქართველოს ბიომრავალფეროვანი ფლორიდან ფიტოპრეპარატის  
შერჩევა და ბიოტექნოლოგიური დამუშავება ქსოვილთა  
რემენერაციისა და ანთებითი პროცესების რემულაციისათვის  
პრეპარატის რეცეპტურის მიღების მიზნით

თ.ს. ხუციძე, მ.შ. მიქაბერიძე, ვ.რ. აკლაკოვი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*მოცემული ნაშრომი ეძღვნება ქსოვილთა რეგენერაციისა და ანთებითი პროცესების მკურნალობას ფიტოპრეპარატების საშუალებით. ჩვენს მიერ შერჩეულია საქართველოს ბიომრავალფეროვანი ფლორიდან მწვანე ჩაის შედარებით ეკონომიურად ხელმისაწვდომი ნედლეული. დადგენილია მწვანე ჩაის ექსტრაქტ-პრეპარატის მოქმედების შედეგი ვენების ვარიკოზული გაგანიერების შედეგად განვითარებულ ტროფიკულ წყლულზე. დადგენილია წყლულისაგან დაზიანებული ქსოვილების აღდგენის მკურნალობის მეთოდი მწვანე ჩაის 10%-იანი ექსტრაქტით.*

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად სამკურნალო მცენარეები მსოფლიოში მედიცინის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი სისტემაა. ბევრ ქვეყანაში ეს ცოდნა თითქმის დაიკარგა, მაგრამ ბოლო რამდენიმე ათწლეულში სამკურნალო მცენარეებისადმი ინტერესი გაიზარდა. დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი აღიარებს იმ სარგებელს, რაც ამ მცენარეებით მკურნალობას მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის მოაქვს.

სათანადო მოხმარების შემთხვევაში სამკურნალო მცენარეები ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი ნაწილია. თანამედროვე წამლებს ხომ სწორედ ბევრმა მათგანმა დაუდო საფუძველი. რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში ამგვარი მცენარეებით მკურნალობა საოჯახო პირობებშიც უსაფრთხო და ეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მეცნიერების მიერ სამკურნალო მცენარეები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, ბევრმა მათგანმა გამოცდას გაუძლო [1].

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შეგვეჩია საქართველოს ბიომრავალფეროვანი ფლორიდან, კერძოდ, აგრონედლეულიდან მცენარე, რომელსაც ექნებოდა ანთების საწინააღმდეგო თვისებები. ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობითა და ფარმაკოლოგიური თვისებების მიხედვით ექსპერიმენტისათვის შერჩეული იქნა მწვანე ჩაის ეკონომიურად ხელმისაწვდომი ნედლეული. მოვახდინეთ ნედლეულის ტექნოლოგიური დამუშავება ექსტრაქტის მიღების მიზნით [3]. ჩვენს წინაშე დაისახა ამოცანა გამოგვეცადა მიღებული ექსტრაქტის სამკურნალო თვისებები და დაგვედგინა პრეპარატის ქიმიური თვისების მოქმედების სხვადასხვა დაავადებებით გამოწვეული ქსოვილის ანთებით პროცესებზე და ინფიცირებულ ჭრილობებზე.



ნებაყოფლობით შერეული იქნა ავადმყოფი, რომელსაც აღენიშნებოდა ორივე ფეხის კიდურზე ვენების ვარიკოზული გაგანიერების შედეგად წარმოქნილი მრავლობითი ტროფიკული წყლული, დაახლოებით 20 სმ-ის ფართობზე. (ვარიკოზი ანუ ვენების ვარიკოზული გაგანიერება varix -კვანძი, შებერილობა, ლათ) - ეს არის ვენების დაავადება, რომელიც იწვევს მათი სანათურის გაფართოებას და ვენური კედლის გათხელებას. ვენების ვარიკოზული გაფართოების დროს ზიანდება სხვადასხვა ორგანოების ვენები (მათ შორის საყლაპავის, სასქესო ბაგირაკის და სხვა), შესაბამისად, დაზიანებული სისხლძარღვების ადგილმდებარეობის მიხედვით დაავადებას სხვადასხვა გამოვლინება შეიძლება ჰქონდეს. ქვედა კიდურების ვენების ვარიკოზული გაფართოება, ბუასილი, ვარიკოცელე და კუჭისა და საყლაპავის ვენების გაგანიერება - პრაქტიკულად ერთი და იგივე დაავადებაა, მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება ქვედა კიდურების ვენების ვარიკოზული გაფართოება. ვენების დაავადების პირველი ნიშანი ეს არის დღის ბოლოს ფეხების შეშუპება, სიმძიმის შეგრძნება და კანჭებში წვის შეგრძნება ხანგრძლივად ფეხზე დგომის ან ჯდომის შემდეგ. ვარიკოზული დაავადებისათვის დამახასიათებელია ამ სიმპტომების გაქრობა ან შემცირება სიარულის ან ძილის შემდეგ. მოგვიანებით ჩნდება ტკივილი წვივის მიდამოში, სიმხურვალის შეგრძნება და ღამის საათებში განვითარებული კრუნჩხვები კანჭის კუნთებში. გარდა ამისა, ქვედა კიდურებზე ჩნდება წვრილი მოლურჯო-მოწითალო ფერის სისხლძარღვოვანი "ვარსკვლავები", და ბოლოს, ფართოვდება კანქვეშა ვენები, რომლებიც ემსგავსებიან გადამწიფებული წითელი ყურძნის მტევნებს. შორსწასულ შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს თრომბოფლებიტი (ვარიკოზული ვენების ანთება), ტროფიკული წყლულები [2].

ავადმყოფი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკურნალობდა კომპლექსურად სამკურნალო ნივთიერებებით. მკურნალობის შედეგის გართულების გამო ავადმყოფის სამკურნალოდ ჩართული იქნა მწვანე ჩაის სტერილური ექსტრაქტი. ტროფიკულ წყლულზე ექსტრაქტის მოქმედების შედეგებისა და რეცეპტურის დადგენის მოიხონით ავიღეთ 10% მწვანე ჩაის სტერილური ექსტრაქტი. მკურნალობა წარმოებდა წყლულის ზედაპირზე სტერილური მწვანე ჩაის 10%-იანი ექსტრაქტით გაჟღენთილი საფენის დაფენით. წყლულის შეხორცების სისწრაფის დასადგენად გამოყენებული იქნა ფრეჩინის მეთოდი [4]. საფენი წყლულის ზედაპირზე იცვლებოდა დღეში დაახლოებით 5-6-ჯერ. მკურნალობის შედეგების გამოვლენის თვალსაზრისით, დაზიანებული ქსოვილის რეგენერაციის სიჩქარის დადგენას ვაწარმოებდით წყლულის ზომის აღრიცხვით ფართისა და სიღრმის მიხედვით სტერილური საზომი სკალით, ამავდროულად ეტაპობრივად ვახდენდით ფოტო გადაღებას.



სურ.N 1. 2. 3. კიდურის ვენების ვარიკოზული გაგანიერებით გამოწვეული წყლულის მწვანე ჩაის ექსტრაქტით მკურნალობის შედეგი დღეების მიხედვით:



1. მკურნალობის დაწყების ფაზა. 2. მკურნალობის მე-9/10 დღე. 3. მკურნალობის მე-16/17 დღე.

კიდურის ვენების ანთებითი პროცესებით გამოწვეულ წყლულზე მწვანე ჩაის 10%-იანი ექსტრაქტით მკურნალობის დადებითი შედეგი გამოვლინდა დაახლოებით ცხრა-ათ დღეში. წყლულით გამოწვეული დაზიანებული ქსოვილის სრული რეგენერაცია მოხდა დაახლოებით მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე დღეს. სურ. N1.2.3.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მარდალეიშვილი ნ.; მგალობლიშვილი ი.; გიორგაძე რ.; ვაშაძე დ. სამკურნალო მცენარეები. თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2014.
2. [https://www.medportal.ge/aqtualuri\\_tema/varikozi/varikozi.htm](https://www.medportal.ge/aqtualuri_tema/varikozi/varikozi.htm).
3. ფრუიძე გ. ფრუიძე ვ. ხსნადი ჩაის და კონცენტრატების წარმოების ბიოქიმია, ტექნოლოგია და მოწყობილობა. თბილისი. 1996.
4. Фречин К.М. Заживление ран. Современные представления о раневом процессе и заживление ран. Киев. Здоровье. 1976. 7-157.

## SELECTION OF PHYTOPREFACTORS FROM BIODIVERSITY FLORA OF GEORGIA AND BIOTECHNOLOGICAL TREATMENT FOR THE REGENERATION OF TISSUE REGENERATION AND INFLAMMATORY PROCESSES

**KHUTSIDZE T. S; MIKABERIDZE M. Sh., APLAKOV V. R.**

**Akaki Tsereteli State University**

### Summary

As a result of experimental research, the medicinal properties of the commercially available raw materials of the biodiversity of Georgia, in particular the agriculture green tea, on tropical waters caused by inflammatory diseases of the lower extremities.



აბრონეფლეულის – მწვანე ჩაის ექსტრაქტის ქიმიური პროცენტული  
შემცველობის დადგენა ქვედა კიდურის სისხლძარღვთა  
შევიწროების მკურნალობის მიზნით

ხუციძე თ.ს., ჟიჟიანი ნ.დ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*მოცემული ნაშრომი ეძღვნება ქვედა კიდურის სისხლძარღვთა შევიწროების მკურნალობას ფიტოპრეპარატის საშუალებით. ჩვენს მიერ სამკურნალოდ შერჩეულია მწვანე ჩაის 20%-იანი ექსტრაქტი. დადგენილია მწვანე ჩაის ექსტრაქტ-პრეპარატის მოქმედების შედეგი კიდურის ვენების შევიწროების შედეგად გართულებულ პროცესზე.*

საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეებისა და მათ საფუძველზე დამზადებული წამლების შესახებ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში წერდნენ. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ კი ვპოულობთ მედეას სახელთან დაკავშირებულ ყველაზე ადრეულ მითებს მცენარეებით მკურნალობის შესახებ. დღეს მეცნიერები აუცილებელ პირობად მიიჩნევენ ისეთი წამლების შექმნასა და დანერგვას, რომლებსაც ჩვენი წინაპრები წარმატებით იყენებდნენ. მრავალწლიანმა კლინიკურ-ლაბორატორიულმა დაკვირვებებმა მეცნიერები დაარწმუნა ფიტოპრეპარატების უპირატესობაში და მათი გამოყენების ფართო სპექტრის არსებობაში, გვერდითი მოვლენების სიმცირესა და უტყუარ სამკურნალო ეფექტში, რასაც განაპირობებს გეოგრაფიული არეალი, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და სამკურნალო მცენარეების მოპოვების და დამზადების მეთოდები. ლიტერატურული მონაცემებით ვიცით, რომ წამლების უმეტესობა სამკურნალო ეფექტს ავლენს ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას. მცენარეული წამლის ეფექტიანობა ფასდება მასში შემავალი სამკურნალო ქიმიური ნივთიერებების პროცენტული შემადგენლობის სიდიდით. თუ ასეთი წამლები გამოირჩევიან ანტიოქსიდანტური აქტივობითაც, ისინი ავადმყოფმა აუცილებლად უნდა მიიღოს, თუნდაც სხვა მედიკამენტებთან ერთად საბოლოო გამოჯანმრთელებამდე. ნატურალური მცენარეული წამლები ხელს უწყობენ ორგანიზმში დაღეჟილი ზედმეტი მავნე ნივთიერებების გამოდევნას, რაც განაპირობებს იმუნიტეტის აღდგენას, გაძლიერებას და დაავადების რისკის შემცირებას [1,2].

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა მწვანე ჩაის კონცენტრატიდან ტექნოლოგიურად მიღებული [3] ხსნადი ექსტრაქტი ექსპერიმენტულად გამოგვეცადა ქვედა კიდურის სისხლძარღვების შევიწროებაზე და დაგვედგინა ექსტრაქტში არსებული ქიმიური ნივთიერებების პროცენტული შემცველობის სამკურნალო თვისებები აღნიშნულ დაავადებაზე.



კვლევისათვის გამოვიყენეთ მწვანე ჩაის 20%-იანი ხსნადი ექსტრაქტი და ექსპერიმენტისათვის ნებაყოფლობით შევარჩიეთ ავადმყოფი, რომელსაც აღენიშნებოდა მარცხენა ქვედა კიდურის ბარძაყის არტერიის სტენოზის შედეგად ტერფის ცერა თითის მშრალი განგრენა.

ავადმყოფს გაკეთებული ჰქონდა ოპერაცია. ოპერაციამდელი დიაგნოზი - დიაბეტური ანგიოპათია, მარცხენა ბარძაყის არტერიის 70%-ი სტენოზი, მარჯვენა ბარძაყის ზედაპირული არტერიის სტენოზი. მარჯვენა წვივის და უკანა მარცხენა წვივის წინა არტერიების თრომბოზი. ორმხრივი ბარძაყის საერთო და ღრმა არტერიების 50% სტენოზი. ავადმყოფს მარცხენა პირველი თითის საფრჩხილე ფალანგის, ზედა ფალანგის კიდესთან რენდგენოგრაფიის გამოკვლევებით ისახებოდა მცირე სტრუქტურული რღვევა, უსწორმასწორო ზედა კიდით.

ლიტერატურული მონაცემებით ვიცით, მშრალი და სველი განგრენის კლინიკური ნიშნები და მიმდინარეობა. მშრალი განგრენის დროს ქსოვილი თანდათანობით კარგავს სითხეს, იჭმუხნება, მკვრივდება და პატარავდება. დანეკროზებული უბანი მურა ფერს იღებს ან შავდება. სისხლით მომარაგების უეცარ შეწყვეტას თან სდევს ძლიერი ტკივილი, კიდური ფერმკრთალდება და ცივდება, პულსი და კანის მგრძობელობა ნელ-ნელა ქრება, დაზიანებული ადგილის ფუნქცია ირღვევა. კვდომა პერიფერიიდან ცენტრისაკენ ვრცელდება, მკვდარი და საღი ქსოვილის მიჯნაზე ვითარდება დემარკაციული ხაზი. სველი განგრენის დროს ქსოვილები ფუჭდება და დიდდება, დანეკროზებული უბანი ჭუჭყიანი მწვანე ფერის მასად იქცევა, რასაც სიდამპლის სუნი ასდის, კანი მგრძობელობას კარგავს, სხეულის ტემპერატურა მაღალია. თუ ორგანიზმი დაუძლურებულია და მოსაზღვრე საღი ქსოვილების ადგილის რეაქცია სუსტია, პროცესი შორს ვრცელდება, სისხლში ლპობითი რღვევის პროდუქტების მოხვედრა კი სეფსისს იწვევს (უმეტესად შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში). იშვიათად, კეთილთვისებიანი მიმდინარეობის დროს, სველი განგრენა შეიძლება მშრალ განგრენად გადაიქცეს [4, 5] ოპერაციის შემდგომ დაახლოებით 10 დღის შემდეგ ავადმყოფის მარცხენა ტერფის პირველი თითის საფრჩხილე კიდესთან, ქვემოთ მოხდა ქსოვილების გამოშრობა და მკვდარი უბნის წარმოქმნა ფუფხის სახით (სურ. N.1). ავადმყოფს ტემპერატურა არ აღენიშნებოდა. მარცხენა კიდურის ტერიფისა და, შესაბამისად, ცერა თითის სისხლმიწოდების მიზნით კომპლექსურ მკურნალობასთან ერთად ჩავრთეთ მწვანე ჩაის სტერილური 20%-იანი ექსტრაქტი. ავადმყოფს ჩაის ექსტრაქტით გაჟღენთილი საფენი ეფინებოდა დღეში შესაბამისად, საფენის გაშრობისთანავე. ამავდროულად უკეთდებოდა ქვედა კიდურის აბაზანა მუხლის სახსრიდან ქვემოთ, დღეში სამჯერ. მკურნალობაში ჩაის ექსტრაქტის ჩართვიდან დაახლოებით მესამე დღეს ავადმყოფის ცერა თითმა ოდნავ შეშუპება დაიწყო. ტემპერა-



ტურის მატება არ აღინიშნებოდა. შეშუპებიდან მეოთხე დღეს ფუფხი ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე უმტკივნეულოდ მოძვრა (სურ. N2). შეშუპებულმა ქსოვილმა დაიწყო გახსნა, რომელსაც თან ერთვოდა გამონადენი სუნის გარეშე. ჩაის ექსტრაქტით ჭრილობის მკურნალობის პროცესში ტკივილი არ აღინიშნებოდა (სურ. N3.). მკურნალობის დაწყებიდან დაახლოებით მეთექვსმეტე დღეს გამონადენის რაოდენობა შემცირდა, თითის შეშუპებამ იკლო. დახლოებით 26-ე დღეს თითი თავის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა (სურ. N.4). მკურნალობიდან ორი თვის შემდეგ თითზე ჭრილობის ნაწიბური არ აღინიშნება.

სურ.N1. მკურნალობის დაწყებამდე.



სურ.N.2. ფუფხი მომძვრალი, შეშუპებული თითი



სურ.N.3. ჩაის ექსტრაქტის მიერ შეშუპებული ქსოვილის გახსნა.



სურ.N4. ჩაის ექსტრაქტით მკურნალობის საბოლოო შედეგი.



თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა





### გამოყენებული ლიტერატურა

1. მარდალეიშვილი ნ., მგალობლიშვილი მ.; გორდაძე რ.; მახათაძე ი.; ლომთაძე ლ. სამკურნალო მცენარეები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2014წ.
2. [<http://www.salkhino.ge/17.htm>]
3. ფრუიძე გ. ფრუიძე ვ. „ხსნადი ჩაის და კონცენტრატების წარმოების ბიოქიმია, ტექნოლოგია და მოწყობილობა.“ თბილისი.1996წ.
4. <https://ka.wikipedia.org/wiki>
5. <http://www.medgeo.ne>

### **DETERMINING THE CHEMICAL PERCENTAGE OF AGRONET – GREEN TEA EXTRACT FOR THE TREATMENT OF LOWER LIMB CLOTTING**

**T.S. KHUTSIDZE, N. KIPIANI**

**Akaki Tsereteli State University**

#### **Summary**

Prescribed medicinal properties of 20% extract of Green Tea on the pathologies developed in the lower extremities of the lower limb.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## მწვანე ჩაის სამკურნალო თვისებები

### ნანა ქათამაძე

#### აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ნაშრომში განხილულია ქართველი და ევროპელი მეცნიერების კვლევებზე დაფუძნებული ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის თვისებები ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა დაავადებებით გამოწვეულ პათოლოგიურ პროცესებზე სამკურნალოდ.*

მწვანე ჩაი წარმოადგენს მარადმწვანე ჩაის მცენარეს [*Camellia sinensis* L.] - ეკუთვნის ფარულთესლოვანთა ტიპს, ოჯახი ჩაისებრნი. ეს მცენარეები მარადმწვანე ხეები და ბუჩქებია, მათი 400-მდე სახეობაა ცნობილი. გავრცელებულია ძირითადად ტროპიკულსა და სუბტროპიკულ რაიონებში [1].

ადგილობრივი ჯიშის ჩაი წარმოიშვა ჩინური „კიმინისა“ და სხვა უცხოურ სახესხვაობათა სელექციით საქართველოს სუბტროპიკული ზონის პირობებში.

ამჟამად, საქართველოში ვარგისიან ჩაის პლანტაციებს უკავია 15 000 ჰექტარი. პლანტაციების 70-80% გაშენებულია ინდოჩინური ჯიშებით, 12-15% იაპონური და 4-5% - ქართული სელექციური ჯიშებით: „კოლხიდა“, „ქართული“ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მწვანე ჩაის პლანტაციებში დღესდღეობით აგროღონისმიებები ნაკლებად მიმდინარეობს, ჯერ კიდევ არსებობს ტყიბულის რეგიონში ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის ბუჩქები.

თანამედროვე ფიტოთერაპიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ანთებითი, სხვადასხვა ინფექციებითა და დაავადებებით გამოწვეული პათოლოგიური პროცესების საწინააღმდეგო სამკურნალო პროფილაქტიკური საშუალებების შექმნა. ამ მხრივ უდიდეს ინტერესს იწვევს მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რადგანაც სინთეზური პრეპარატებისაგან განსხვავებით მათ ახასიათებთ მოქმედების ფართო სპექტრი, არ არიან ტოქსიკურნი, არ გააჩნიათ გვერდითი ეფექტები და უკუჩვენებები.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ბიოაქტიურ ნივთიერებათა კვლევების ინტენსივობისა, დღესდღეობით მცენარეული სამყაროს სამკურნალო თვისებები კიდევ არ არის კარგად შესწავლილი, ამიტომ ახალი, მცენარეული, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კვლევა და მათი გამოყენების სფეროს შესწავლა კვლავ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები შეიძლება დავ-



ყოთ რამდენიმე ჯგუფად: ფენოლური ნაერთები, სტეროიდები, ტერპენოიდები, პოლიაცეტილენები და სხვა. მათ შორის აღსანიშნავია ფენოლური ნაერთების, კერძოდ, მწვანე ჩაის კატეხინების ანტიოქსიდანტური, ანტიმიკრობული აქტივობა და გამოყენების პერსპექტივა სხვადასხვა ანთებითი, გართულებული ინფიცირებული ჭრილობების, ტროფიკული წყლულების მიერ დაზიანებული უჯრედებისა და ქსოვილების აღდგენა-რეგენერაციის სამკურნალო, პროფილაქტიკური მიზნით და სხვადასხვა დავადებით გამოწვეულ პათოლოგიებზე. ლიტერატურული მონაცემები ადასტურებენ ამგვარი გამოყენების შესაძლებლობას. ჰოლანდიელმა ექიმმა დერეკმა მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებით განაცხადა, ჩაის გარდა არც ერთ სხვა მცენარეს არ გააჩნია მსგავსი ღირსშესანიშნავი სამკურნალო თვისებები. ჩაის სმის ჩვევა იცავს ადამიანებს სხვადასხვა სახის დაავადებისგან, ახანგძლივებს სიცოცხლეს. იგი დადებითად მოქმედებს ხასიათზე და გონება-განწყობაზე.

ჩაის ფოთოლში გვხვდება შემდეგი ვიტამინები: A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>12</sub>, C და სხვა. განსაკუთრებით მწვანე ჩაი მდიდარია მინერალებით: E, K, P, PP, Ca, Ka, Mg, Cu, F და სხვა. (რაც იცავს კბილებს) [2].

ჩაის გააჩნია მასტიმულირებული და არააღმგზნებითი თვისებები – თეინი და კოფეინი გამოირჩევა მასტიმულირებული ეფექტით. თეინი კარგად ზემოქმედებს ტვინსა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ასევე ხელს უწყობს გონებრივ აქტივობას და იცავს ადამიანს დაღლილობისაგან.

ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობისა და ცალკეული კატეხინების მაღალი შემცველობის გამო მწვანე ჩაის თავისი ფიზიოლოგიური მნიშვნელობით მეტად ძვირფასი პროდუქტია. ფარმაკოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ვიტამინი C-ს და ვიტამინ P-ს მოქმედება ცალ-ცალკე ნაკლებ ეფექტურია სხვადასხვა დაავადებების დროს. ეს ვიტამინები მწვანე ჩაიში ყოველთვის ერთად გვხვდება და ამჟღავნებენ მაღალ ბიოლოგიურ აქტივობას. ვიტამინ C და P-ს კომპლექსი წარმოადგენს გალა-ასკორბინის მჟავას, რომელიც აძლიერებს ნუკლეოპროტეიდების სინთეზს, ხელს უწყობს რეგენირებულ ქსოვილში ასკორბინის მჟავის ამალღებას, რაც შეიძლება იყოს სპეციფიკური მოქმედების, რის საფუძველზეც ხელს უწყობს ინფიცირებული ჭრილობის შეხორცებას, ქმნის წინაპირობას დაზიანებული უჯრედებისა და ქსოვილების რეპარაცია განახლების პროცესისათვის.

მწვანე ექტრაქტის ფენოლური ნაერთები, კერძოდ კატეხინების კომპლექსი ამჟღავნებს მაღალ P- ვიტამინურ აქტივობას. მკურნალობაში მისი დიდი დოზები აძლიერებს გლიკოგენის წარმოქმნას, ხელს უწყობს ფერმენტ ურიაზას, ამილაზას, ფოლენესტერაზას აქტივობის ამალღებას. ფენოლური ნაერთები აძლიერებს სისხლძარღვთა სისტემის გამ-



ტარიანობას, ზრდის სისხლძარღვთა რეზინსტენტობას, რის საფუძვლებზეც სისხლძარღვები ელასტიური ხდება, მოქმედებს კანის კაპილარების გამტარიანობაზე, სისხლძარღვთა ასეთი მოქმედება ხელს უწყობს წყლულების მიერ დაზიანებული უჯრედების აღდგენას [6]. კატეხინები ხასიათდება მაღალი ანტიმიკრობული თვისებებით. პრეპარატს შეუძლია განახორციელოს ანტიბაქტერიული მოქმედება ინფიცირებული ჭრილობის პათოგენურ მიკრობზე: *St. aureus*-ზე [6]. სინთეზურ პრეპარატებთან შედარებით, მწვანე ჩაის კატეხინები ხელს უწყობს მეტაბოლური პროცესის გაძლიერებას, აძლიერებს ცხიმის წვას დიეტების დროს.

ჩაის პოლიფენოლებს გააჩნიათ ანტიკარიესული ეფექტი, კერძოდ კატეხინები თრგუნავენ ამ პროცესის გამომწვევი აქტიური ბაქტერიების განვითარებას. მწვანე ჩაი არის წყარო ფტორის შენაერთების, რომელიც კბილებს ესაჭიროება. აღსანიშნავია, რომ მწვანე ჩაის ნაყენი აძლიერებს პირის ღრუს დეზინფექციას, იცავს ღრძილებს დაწყლულებისა და სისხლდენისაგან, ვინაიდან მასში არსებული ფენოლური ნაერთები აპკის სახით ეკვრის ღრძილებს და იცავს ბაქტერიის შეჭრისაგან. მწვანე ჩაის კატეხინები მოქმედებენ კვერცხუჯრედის განაყოფიერების პროცესზე, აძლიერებენ თვალის წინა ნაწილის სისხლძარღვების გამტარიანობას, ეფექტურად მონაწილეობენ კოლაგენის ჩამოყალიბებაში.

კატეხინები გამოიყენება დერმატოლოგიაში, ონკოგენების დროს, კერძოდ, ამცირებს კანის ონკოგენების ეფექტს, ეფექტურად მოქმედებს კუჭისა და ყელის კიბოზე. კატეხინები ამცირებს მსხვილი ნაწლავის და კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნის რისკ-ფაქტორებს. კატეხინები მაღალ ანტიბაქტერიულ ეფექტს ამჟღავნებენ გასტრიტიისა და კუჭის წყლულის განვითარების გამომწვევი ბაქტერიების მიმართ. *Stapilo cocus aureus*; *Helicobacter pilor*; [4,5] რაოდენობისა და ცალკეული კატეხინების მაღალი შემცველობის გამო, მწვანე ჩაი თავისი ფარმაკოლოგიური მნიშვნელობით მეტად ძვირფასი პროდუქტია. ცნობილია, რომ მწვანე ჩაის გააჩნია სხვადასხვა სახის სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები, ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს მწვანე ჩაის ეფექტს კარდიოლოგიური, დერმატოლოგიური, ნაწლავური და სხვა დაავადებების სამკურნალოდ [3].

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კომარნიცინ ა; კუდრიაშოვი ვ; ურანოვი პ. მცენარეთა სისტემატიკა. თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1973. გვ. 550-551.
2. Запрометов М. Н. Биохимия катехинов. М.Наука. 1964.С.295.
3. Cook N. C., Saman S. "Flavanoids chemistry, metabolism. cardioprotective effects and dietary sources". Journal of nutritional biochemistry. 1996. 7, 66-76.



4. Kohlmeier L., Weterings K.G., Steck S., Kok F.J. "Tea and cancer prevention: an evaluation of the epidemiologic literature". Nutr Cancer 1997; 27:1–13
5. Hagiwara N., Tateish M., Kim M., Yamane T., Tarahashi T. "Inhibition of azoxymethane-induced colon carcinogenesis in rat by tea polyphenols". Japan. Cancer Res. 1988. 79, 1067-1074
6. ხუციძე თ. "მწვანე ჩაის ექსტრაქტის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება მისი ცხოველური ქსოვილების აღდგენა-რეგენერაციაში გამოყენების მიზნით". მონოგრაფია. ქ. ქუთაისი. 2015.

## **SOME OF THE MEDICINAL PROPERTIES OF GREEN TEA**

**N. KATAMADZE**

**Akaki Tsereteli State University**

### **Summary**

Based on the research of Georgia and European scientists, the properties of green tea have been tested for the pathological processes caused by various diseases in the human body.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## სამკურნალო მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების აღმოჩენისა და გამოყოფის მეთოდები

ნინო კოჭენიკა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*თანამედროვე ნორმატიულ დოკუმენტაციაში, რომელიც მზადდება სამკურნალო მცენარეული ნედლეულისათვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად გათვალისწინებულია მათ შემადგენლობაში შემავალი ძირითადი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების აღმოჩენა და გამოყოფა. კვლევა მიმდინარეობს ქიმიური, ფიზიკო-ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით. ხშირად იყენებენ ექსტრაქციის მეთოდს, რის შედეგადაც ლეზულობენ კომპონენტა ნარევს. შემდეგ აწარმოებენ მინარევებისაგან გასუფთავებას, ჰყოფენ ცალკეულ ფრაქციებად ან გამოყოფენ ინდივიდუალურ ნივთიერებებს ქრომატოგრაფიული მეთოდით. ექსტრაქცია დღემდე რჩება ბუნებრივი მცენარეული წყაროებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად. ექსტრაქციის დღეისათვის შემუშავებულ მრავალ მეთოდს იყენებენ არა მარტო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მისაღებად, არამედ ნუვთიერებათა ნარევის დასაწარმოებლად და მინარევებისაგან გასასუფთავებლად. ექსტრაქციის მეთოდებიდან აღსანიშნავია: მაცერაცია, დიგერირება, პერკოლაცია, პერფორაცია, მარტივი ექსტრაქცირება.*

თითოეული სამკურნალო მცენარეული ნედლეული ხასიათდება ბიოლოგიური აქტიურობით, რაც ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმზე მათი მოქმედების მრავალფეროვნებით ვლინდება. ისინი იწვევენ ფერმენტული აპარატის გაძლიერებას, ადამიანის დამცველობითი ძალების მობილიზაციას, არიან ანტიალერგიული, ნაღვლმდენი და შარდმდენი მოქმედების, სეკრეციის გამაძლიერებელი, აძლიერებენ ორგანოებამდე სისხლის მიწოდებას, აქვთ საანესთეზიო და აღმზნები მოქმედება. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები -შენაერთებია, რომლებიც ადამიანის ორგანიზმზე ახდენენ სპეციფიკურ სამკურნალო ზემოქმედებას. სწორედ მათი არსებობა განაპირობებს თითოეული სამკურნალო მცენარის ფარმაკოლოგიურ მნიშვნელობას.

თანამედროვე ნორმატიულ დოკუმენტაციაში, რომელიც მზადდება სამკურნალო მცენარეული ნედლეულისათვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად გათვალისწინებულია მათ შემადგენლობაში შემავალი ძირითადი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების აღმოჩენა და გამოყოფა. კვლევა მიმდინარეობს ქიმიური, ფიზიკო-ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით. ხშირად იყენებენ ექსტრაქციის მეთოდს, რის შედეგადაც ლეზულობენ კომპონენტა ნარევს. შემდეგ აწარმოებენ მინარევებისაგან გასუფთავებას, ჰყოფენ ცალკეულ ფრაქციებად ან გამოყოფენ ინდივიდუალურ ნივთიერებებს ქრომატოგრაფიული მეთოდით.



სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ანალიზისათვის იყენებენ ქრომატოგრაფიის შემდეგ სახეებს:

ადსორბციული ქრომატოგრაფია, რომელსაც საფუძვლად ქრომაროგრაფირებული ნივთიერებების უწყვეტი მიმოცვლა (უძრავსა და მოძრავ ფაზებს შორის) უდევს. განაწილებითი ქრომატოგრაფია, რომელსაც საფუძვლად უდევს სორბიტის იონოგენური ჯგუფებით - საანალიზო ხსნარის იონების შექცევადი ქემოსორბცია.

სვეტში ადსორბციული ქრომატოგრაფია გამოიყენება საანალიზო კომპონენტების მინარევებისაგან გასასუფთავებლად. კლასიკური ქრომატოგრაფიული სვეტი წარმოადგენს მინის მილს, რომელიც ავსებულია სორბენტით. ხშირად გამოიყენება პოლიამიდური სორბენტი, უფრო იშვიათად - ალუმინის ოქსიდი. თხელშრიანი ქრომატოგრაფია ანუ ადსორბციული ქრომატოგრაფია გამოიყენება სორბენტის თხელ შრეში სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ხარისხობრივი ანალიზისას ან სინჯის მომზადების სტადიაზე საანალიზო კომპონენტების გასასუფთავებლად. ბოლო წლებში აქტიურად გამოიყენება რაოდენობრივი თხელშრიანი ქრომატოგრაფიის მეთოდი, სპეციალური აპარატის - დენსიტომეტრის გამოყენებით. იგი ზომავს საანალიზო კომპონენტის ფლუორესცენციის ან ლაქის შეფერადების სიმკვრივეს უშუალოდ ფირფიტაზე.

ფარმაცევტულ ანალიზში გამოიყენება თხევად-გაზური და გაზურ-ადსორბციული ქრომატოგრაფია. პირველში უძრავი ფაზაა სითხე, მეორეში - მყარი ადსორბენტი.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ანალიზის მეთოდებს შორის ასევე გამოიყენება ანალიზის ფოტომეტრული მეთოდები, რომელიც ემყარება საანალიზო ნივთიერებების ან ნივთიერებათა ჯგუფის მიერ ელექტრომაგნიტური გამოსხივების შთანთქმის მოვლენას.

იმ შემთხვევაში, როცა სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ხარისხის განსაზღვრა ქიმიური ან ფიზიკო-ქიმიური მეთოდებით არადამაკმაყოფილებელია, მიმართავენ ბიოლოგიური ანალიზის მეთოდს. ეს მეთოდი განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება კარდიოტონული გლიკოზიდების შემცველი მცენარეული ნედლეულის ანალიზისას. უნდა აღინიშნოს, რომ ბიოლოგიურ სტანდარტიზაციას გააჩნია არსებითი ნაკლი: შრომატევადობა, ანალიზის სიძვირე და მცირე სიზუსტე. გარდა ამისა, ანალიზის ეს მეთოდი ვერ ასახავს სამკურნალო მცენარეულ ნედლეულში მოქმედი ნივთიერებების ჭეშმარიტ შემცველობას.

ბუნებრივი მცენარეული წყაროებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფის ერთ-ერთი უძველესი მეთოდია ექსტრაქცია, რომელიც დღემდე რჩება ძირითად მეთოდად. ექსტრაქციის დღეისათვის შემუშავებულ მრავალ მეთოდს იყენებენ არა მარტო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მისაღებად, არამედ ნივთიერებათა ნა-



რევის დასანაწილებლად და მინარევებისაგან გასასუფთავებლად. ექსტრაციის მეთოდებიდან აღსანიშნავია: მაცერაცია, დიგერირება, პერკოლაცია, პერფორაცია, მარტივი ექსტრაქცირება. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ექსტრაციისათვის მოსამზადებელი პირველი ეტაპია - ლიპიდების მოცილება. ამ მიზნით ყველაზე ხშირად გამოიყენება რუტინული და ფოლხის მეთოდები. ყველაზე ხშირად ამისათვის იყენებენ ნეიტრალურ გამხსნელებს, სპირტებს და მათ ნარევებს. ლიპიდებთან ერთად ხდება მწვანე და ყვითელი პიგმენტების მოცილებაც, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს საკვლევი შენაერთების გამოყოფას.

ეთერზეთების გამოყოფა: 1. წყლის ორთქლით გამოხდა, 2. ადვილად აქროლადი გამხსნელით ეთეროვანი ზეთის ექსტრაცია. 3. ეთეროვანი ზეთის ექსტრაცია ცხიმოვანი მჟავებით სამკურნალო მცენარეთა დაყენების გზით. ამ მეთოდის ნაირსახეობაა - ანფლერაჟი - სორბენტებით ეთეროვანი ზეთების შეწოვა (მაგ: მყარი ცხიმით, გააქტიურებული ნახშირით) ნაჯერი ცხიმებიდან ეთეროვან ზეთებს გამოყოფენ სპირტით. სპირტს ყინავენ, დალექილ მინარევებს ფილტრავენ და ღებულობენ სუფთა ეთეროვან ზეთს. 4. ნედლეულის მექანიკური დაწნეხვა.

გლიკოზიდების გამოყოფა: მწარეებს გამოყოფენ ორგანოლექტური მეთოდით (გემოვნებით), ამისათვის ამზადებენ სამკურნალო ნედლეულის 10% წყალხსნარს, მისგან იღებენ 1 მლ ოდენობით და აზავებენ 10-ჯერ, მწარე გემოს შეგრძნების გაქრობამდე. ასე საზღვრავენ მაგალითად, ბაბუაწვერას ფესვში მწარეებს. ობიექტურად განსაზღვრის მიზნით იქმნება დეგუსტატორთა ექვსკაციანი ჯგუფები. მწარე-ირიდოიდებს აქვთ უნარი მჟავე არეში ლურჯი შეფერადება მიიღონ. ზოგჯერ იყენებენ არასპეციფიკურ ჰიდროქიმიურ რეაქციას, რომლის საფუძველია სამკურნალო ნედლეულის სუდან-III-ის 3%-იანი ეთანოლ-გლიცერინის წყალხსნარით შეღებვა (1:1:1). ქრომაროგრაფზე მწარეების აღმოჩენისათვის მათ ამუშავებენ ბეკონ-ედელმანის რეაქტივით. ქრომატოგრაფის საშრობ კარადაში შემდგომი გახურებით (15 წთ. 110<sup>0</sup> C-ზე) შედეგად მწარეების ლაქები ქრომატოგრაფზე იღებება მოყვითალო-ყავისფრად.

ფენოლების გამოყოფა: AgNO<sub>3</sub>-ის ხსნარით და მჟავათი დამუშავებისას ფენოლური გლიკოზიდების გამოვლენა ხდება სხვადასხვა ტონალობის ყავისფერი ლაქებით. ფელინ-დენისის რეაქტივით დამუშავებისას ასევე შესაძლებელია ფენოლური შენაერთების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრა.

კარდიოსტეროიდების გამოყოფას ახდენენ დაქუცმაცებული ნედლეულის (მაგ: შროშანას ბალახი) 50 ან 70%-იანი ეთანოლით ექსტრაქციით 24 სთ-ის განმავლობაში. სპირტი აბრკოლებს საგულე გლიკოზიდების ფერმენტულ ჰიდროლიზს, კერძოდ აგლიკონიდან შაქროვანი ნაწილის გამოყოფას. სპირტის ამ კონცენტრაციაში იხსნებიან გლი-





კოზიდებიც და საგულე გლიკოზიდის აგლიკონებიც. მიღებულ ექსტრაქტს ატარებენ ორ-თქელში ვაკუუმის ქვეშ (50-60<sup>0</sup>), სქელ ექსტრაქტს აზავებენ წყლით და მრავალგზის ამუშავებენ ქლოროფორმით ან სხვა ორგანული გამხსნელით. გაწმენდა შეიძლება ჩატარდეს ალუმინის ოქსიდით, რომელიც შთანთქავს ბალასტ ნივთიერებებს და ხდის ხსნარს უფრო გამჭირვალეს. შემდეგ ახდენენ სვეტში ქრომატოგრაფიას.

საპონინების გამოყოფა: საპონინების სტეარინებთან რთული კომპლექსის დაშლის მიზნით, ნედლეულს წინასწარ ამუშავებენ პეტროლეუმის ეთერით. შემდეგ საპონინების ექსტრაქტირებას ახდენენ წყლით, ეთანოლით, მეთანოლით ან მათი წყალხსნარებით. ჩვეულებრივ, 60-70%-ანი სპირტით გამოიყოფა გლიკოზიდები და საპონინების აგლიკონებიც. გამონაწურში ტრიტერპენოვან საპონინებს ლექავენ მძიმე მეტალებით (წარმოიქმნება მარილები). თუ მოხდა ქოლესტერინის კოპლექსის წარმოქმნა, მაშინ მას გამოყოფენ ბენზოლით, ხოლო თუ ცილოვანი კომპლექსი წარმოიქმნა - შლიან ადუღებული სპირტით (საპონინები გადადიან ხსნარში, ხოლო ცილა რჩება ნალექში). ტანინების კომპლექსიდან კი საპონინებს ათავისუფლებენ თუთიის ოქსიდით. საპონინების მიღებულ ფრაქციებს სვეტოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით ყოფენ ინდივიდუალურ ნივთიერებებად.

კუმარინების გამოყოფა: ნედლეულიდან კუმარინების გამოყოფას აწარმოებენ ეთანოლით. შემდეგ სქელ ექსტრაქტს ამუშავებენ დიეთილით, რომელშიც გადადიან აგლიკონები და ბალასტური ნივთიერების დიდი ნაწილი. ეთეროვან ფენას გამოყოფენ KOH 0,5%-ანი წყალხსნარით, შემდეგ კვლავ ამუშავებენ შემთბარი KOH 10%-ანი სპირტიანი წყალხსნარით. ხდება ლაქტონური რგოლის გაწყვეტა და წარმოიქმნება კუმარინატები, რომლებიც გადადიან წყლიან ფენაში, ორგანული გამხსნელის ფენაში რჩება ბალასტი. შემდეგ ახდენენ წყალხსნარის HCl-ით შემჟავიანებას, იკვრება ლაქტონური რგოლი და წარმოიქმნება კუმარინები. ქრომატოგრაფზე ფლუორენცირებისას კუმარინები ღებულობენ წითელ, ნარინჯისფერ ან იისფერ შეფერადებას.

მთრიმლავი ნივთიერებების გამოყოფა: მთრიმლავი ნივთიერებები წარმოადგენენ რთული აგებულების პოლიფენოლების ნარევს, ამიტომ მათი გამოყოფა და ანალიზი ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. მთრიმლავი ნივთიერებების გამოყოფა ხდება ცხელი წყლით მათი ექსტრაგირებისას. შემდეგ აგრილებენ და ექსტრაქტს თანმიმდევრულად ამუშავებენ: 1. პეტროლეინის ეთერით ან ბენზოლით (გამოიყოფა ლიპიდები და ტერპენოიდები), 2. დიეთილის ეთერით (გამოიყოფიან კატეხინები), 3. ეთილაცეტონით (გამოიყოფიან ლეიკოანტოციანიდები), სხვა დარჩენილი ფენოლური ნაერთების გამოსაყოფად მიმართავენ: ადსორბციულ და განაწილებით ქრომატოგრაფიას.

ალკალოიდების გამოყოფა: ალკალოიდების გამოყოფა ხდება მარილის ან ფუძის



სახით. მარილის სახით გამოყოფისას მიმართავენ სპირტიანი წყალხსნარით დამუშავებას, რომელიც 1-2%-იან მჟაუნმჟავას ან ძმარმჟავას შეიცავს. ასეთი დამუშავებისას ყველა ალკალოიდი მარილის სახით გადადის სპირტიან ხსნარში, მაგრამ მას თან ბალასტიც მიყვება. ბალასტის მოსაშორებლად ახდენენ გამონაწურის შემჟავიანებას და წარმოქმნიან ალკალოიდ-ფუძეებს და გამოყოფენ ორგანული გამხსნელებით. შემდეგ ორგანულ გამხსნელებს აორთქლებენ და დარჩენილი ალკალოიდების მასას ფრაქციებად გამოყოფენ ქრომატოგრაფიული მეთოდით.

### ლიტერატურა:

1. ნ. ჯულაყიძე, ნ. მარგველაშვილი. „სამკურნალო მცენარეები და ადამიანის ჯანმრთელობა“. ქუთაისი. 2012.
2. Карпук В.В. Фармакогнозия. Минск. 2011.
3. Безчаснюк Е.М., Дьяченко В.В., Кучер О.В. Процесс экстрагирования из лекарственного растительного сырья. Фармаком 1- 2003.

## **METHODS FOR DETECTION AND ALLOCATION OF BIOLOGICALLY ACTIVE SUBSTANCES FROM MEDICAL PLANTS**

**NINO DZOTSENIDZE**

**Akaki Tsereteli State University**

### **Summary**

One of the most important features of modern standard documentation is the discovery and identification of biologically active substances in their composition. The research is carried out with chemical, physicochemical and biological methods. Often use extraction method, resulting in a mixture of components. Then they are cleaned from impurities, divide into fractions or separate individual substances by chromatographic method. Extraction methods include: maceration, directing, perforation, simple extraction.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## ზოგიერთი სამკურნალო მცენარე ოჯახურ პირობებში

### მზია ბაქრაძე-ბურული

#### აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სამკურნალო მცენარეებს კვლავ თვალსაჩინო ადგილი უკავიათ სამკურნალო საშუალებათა არსენალში. განსაკუთრებით ხშირად მათ იყენებენ ოჯახურ პირობებში. მცენარეთა გამოყენება დაავადებათა სამკურნალოდ და ჯანმრთელობის გასაკაუებლად უძველესი დროიდან დაიწყო. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები იყენებდნენ ბუნების "ცოცხალი აფთიაქის" ნაზობებს. სტატიაში წარმოდგენილია თუ როგორ შეიძლება კომბოსტოსა და ჩვეულებრივი მოცვის გამოყენება სამკურნალოდ ოჯახურ პირობებში.*

კომბოსტო ბოსტნის - სამკურნალო და სამედიცინო დანიშნულება აქვს კომბოსტოს ფოთლებს სიცოცხლის პირველ წელიწადს. მასში არის შაქრები 5,7 % მდე, ცილები 2,3% მდე, უჯრედისი 1,6%. რომლებიც ნაწლავის მოტორულ ფუნქციებს აუმჯობესებს და სასარგებლო ნაწლავის ჩხირის სიცოცხლის უნარიანობაზე კეთილსასურველ გავლენას ახდენს. ასევე ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოყოფას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ათეროსკლეროზის თავიდან ასაცილებლად. კომბოსტოში აღმოჩნდა ტარტრონის მჟავა, რომელიც განაპირობებს სიმსუქნის თავიდან აცილებას, რადგან იგი ახდენს ნახშირწყლების ცხიმად გარდაქმნის ბლოკირებას. ორგანიზმისთვის ძალზედ სასარგებლოა კომბოსტოში შემავალი სხვადასხვა ფერმენტები, ფოსფორის მარილები და გოგირდი, ვიტამინები (C, A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>12</sub>, P). ეს ყველაფერი კომბოსტოს აქცევს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროდუქტად სამკურნალო და დიეტური თვალსაზრისით. P და C ვიტამინების არსებობა ახდენს დადებით გავლენას სისხლძარღვების კედლების გამტარობის მოშლილობის დროს, ამაგრებს კაპილარებს, განსაკუთრებით პოპულარულია კომბოსტოს კერძები დიაბეტის დროს.

გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მედიცინისათვის კომბოსტოში წყლულის საწინააღმდეგო თვისებების აღმოჩენას. დადგენილია, რომ კომბოსტოს ახალი წვენი ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შეხორცებას და ავადმყოფთა მდგომარეობა საკმაოდ სწრაფად მიჰყავს გამოჯამრთელებისაკენ ან მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისაკენ. ამასთან უკვე პირველ 5-10 დღეში ყუჩდება ან გადის ტკივილები და უმჯობესდება განწყობილება. კომბოსტოს წვენი სასარგებლოა კუჭის წვენის დაბალი გამოწვეული გასტრიტის, ქოლესტერინის, წყლულოვანი კოლიტის დროს.

ვარაუდობენ, რომ წყლულის საწინააღმდეგო მოქმედება განპირობებულია კომბოსტოში მნიშვნელოვანი რაოდენობის მეთილმეთიონინისულფონის არსებობით. წყლუ-



ლის საწინააღმდეგო ფაქტორის საკვები ნივთიერებებისადმი მიკუთვნება საფუძვლად დაედო მის ვიტამინად მიჩნევას. მან მიიღო u ვიტამინის სახელწოდება. თუმცა მრავალრიცხოვანმა ბიოლოგიურმა გამოკვლევამ და ავადმყოფებზე კლინიკურმა დაკვირვებამ გვიჩვენა, სუფთა მეთილმეთიონინსულფატის გამოყენება ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე კომბოსტოს წვენისმოქმედება. როგორც ჩანს, წყლულის წინააღმდეგ მოქმედება მართლაც ამ ნივთიერებით არ განისაზღვრება, გამოჩნდა გამოკვლევები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ u ვიტამინი გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე, ამუხრუჭებს ათეროსკლეროზის განვითარებას და სხვა.

კომბოსტოსა და სხვა ბოსტნეულის წყლულის საწინააღმდეგო ეფექტურობა დამოკიდებულია აღმოცენების პირობებსა და ადგილზე, მოკრეფის დროზე. ბიოლოგიური აქტივობის შენარჩუნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომბოსტოს დაკონსერვებისა და შენახვის წესს. დადგენილია რომ U ვიტამინი არამდგრადია იგი ადვილად იჟანგება და იშლება მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით. ამავ დროს იგი კარგად იტანს გამრობას და გაციებას.

კომბოსტოს ახალი წვენის დამზადება არ არის ძნელი, შეიძლება გამოიყენოთ ჩვეულებრივი წვენსაწური თუ იგი არ აქვთ, კომბოსტოს ატარებენ ჩვეულებრივ ხორცსაკეპში და წვენს სუფთა მარილით ან წვრილი ნაჭრით ქილაში ან ქვაბში ჩაწურავენ. რეკომენდებული არ არის წვენის 1-2 მეტი მარაგის მომზადება, რადგან ხანგრძლივი შენახვისას იგი ძველდება და იძენს არასასიამოვნო სუნს. ახალი წვენი გრილ ადგილზე ან მაცივარში უნდა ინახებოდეს. მისი მიღების ყოველდღიური დოზა 3-4 ჭიქა, რომელსაც სვამენ თანაბარ ულუფებად 3-4 მიღებაზე ჭამამდე 40წუთით ადრ., კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების მკურნალობის კურსი გრძელდება დაახლოებით ერთი თვე, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გავაგრძელოთ. უხერხულობა, რომელიც დაკავშირებულია წვენის მომზადების ყოველდღიურ აუცილებლობასთან და ცალკეულ რაიონებში, განსაკუთრებით ზამთრისა და საგაზაფხულო პერიოდების დროს, ქორფა კომბოსტოს უქონლობამ, უზიძგა მეცნიერებს შეექმნათ კონცეტრირებული და ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესანახი წვენის ფორმები. შემუშავებული იქნა მოსახერხებელი სამკურნალო ფორმა -- კომბოსტოს მშრალი წვენი. წვენის გამრობის პრინციპი, შრობა სწრაფი მტრადქცევის გზით ანალოგიურია მშრალი რძის მიღების მეთოდისა, რომლის დროსაც ფხვნილში შენარჩუნებულია ყველა ფასეული და სასარგებლო თვისება. კომბოსტოს მშრალი წვენის კლინიკურმა შემოწმებამ დაადასტურა მისი მაღალეფექტურობა.

ახალ და დამწნილებულ კომბოსტოს იყენებენ მადის აღსამკრელად და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად. რადგან დამწნილებისას კომბოსტოში შენარჩუნებუ-



ლია ვიტამინის მნიშვნელოვანი რაოდენობა, მჟავე კომოსტოს იყენებენ C ჰიპოვიტამინოზის პროფილაქტიკისათვის, კომბოსტოს იყენებენ სასაქმებელ საშუალებად ჩვეულებრივი ყაზბობის დროს. გვაქვს მონაცემები, ახალი წვენი ხველების საწინააღმდეგო და ნახველის ამოსაღები საშუალებაა, ასევე იგი კეთილსასურველ გავლენას ქოლევისტიტის დროს.

ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ კომბოსტოში არის ფიტონციდები, რომელთაც აქვთ ანტიბაქტერიული მოქმედება, კერძოდ ოქროსფერ სტაფილოკოკზე, ტუბერკულოზის ჩხირზე და სხვა. აქტიური ფიტონციდების არსებობით, როგორც ჩანს აიხსნება კომბოსტოს გარკვეული მოქმედება ხალხურ მედიცინაში, მისი გარეგანი გამოყენების დროს. ასე მაგალითად, კომბოსტოს ფოთლების ფაფას არეულს კვერცხის ცილასთან, იღებენ ჩირქოვან ჭრილობებზე და წყლულებზე, დამწვრობებზე და ა.შ. დაქუცმაცებულ ფოთლებს რძეში მოხარშულს ურევენ ქატოში და იღებენ კანზე საყმაწვილოსა და ეგზემის და სხვა დროს. კომბოსტოს ახალ წვენს განზავებულს თბილი ადუღებული წყალით, იყენებენ პირის ღრუს გამოსავლებად ანთებითი დაავადებებისას.

**მოცვი** ჩვეულებრივი - მედიცინაში იყენებენ მოცვის ნაყოფს და ფოთლებს. მოცვის მწიფე ნაყოფს აგროვებენ ხელით. გაშრობის წინ კენკრას გადაარჩევენ და აჭკნობენ მზეზე. აშრობენ ჰაერზე, სხვენზე, განიავებულ შენობაში, ღუმელებსა და საშრობებში 65 გრადუს ტემპერატურამდე, სუფთა გადასაფარებელზე თხელ ფენად გაშლილს. სასურველია გაშრობის დროს თანდათან ავამაღლოთ ტემპერატურა. ნაყოფს ინახავენ მშრალ ადგილზე 2 წლის განმავლობაში. ფოთლებს აგროვებენ მაის- ივნისში ხელით. მას აშრობენ მზისგან და ქარისგან დაცულ შენობაში.

მოცვის კენკრას საკვებად იყენებენ ახალს, გამომშრალს და გადამუშავებულს, მოცვის შემკვრელი თვისება განისაზღვრება კენკრაში მთრიმლავი ნივთიერებების არსებობით. კენკრისგან მომზადებულ გემრიელ მოცვის ღვინოს აქვს სამკურნალო- დიეტური თვისებები და რეკომენდირებულია როგორც ფადარათიანობის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალება, ასევე მოქმედება აქვს ახალ კენკრას, წყლიან ნაყენს კენკრის ნახარშს, მოცვის კისელს. მოცვის კენკრა კუჭნაწლავის მოქმედების მშვენიერი რეგულატორია, ისინი ახდენენ კეთილსასურველ მოქმედებას კუჭისა და ნაწლავის კატარის დროს (განსაკუთრებით კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის დროს). მას იყენებენ დიზენტერიის დროსაც. ნაყენის მოსამზადებლად 3-4 ჩაის კოვზ კენკრას 2 ჭიქა ადუღებულ წყალს დაასხამენ, დგამენ 4-5 საათის განმავლობაში და სვამენ 1/4 ჭიქას 5-6 ჯერ დღეღამეში. ნახარშისთვის იღებენ 1 სუფრის კოვზ კენკრას და ჭიქა წყალში ადუღებენ იქამდე, სანამ არ დარჩება 1 ჭიქა სითხე, გაწურვის შემდეგ ნახარშს სვამენ თბილი სახით 1/4 ჭიქას 4-ჯერ დღეში ჭამის წინ. კისელისთვის 1 სუფრის კოვზ კენკრას 1,5 ჭიქა წყალში ხარშავენ



(1 ჩაის კოვზი კარტოფილის სახამებელისა და შაქრის დამატებით). კისელს ნახევარ ჭიქას 3-ჯერ დღეში, მოცვის კენკრა შედის აგრეთვე ფაღარათის საწინააღმდეგო ჩაის შემადგენლობაში.

მოცვის კენკრის ექსტრაქტები შეიცავენ მხედვლობის გასაუმჯობესებელ ნივთიერებებს, ამასთან დაკავშირებით პროფილაქტიკურ საშუალებად მისი მიღება რეკომენდირებულია იმ პირთათვის ვისი მუშაობა მოითხოვს მხედველობის მნიშვნელოვან დაძაბულობას (მძღოლები, მემანქანეები, პილოტები და სხვ.)

მოცვის წვენი და კენკრის ნახარში კარგი გამოსავლები საშუალებაა პირის ღრუსა და ღრძილების, ხახის პირისა და ხორხის ლორწოვანი გარსის ანთების წინააღმდეგ, სქლად მოხარშულ კენკრას იყენებენ კომპრესებად და სველ საფენებად სველი ეგზემისა და კანის ზოგიერთი სხვა დავადებების სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში კენკრას იყენებენ თირკმლებში კენჭების, ნიკრისის ქარის რევმატიზმის და სხვა სისხლნაკლებობის სხვა დავადებების დროს.

მოცვის ფოთლებიდან სახლის პირობებში ამზადებენ ჩაის, რომელსაც სვამენ შარდის ბუშტის ანთების დროს. ფოთლებს იყენებენ კუჭში ჭვავის დროსაც, ქრონიკული ენტერიტის, ნაღველკენჭოვანი და შარდკენჭოვანი დაავადებებისას. ფოთლების ექსტრაქტს, ნახარშსა და ნაყენს იყენებენ დიაბეტის დროს. მასში გლიკოზიდ ნეომირტილინის არსებობის წყალობით მცირდება სისხლში შაქრის კონცენტრაცია. ნაყენის დღის ულუფის მოსამზადებლად 3 კოვზ დაქუცმაცებულ ფოთოლს 3 ჭიქა ადუღებულ წყალს ასხამენ, სვამენ გაციებული სახით თითო ჭიქას 3 ჯერ დღეში. პოპულარულია ასევე მოცვის ფოთლების და ლობიოს ჭოტაკების თანაბარი ნაწილების ნახარშის გამოყენება.

### ლიტერატურა

1. ლ. ი. სკლიარევსკი, ი.ა. გუბანოვი. სამკურნალო მცენარეები ოჯახურ პირობებში. თბ. 1993.
2. ზ. შენგელია. საქართველოს სამკურნალო მცენარეები. თბ., 1952.
3. ი. ქუთათელაძე. სამკურნალო და ზოგიერთ ტექნიკურ მცენარეთა რესურსები საქართველოში. თბ., 1945.
4. ნ. წუწუნავა. მცენარე, როგორც სამკურნალო საშუალება ძველ საქართველოში. თბ., 1959.
5. А.Н. Обухов. Лекарственные растения, сырье и препараты - Краснодарское книжное издательство. 1960

თანამედროვე ფარმაცია – მეცნიერება და პრაქტიკა



## SOME MEDICINAL PLANTS OF THE FAMILY CONDITIONS

MZIA BAKRADZE-GURULI

Akaki Tsereteli State University

### Summary

The use of plant diseases and improve the health of ancient times. People are still using primitive nature. Medicinal properties of plants currently transmitted from generation to generation, and how they are used, mentioned in ancient legends and myths and the legends. The article discusses the therapeutic value of cabbage and bilberry, and their family in terms of production rules.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## ბენზილიზოქინოლინის ალკალოიდების ურთიერთბარდაქმნა

### ნ. კუპატაშვილი

#### აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*მკვლევარების მიერ ფართოდ არის შესწავლილი მედიცინაში პოტენციურად ღირებული ბენზილიზოქინოლინური ალკალოიდების ბიოსინთეზი, მათი ურთიერთგარდაქმნა, და გამოყოფის ეფექტური მეთოდები. ბენზილიზოქინოლინის ალკალოიდების წინამორბედს წარმოადგენს S-რეტაკულინი. შეგვისწავლეთ ბენზილიზოქინოლინური ალკალოიდების ურთიერთგარდაქმნის გზები მცენარეში, და ის ძირითადი რეაქციები, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ ალკალოიდების სტრუქტურის წარმოქმნისთვის; ლაბორატორიულ პირობებში მივიღეთ კოკლასურინის სხვადასხვა ნაწარმები.*

ადამიანი საუკუნეების განმავლობაში მინდობილი იყო ბუნებაზე, ღებულობდა ბუნებრივ პროდუქტებს, რათა განკურნებულყო სხვადასხვა დაავადებისგან. სამკურნალო მცენარეები წარმოადგენს ტრადიციული მედიცინის საფუძველს. ამას მოწმობს 2600 ჩვ.წ. აღრიცხვამდე ნაპოვნი მასალა, რომელიც მოიცავს 1000–მდე სამკურნალო მცენარის გამოყენების წესებს. ინტერესი ბუნებრივი სამკურნალო მცენარეების გამოკვლევაზე დღემდე არ შენელებულა. ალკალოიდები მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, მკვლევარებისთვის აქტუალური პრობლემას წარმოადგენს ალკალოიდ შემცველი მცენარეების მოძიება, მისი ქიმიური შედგენილობის დადგენა და ბიოლოგიური აქტიურობის შესწავლა [1]. ამ მიზნით ჩვენს მიერ წლების განმავლობაში შესწავლილი არის ალკალოიდშემცველი მცენარეები, მათგან მნიშვნელოვანია ალკალოიდების ტიპის მრავალფეროვნებით *Cocculus Laurifolius* D. კოკულუსუს ფოთლებიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებული იქნა 10 ალკალოიდი, ერთრინის, აპორფინის და ბენზილიზოქინოლინის ტიპის ალკალოიდები. შესწავლილი იქნა მათი ექსტრაქტების ბიოლოგიური აქტიურობა სხვადასხვა მიკროორგანიზმების მიმართ [5].

ამჯერად ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შეგვისწავლა ბენზილიზოქინოლინური ალკალოიდების ურთიერთგარდაქმნის გზები მცენარეში, და ის ძირითადი რეაქციები, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ ალკალოიდების სტრუქტურის წარმოქმნისთვის; და ანალოგიურად ლაბორატორიულ პირობებშიც მიგველო მათგან სხვადასხვა ნაწარმები.

ცნობილია ბენზილიზოქინოლინის ალკალოიდების 225 სხვადასხვა ნაერთი, რომლებიც 14 სხვადასხვა მცენარისგან არის იზოლირებული. ბენზილიზოქინოლინის ალკალოიდებით განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ოჯახი: Berberidaceae, Menispermaceae, Monimiaceae and Ranunculaceae. ბენზილიზოქინოლინის ყველაზე მნიშ-






ვენელოვანი წყარო Menispermaceae ოჯახია, რომელიც წარმოდგენილია 21 სახეობით. ბენზილიზოქინოლინური ალკალოიდების ყველაზე მდიდარი წყაროებია ბერბერის ჯიშის მცენარეები (Berberidaceae), Daphnandra (Monimaceae) და Thalictrum (Ranunculaceae)[4].


ალკალოიდების ბიოსინთეზის ბუნებრივი გზებისძიება, რთული, მეორადი პროდუქტების მისაღებად, დიდხანია მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს. ბენზილიზოქინოლინის ალკალოიდების ურთიერთგარდაქმნის შესწავლით, ამ გარდაქმნათა ჯაჭვის გამოყენებით, ინდივიდუალური ალკალოიდების, მათი წარმოებულების ფართო სპექტრის მიღებაა შესაძლებელი, რაც წარმოადგენს ახალი ქიმიური მოდიფიკაციისა და ახალი ბიოლოგიური აქტიურობის შესწავლის საფუძველს [2,3].

მკვლევარების მიერ ფართოდ არის შესწავლილი მედიცინაში პოტენციურად ღირებული ბენზილიზოქინოლინური ალკალოიდების ბიოსინთეზი, ურთიერთგარდაქმნა, მათი გამოყოფის ეფექტური მეთოდები. ბენზილიზოქინოლინის ალკალოიდების წინამორბედს წარმოადგენს S-რეტიკულინი. ამ მნიშვნელოვანი შუალედური პროდუქტის ბიოსინთეზი დაწყებული პირველადი მეტაბოლიტების– L-თიროქსინის ბიოსინთეზიდან, შესწავლილია ფერმენტულ დონეზე [3].





ჩვენს მიერ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მზარდი მცენარე *Cocculus Laurifolius*–დან მიღებული და იდენტიფიცირებული იქნა ბენზილტეტრაჰიდრო იზოქინოლინის ალკალოიდი კოკლაურინი. კოკლაურიდან მიღებული იქნა იურიზინი[6].



აღნიშნული ალკალოიდი არ აღინიშნება ადრე შესწავლილ მცენარეთა ბიოსინთეზურ გარდაქმნებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გარდაქმნა ახასიათებს ამ სახეობის მცენარეს. ლაბორატორიულ პირობებში კოკლაურიდან მიღებული იქნა აგრეთვე ალკალოიდი მეთილკოკლაურინი.

### ლიტერატურა

1. Modern Alkaloids: Structure, Isolation, Synthesis and Biology. Edited by E. Fattorusso and O. Tagliatela-Scafati, Copyright 2008 WILEY-VCH Verlag GmbH & Co. KGaA, Weinheim.
2. Yixi Liu. Isolation and Structure Elucidation of Anticancer and Antimalarial Natural Products. 2015, Blacksburg, Virginia.
3. Deepak Kumar Semwal a,\* , Ruchi Badoni b, Ravindra Semwal c, Sudhir Kumar Kothiyal b, Gur Jas Preet Singha, Usha Rawat. The genus *Stephania* (Menispermaceae): Chemical and pharmacological perspectives. *Journal of Ethnopharmacology*, 132 (2010) , 369–383.
4. M. H. Zenk . The formation of benzophenanthridine alkaloids .*Pure & Appl. Chem.*, Vol. 66, Nos 10/11, pp. 2023-2028, 1994. Printed in Great Britain. 1994 IUPAC.
5. N. Vachnadze, N. Kupatashvili, L. Kelbakiani, D. Tsakadze, L. Baramidze. Study of *Boxus Colchica*, *Magnolia Grandiflora* and *Cucurbita* growing in Georgia on content of biologically active compounds. *Chemical of Advanced Compounds and Materials*, Nova Science Publishers, Inc. New York, 2007, pp. 283-287.
6. D. Tsakadze, L. Baramidze, Kupatashvili N., Vepkvadze T. *Medicine from the Plants of Georgian Flora*: New



## TRANSFORMATIONS OF BENZYLISOQUINOLINE ALKALOIDS

N. KUPATASHVILI

Akaki Tsereteli State University

### Summary

In the broadest sense, natural products include any substance produced by life, but the term is commonly used in reference to chemical compounds or substances produced by a living organism found in nature. Natural products often have pharmacological or biological activities. Therefore, humans have relied on nature for their basic needs throughout the ages, especially for the treatment of a wide spectrum of diseases. Plants, in particular, have formed the basis of traditional medicine systems, and records dating from around 2600 document the uses of approximately 1000 plant-derived substances. Alkaloids are biologically active substance. Natural methods of biosynthesis of alkaloids for obtaining secondary products have long been in the center of attention of scientists. The benzyloquinoline alkaloids are particularly abundant in plants of the families Berberidaceae, Menispermaceae, Monimiaceae and Ranunculaceae. we studied alkaloids from the family Menispermaceae *Cocculusaurifolius*. the transformation of alkaloids such as erythrine and benzyloquinoline type was easily carried out in the laboratory.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



**DIRECTION 2. ELABORATION OF FORMULATION AND TECHNOLOGY OF MODERN COSMECEUTICALS, CHEMICAL-PHARMACEUTICAL AND BIOTECHNOLOGICAL PREPARATIONS. THEIR BIOPHARMACEUTICAL AND PHARMACOLOGICAL STUDY**

**მიმართულება 2. თანამედროვე ქიმიურ-ფარმაცევტული, კოსმეტიკური და ბიოტექნოლოგიური პრეპარატების რეცეპტურისა და ტექნოლოგიის შემუშავება, ბიოფარმაცევტული შესწავლა**

**NEW OINTMENT FOR TREATING MYCOSES AND THE RESULTS OF ITS STUDY**

**NINO ABULADZE\*, PAVEL IAVICH\*\*, MAKA JAVAKHIA\*, KETEVANI GABUNIA\*, MANONI GABELASHVILI\***

**Akaki Tsereteli State University\***

**Tbilisi State Medical University – I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry \*\***

*The performed studies have brought the development of ointments and suppositories, two samples for each. There have been carried out their pharmaceutical analysis, microbiological test for the efficacy and standards have been written. The positive results of studies have raised interest in proving efficacy of the developed dosage forms on volunteers, mostly on our inner circle. One of the ointment samples was tested and positive results have been obtained. There has also been made conclusion on the desirability of moving to the next stage after the test of preparation.*

Mycoses are one of the commonest diseases in practice of doctors-dermatologists. The fungal dermatitis diseases continue leadership in the dermatitis structure: according to various data, mycoses account 37-42% of all skin and nail disorders. One of the ways for reducing the incidence of foot mycoses consists in the necessity of studying epidemiological conditions specific for every region, a degree of urbanization, working conditions, and clinical particularities in order to increase the effectiveness of the fight against mycoses. In most cases, mycoses are the main sources of fungal infection dissemination among the population, and they represent a sort of “ a transit point” for dissemination of pathological process of feet, nails and body.

The growing share of fungus disorders in the overall structure of infectious diseases over the past two decades is explained by a number of endogenous and exogenous factors. Mycoses have a negative impact on the quality of life and overall health of patients, hitting the most productive



portion of the population, and make this problem not only medical, but socio-economic as well. Treatment of mycoses is now undergoing some changes - there is a tendency to the rapid chronization and prevalence of this process.

After the appearance and practical application of the systemic antifungal drugs, many dermatologists have started to doubt about the advisability of the provision of local antifungal therapy. However, after a while, it became clear that the use of the systemic antifungal drugs is not advisable for all patients because of higher risk of possible development of adverse events. In some cases, the antimycotic agents for outward application not only have no the necessary effect, but even contribute to aggravation of inflammatory process. This is conditioned by the following two reasons: mycotic process proceeds abruptly with frank exudation, and even prescription of the effective antifungal remedies may lead to strengthening the manifestation of inflammatory process.

The way out of this situation is to find the safe preparations of vegetable origin for local treatment of mycoses, which have no side effects, and they strengthen protective forces of the organism. They have an important place in treatment and prevention of infections of a mild or medium severity. In practice, all of them are produced from plants, and they are effective against bacteria, viruses and fungi. The modern chemical-pharmaceutical technologies allow for using natural substances as effectively as possible, since there are being developed the new processing methods and forms for the production of natural preparations.

The proposed paper describes the composition of ointment, containing vegetable matters for treating foot mycoses and vagina, as well as the methodologies for using and treating. The ointment is of hydrophilic base and contains tannins, gallic and lactic acids as biologically active substances. Preliminary microbiological studies have demonstrated its high activity against some species of fungous flora. A thin layer of ointment is applied on the foot surface, which is hit by mycoses, twice a day, within 2-2,5 weeks. Also, it can be inserted in vagina in the form of tampon, and left their for half an hour, once a day within 10 days. Herewith, the following results have been obtained: we have tested the processed ointment in Microbiology laboratory of Kutaisi National Center for Disease Control and Public Health (NCDC). The three-time microbiological studies carried out during the period from May 2014 to March 2016 have on the strains of *Candida albicans* shown fungicidal effect with suppression of the growth zone from 8 to 15 mm in almost 90% of all cases. The ointment was also tested on volunteers with good results as well. The preparation tolerance was also good. No side effect have been observed. Thus and so, the proposed preparation for treating mycoses can complete the arsenal of the existing antimycotic remedies intended for local treatment.

#### REFERENCES

1. Abuladze N., Javakhia M., Gabunia K., Iavich P., Gabelashvili M.. Creation of Ointment Compositions Containig Phenol Compounds for Medical Treatment. Georgian Medical News. 2015; 247 (10): 77-81. <http://www.geomednews.org/>
2. N. Abuladze, K. Gabunia, M. Javakhia, M. Gabelashvili, P. Iavich. Standardization of Ointment for Treating Mycosis of



- Feet and Vagina. Proceedings of the National Academy of Sciences. Chemical series. 2016. 1(42): 105–107.
3. N. Abuladze, K. Gabunia, M. Javakhia, M. Gabelashvili, P. Iavich. Suppository Standardization for Treating Mycosis of Vagina. Proceedings of the National Academy of Sciences. Chemical series. 2016.1(42): 108–110.
  4. Nino Abuladze, Maka Javakhia, Ketevan Gabunia, Manoni Gabelashvili. Elaboration of the Potential Ointment for Treatment Vaginal Yeast Invasive Diseases Caused by Fungus of the Genus Candida. Proceedings of the National Academy of Sciences. Chemical series. 2015. 41(4): 390-393.
  5. Nino Abuladze, Maka Javakhia, Ketevan Gabunia, Manoni Gabelashvili. Elaboration of the Potential Suppositories for Treatment Vaginal Yeast Invasive Diseases Caused by Fungus of the Genus Candida. Proceedings of the National Academy of Sciences. Chemical Series. 2015.41(4): 394-396.
  6. Abuladze Nino, Gabelashvili Manoni, Javakhia Maka, Gabunia Ketevani. „Some Issues of Obtaining an Ointment from Vegetable Raw Materials Common in Georgia Against Fungal Diseases“. 2015. Kutaisi. ATSU. International Scientific Conference Modern Problems of Ecology. Vol. IV.

**NEW OINTMENT FOR TREATING MYCOSES AND THE RESULTS OF ITS STUDY**  
**NINO ABULADZE\*, PAVEL IAVICH\*\*, MAKA JAVAKHIA\*, KETEVANI GABUNIA \*, MANONI GABELASHVILI\***

**Akaki Tsereteli State University \***

**Tbilisi State Medical University – I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry \*\***

**Summary**

The carried studies have resulted in the development of the formulas of ointments and suppositories, two samples for each, produced from Georgia’s rich plant raw materials, as well as by using other therapeutic substances and a highly-effective emulsion base for treating skin mycosis and vaginomycosis. There have been carried out their pharmaceutical analysis, microbiological test for the efficacy and standards have been written.

The positive results of studies have also raised our interest in proving efficacy of the developed dosage forms on volunteers, mostly on our inner circle. One of the ointment samples was tested and positive results have been obtained. There has also been made conclusion on the desirability of moving to the next stage after the test of preparation.

**ახალი მაღამო მიკოზების მკურნალობისათვის და მისი კვლევის შედეგები**  
**ნინო აბულაძე\*, პაველ იავიჩი\*\*, მაკა ჯავახია\*, ქეთევანი გაბუნია\*,**  
**მანონი გაბელაშვილი\***

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი\***

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი\*\***  
**რეზიუმე**

ჩატარებული კვლევებით საქართველოს მდიდარი მცენარეული ნედლეულიდან, ასევე სხვა სამკურნალო ნივთიერებებისა და მაღალეფექტური ემულსიური ფუძის გამოყენებით შემუშავებულია მაღამოებისა და სუპოზიტორიების რეცეპტურის ორ-ორი ნიმუში კანისა და საშოს მიკოზების სამკურნალოდ. ჩატარებულია მათი ფარმაცევტული ანალიზი, მიკრობიოლოგიური კვლევა ეფექტურობაზე და დაწერილია სტანდარტები.

კვლევების დადებითმა შედეგებმა გამოიწვია ჩვენი ინტერესი დაგვედასტურებინა შემუშავებული წამლის ფორმების ეფექტურობა მოხალისეებზეც; ძირითადად ჩვენს უახლოეს გარემოცვაზე. გამოიცადა ერთ-ერთი მაღამო, მივიღეთ კარგი შედეგები. გაკეთდა დასკვნა პრეპარატის გამოცდის შემდეგ ეტაპზე გადასვლის მიზანშეწონილობის შესახებ.



## UTILIZATION OF AGRO-INDUSTRIAL WASTES BY MODERN EXTRACTION METHODS

MZIA TSITSAGI, MARIAM CHKHAIDZE, MANANA BUZARIASHVILI,  
MIRANDA KHACHIDZE, GIORGI KANDELAKI, IMEDA RUBASHVILI, TSIURI  
RAMISHVILI, KETEVAN EBRALIDZE, VLADIMER TSITSISHVILI

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi  
State University

*Winemaking and production of citrus, tomato and onion gives wastes, a rich source of commodities – biologically active products. Supercritical Fluid Extraction (SFE) and ultrasound-assisted SFE techniques have been used to obtain grape seed oil and antioxidants from waste of winemaking, natural food colorants lycopene and carotene from tomato skin, quercetin and natural dye from onion skin, as well as limonene, carotene and pectin from tangerine and orange peel. The highest yield of grape seed oil is defined in “Saperavi”, red onion skin contains up to 100 mg/g of extractable anthocyanidin colorants, the content of  $\beta$ -carotene per 1 g of dried agro-industrial waste varies 8.4 – 12.8  $\mu$ g (tomato skin), 25.6 – 32.2  $\mu$ g (tangerine peel), 41.7 – 59.2  $\mu$ g (orange peel), and the content of lycopene – 165 – 180  $\mu$ g (tomato skin), 11.1 – 17.9  $\mu$ g (tangerine peel), 8.4 – 10.6  $\mu$ g (orange peel). In any case ultrasound-assisted extraction provides high yield of target products.*

Winemaking, production of citrus, tomato and onion are the main branches of agriculture in Georgia, after recycling giving a large amount of waste materials (grape seeds and skin, orange and tangerine peel, tomato paste waste, etc.), a rich source of commodity products – oils, flavor, natural pigments, antioxidants, pectin, etc. Modern concept of utilization of agro-industrial wastes focuses on complete utilization and use environmentally friendly separation method, which needs standard technological equipment for industrial application.

Supercritical Fluid Extraction (SFE) is the separation technique making possible to get high quality target products. SFE is based on the enhanced solvating power of gases above their critical point. One of the most frequently used supercritical fluids is carbon dioxide CO<sub>2</sub>. Besides the advantages of having a low critical temperature and being neither toxic nor flammable, carbon dioxide is also available at low cost and high purity. On account of these characteristics, the fluid is an ideal solvent in the food dye, pharmaceutical and cosmetic industries, where it is essential to obtain final products of a high degree of purity. Following sequential SFE methods have been developed:

- sequential SFE of grape seed oil and antioxidants from waste of winemaking [1];
- sequential SFE of natural food colorants lycopene and carotene from tomato skin [2]
- sequential SFE of quercetin and natural dye from onion skin [3];
- sequential SFE of limonene, carotenes, hesperidin and pectin from citrus peel [4,5].

All methods have been developed in the Laboratory of Chemistry of Organic Compounds, the Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, on a home-built SFE system (see Figure 1) and are customized for local waste material.




Fig. 3. The scheme of supercritical fluid extraction system

Novelty is in selection of optimal SFE parameters, co-solvents for selective and complete recovery of target products, the use of ultrasound-assisted extraction (UAE) [6], carried out in ultrasonic bath P 300 H (Elma Schmidbauer, Germany). The application of ultrasound disrupts the cell wall structure and accelerates diffusion through membranes, allows cellular material release and improves mass transfer as well. Ultrasound-assisted

extraction is an upcoming extraction technique that can offer high reproducibility in shorter time, higher yields of bioactive compounds, simplified manipulation, decreased temperature during processing, reduced solvent consumption, and lower energy input.

SFE of grape seed oil has been carried out at different temperature (40-70°C) and pressure (up to 300 atm.), under static and dynamic (flow rate 2 ml/min) conditions. Pure supercritical CO<sub>2</sub> removes >95% of the oil from the grape seeds, highest yield (up to 15.6%) is for the variety “Saperavi”, “Rkatsiteli” gives up to 14.8%, lowest yield is for the “Aladasturi” (averaged 10.3% for grapes from Kakheti, 9.5% for grapes from Imereti). Influence of ultrasound on SFE of the grape seed oil results in a 5% increase of the yield, or in reduction of temperature (to 25°C) and pressure (to 100 atm.) used in the process.

Black grape skin contains a great number of polyphenol compounds, the concentration of which varies greatly according to the variety of grapevine and is influenced by cultivator, season and environmental factors. All black and red grapes are good source of anthocyanins, colored natural compounds, characterized by the proved antioxidant activity and high solubility in water, allowing their easy incorporation into aqueous food systems. SFE by CO<sub>2</sub> modified with ethanol and ethanol/water was used for the extraction of >80% monomeric polyphenols and some dimers. Cheap and fast ultrasound (37 kHz) extraction of anthocyanins from the “Saperavi” skin using different ratio of ethanol/water mixture, gives very good recovery of target products at 25°C.

Flavonoid quercetin (C<sub>15</sub>H<sub>10</sub>O<sub>7</sub>) was extracted from red onion outer skin by supercritical CO<sub>2</sub> modified with acetone, supercritical CO<sub>2</sub> modified with ethanol/acetic acid (80:1) was used for extraction of anthocyanidin colorants, listed below:

Basic structure (R <sub>4</sub> '= R <sub>3</sub> = R <sub>5</sub> = R <sub>7</sub> =OH, R <sub>6</sub> =H)	Anthocyanidins	R <sub>3</sub> '	R <sub>5</sub> '
	Cyanidin	-OH	-H
	Delphinidin	-OH	-OH
	Pelargonidin	-H	-H
	Malvidin	-OCH <sub>3</sub>	-OCH <sub>3</sub>
	Peodin	-OCH <sub>3</sub>	-H
	Petunidin	-OH	-OCH <sub>3</sub>





Total content of anthocyanidins in onion skin is in a range of 85 – 107 mg/g, ultrasound-assisted extraction provides high yield of target products.

Carotenoids (tetraterpenoids  $C_{40}H_{56}$ , molecules containing a polyene chain consisting of 9-11 double bonds and possibly terminating in rings) are one of the most important natural lipo- and hydro-soluble food colorants, characterized by null toxicity and provitamin A activity. Lycopene ( $\psi,\psi$ -carotene) and beta-carotene ( $\beta$ -carotene) have been isolated from the skins of ripe tomato by SFE, optimal operative conditions are: temperature 65-70°C, pressure 250-300 atm., 5% acetone as a co-solvent, static extraction time – 1 hour, dynamic extraction time at a flow rate 2 mL/min – 2 hours.

Tangerine and orange peel after drying and grinding have been exposed to sequential SFE increasing the polarity of the supercritical fluid using different solvents as a modifier of  $CO_2$  in stepwise extraction:

- essential oil by pure  $CO_2$ ,
- carotenes by acetone modified  $CO_2$ ,
- flavanones by methanol modified  $CO_2$ ,
  - hesperidin recovery from extract, and
  - pectin recovery from dry waste material.

It was found that at subcritical conditions yield of oil is lowest, but most selective. As the temperature, pressure and extraction time increases, yield of oil increases, but selectivity drastically reduces. The extracted oil found to extract carotenoids and imparting orange color to the extract. Optimal conditions for isolation of  $\beta$ -carotene free tangerine oil are 100 atm pressure, 35°C temperature, and 15 min equilibrium time, the yield of such pale yellow oil varies is 0.8-0.9%, and according to the GC-MS (Agilent Quadrupole GC-MS 790B1/5977A system) data, the principal compound is d-limonene (1-methyl-4-(1-methylethenyl)-cyclohexene,  $C_{10}H_{16}$ ).

Acetone (7%) was used as co-solvent in the second step of extraction, optimal parameters are 150 atm, 40°C and 1 hour equilibrium, 1 hour dynamic extraction time, flow rate 2 mL/min. The obtained carotenoid-containing extract solutions were analysed by the HPLC (Agilent 1260 Infinity HPLC system) method, results are given in the following table:

Samples	The content of carotenoids in dry waste material, $\mu\text{g/g}$			
	Beta-carotene		Lycopene	
	Extraction technique			
	UAE	SFE	UAE	SFE
Tomato skin	9.06 – 10.67	8.39 – 12.75	165.11 – 173.79	165.76 – 179.56
Tangerine peel	26.77 – 31.64	25.65 – 32.18	12.25 – 15.96	11.12 – 17.91
Orange peel	42.01 – 54.65	41.66 – 59.16	8.37 – 9.89	9.65 – 10.65

Nonsoluble in acetone flavanones have been isolated during the third step of extraction with application of methanol (7%) as co-solvent, optimal parameters are 250 atm pressure, 60°C



temperature, 1 hour equilibrium and 30 min dynamic extraction time, 2 mL/min flow rate, extracts were collected in ice water.

Crude hesperidin (2S)-5-hydroxy-2-(3-hydroxy-4-methoxyphenyl)-7-[(2S,3R,4S,5S,6R)-3,4,5-trihydroxy-6-[[[(2R,3R,4R,5R,6S)-3,4,5-trihydroxy-6-methyloxan-2-yl]oxymethyl]oxan-2-yl]oxy-2,3-dihydrochromen-4-one,  $C_{28}H_{34}O_{15}$ , was recrystallised in dimethyl sulfoxide, yeild of hesperidin is in a range of 1.6-1.8%.

At least high quality pectin (heteropolysaccharide, methylated ester of polygalacturonic acid containing 1,4-linked  $\alpha$ -D-galacturonic acid residues [7] was extracted from dry residue of tangerin peel. The main use for pectin is as a vegetable agglutinate, it is usually added in jams and jellies as a gelling agent, as a fat substitute in spreads, ice-cream and salad dressings. According to Y.Liu al. [8], pectin has been shown to lower blood cholesterol levels and low-density lipoprotein cholesterol fractions. It was reported [9] that pectin supplementation in the diet forbids excess galectin-3 (a protein involved in cell growth) from binding receptors that might result in the spread of cancer cells through angiogenesis or blood vessel growth.

The extraction procedure was based on method firstly proposed by M.Kratchanova at al. [10], considering several variables and application of ultrasonic extractor operating at the frequency of 20 kHz. Optimal operative conditions are pH=1.5, extraction time – 25 min, the temperature – 50°C. Purification of pectin via alcohol-precipitation procedure (APP) also is described in literature [11,12], characterization of pectin is the aim of following reserches.

Hence, stepwise supercritical fluid extraction of bioactive compounds from agro-industrial waste materials is simple, effective, eco friendly separation method, which provides high quality of target products and needs one standard technological equipment. Design of sequential stepwise extraction methodology requires following preliminary study:

- Selection of valuable bioactive compounds available from waste material
- General feasibility study for large scale production of these bioactive compounds and demand of local market
- Selection of proper extraction method
- Determination of sequence of steps to extract selected bioactive compounds

## REFERENCES

1. G. Kvartskhava, M.Tsitsagi, M.Chkhaidze, M.Khachidze, I.Jinikashvili Utilization of winery wastes by using supercritical  $CO_2$ . Proc. Georgian Nat. Acad. Sci., chem. ser., 2010, v. 36, No 2, p. 149-152.
2. M.Chkhaidze, M.Tsitsagi, K.Ebralidze, M.Khachidze, N.Chaganava. Supercritical fluid extraction of natural colorants from tomato skin. Proc. Georgian Nat. Acad. Sci., chem. ser., 2012, v. 38, No 2-3, p. 262-264.
3. M.Tsitsagi, M. Chkhaidze, M. Khachidze, M.Buzariashvili, K.Ebralidze. Sequential supercritical fluid extraction of quercetin and colorants from red onion (*Allium cera*). Proc. Georgian Nat. Acad. Sci., chem. ser., 2014, v. 40, No 4, p. 264-266.
4. M.Tsitsagi, M. Ckhaidze, G.Balarjishvili, M.Khachidze, M.Buzariashvili, K.Ebralidze. Extraction of pectin from tangerine peel. Proc. Georgian Nat. Acad. Sci., chem. ser., 2015, v. 41, No3, p. 86-88.



5. M.Tsitsagi, M.Chkhaidze, M.Khachidze, M.Buzariashvili, K.Ebralidze, Ts.Ramishvili, V.Tsitsishvili. Sequential supercritical fluid extraction of essential oil, carotinoids and bioflavanoids from tangerine (Citrus Unshiu) peel. Proc. Georgian Nat. Acad. Sci., chem. ser., 2015, v. 41, No 3, p. 248-250.
6. M.Tsitsagi, M.Chkhaidze, M.Khachidze, M.Buzariashvili, V.Tsitsishvili. Utilization of agro-industrial waste materials by using sequential supercritical fluid and ultrasound extraction methods. Proc. Georgian Nat. Acad. Sci., chem. ser., 2016, v. 42, No 3, p. 378-383.
7. S.Levigne, M.C.Ralet, J.F.Thibault. Characterization of pectins extracted from fresh sugar beet under different conditions using an experimental design. Carbohydrate Polymers, 2002, v. 49, p. 145-153.
8. Y.Liu, J.Shi, T.A.G.Langrish. Water based extraction of pectin from flavedo and albedo of orange peels. Chemical Engineering Journal, 2006, v. 120, p. 203-209.
9. A.Walding. Pectin-Rich Fruits. 2011, *Livestrong. Com.*; N.B.Institute. Pectin Power: Why Fruits And Vegetables May Protect Against Cancer's Spread. 2011, *Science Daily*.
10. M.Kratchanova, E.Pavlova, I.Panchev. The effect of microwave heating of fresh orange peels on the fruit tissue and quality of extracted pectin. Carbohydrate Polymers, 2004, v. 56, p. 181-185.
11. R.K.Shaha, Y.N.A.P.Punichavana, A.Afandi. Optimized extraction conditions and characterization of pectin from Kaffir lime (*Citrus hystrix*). Research Journal of Agriculture and Forestry Sciences, 2013, v. 1(2), p. 1-11.
12. W.E.Devi, R.N.Shukla, A.Abraham, S.Jarpula, U.Kaushik. Optimized extraction condition and characterization of pectin from orange peel. International Journal of Research in Engineering and Advanced Technology, 2014, v. 2, is. 2, p.1-9.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



ახალი რადიოდამცავი პრეპარატების მიღების ბიოსამედიცინო  
 პრობლემები

მ. ბოგებაშვილი, ნ. ივანიშვილი

ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული  
 უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია

*ნაშრომში მოცემულია რადიოდამცავი პრეპარატების გამოყენებისას ტერმინოლოგიურ უზუსტობათა ანალიზი. ნაჩვენებია, რომ საერთოდ მიღებული რადიობიოლოგიური მახასიათებლების (დოზის შემცირების ფაქტორი) გათვალისწინების გარეშე ძნელია შეფასდეს არა მარტო გამოშვებული პრეპარატის რადიოპროტექტორული აქტიურობის დონე, არამედ შესაძლებელია სერიოზული პრობლემები შეიქმნას მათი გამოყენების დროს. ეს შეხედულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორგანიზმში პრეპარატის შეყვანის პრინციპის დროის განსაზღვრასთან მიმართებაში (ანუ რადიაციულ ზემოქმედებამდე თუ რადიაციული ზემოქმედების შემდეგ!). თუ პირველ შემთხვევაში პრიორიტეტულად გვევლინება სხვადასხვა ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური პროცესის ინჰიბირება და თავისუფალი რადიკალების ციტოლოგიური ტოქსიკურობის შემცირება, პრეპარატების რადიაციული ზემოქმედების შემდეგ გამოყენებისას წამყვანს შეიძლება წარმოადგენდნენ რადიაციული დაზიანებების პოსტრადიაციული აღდგენის პროცესების აქტივაციასთან დაკავშირებული რეაქციები; ამიტომ აუცილებელია ტერმინოლოგიური დისციპლინის მკაცრად დაცვა-რადიოპროტექტორები შეიძლება ეწოდოს ორგანიზმში რადიაციულ ზემოქმედებამდე (ან ზემოქმედებისას) შეყვანილ პრეპარატებს, ხოლო ადაპტოგენები – დასხივების შემდეგ შეყვანილ პრეპარატებს.*

საქართველოში ბოლო წლებში ფართო გამოყენება პოვა, ბუნებრივი წარმოშობის ნაერთების საფუძველზე, ანტიოქსიდანტური ხასიათის რადიოდამცავი პრეპარატების შექმნისადმი მიძღვნილმა კვლევებმა, სადაც ანტიოქსიდანტური აქტივობა აპრიორულად გაიგივებულია პრეპარატის რადიოდამცავ თვისებებთან. ცოცხალი ორგანიზმების დაცვა მაიონიზებული გამოსხივების დამაზიანებელი მოქმედებისგან თანამედროვე ბიომედიცინის ისეთივე პრობლემური საკითხია, როგორცაა: უჯრედების დაზიანება და დაბერება, მათი ზრდის რეგულაცია და დიფერენციაცია. მისი გადაწყვეტა მოითხოვს იმ პროცესების ღრმა მეცნიერულ კვლევას, რომლებზეც დამოკიდებულია ორგანიზმების რადიაციის მიმართ გამძლეობა. სხივური დაზიანებისგან სიცოცხლის დაცვის პრობლემა, თავის მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების მოქმედებისადმი ცოცხალი ორგანიზმების მდგრადობის საერთობიოლოგიურ საკითხებთან; არახელსაყრელ ფაქტორთა შორის კი ყველაზე დიდ საშიშროებას ქმნის მაიონიზებული რადიაცია. ამ უკანასკნელს ზემოქმედების მთელი რიგი ისეთი თავისებურებანი გააჩნია, რომელთა დადგენა და უვნებელიყოფა დიდ სირთულეებს წარმოადგენს.



ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში რადიაციული დაზიანება თავის გამობატულებას პოვებს როგორც ტიპური, მკაფიოდ გამოვლენილი სინდრომების სახით, ისე ფარული გენეტიკური ცვლილებებით, რომელთა გამოვლენას ხშირად თაობებიც კი სჭირდება [1,2]. მოსახლეობას კარგად აქვს რა გაცნობიერებული ეს საფრთხე, დიდია მოთხოვნილება იმ პრეპარატებზე, რომლებიც საგრძნობლად შეამცირებენ რადიაციული ფაქტორის მავნე ზემოქმედებას. დღეს ძალიან ბევრი სამედიცინო პრეპარატისა და კვებითი დანამატების მოხმარების ინსტრუქციაში ხშირად გვხვდება სარეკლამო წარწერა „ხასიათდება რადიოპროტექტორული თვისებებით“. თუ გავითვალისწინებთ, რომ რადიოპროტექტორების მოქმედების მექანიზმის კვლევა რადიობიოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, ცხადი გახდება, რომ საჭიროა აღნიშნულ მოვლენას მიეცეს სათანადო სამეცნიერო ფორმულირება და ამის საფუძველზე ჩამოყალიბდეს ამ პრეპარატების დახასიათების აუცილებელი წესები.

როგორც ცნობილია, რადიოპროტექტორები (რადიოდამცავი პრეპარატები) - ეს არის ქიმიური შენაერთები, რომლებსაც ორგანიზმზე მაიონიზებელი რადიაციის მავნე ზემოქმედების შესუსტების უნარი შესწევთ. რადიოპროტექტორები ამსუბუქებენ სხივური დაავადების მიმდინარეობას. სხივური დაავადების შემდეგ ორგანიზმში რადიოპროტექტორების შეყვანა არაეფექტურია.

პირობითად რადიოპროტექტორები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1) ხანმოკლე, მყისიერი მოქმედების რადიოპროტექტორები, რომელთა ორგანიზმში შეყვანა ხორციელდება დროის მოკლე შუალედში დასხივებამდე (ან დასხივების დროს) და 2) პროლონგირებული მოქმედების რადიოპროტექტორები, რომელთა შეყვანა ორგანიზმში მიმდინარეობს მრავალჯერადად, ჩვეულებისამებრ, მცირე დოზებით სხივურ ზემოქმედებამდე. სწორედ ამ სქემით მიმდინარეობს თანამედროვე სამეცნიერო კვლევები ახალი რადიოპროტექტორების მოძიებისთვის [3,4,5].

პირველი ჯგუფის რადიოპროტექტორებს მიეკუთვნება ცნობილი რადიოდამცავი შენაერთების უმრავლესობა: სხვადასხვა ამინოთიოლები (მერკამინი, პროპამინი, ამინოეთილიზოთიოურანი და სხვა), ამინომჟავები (ცისტეინი, ცისტამინი), ზოგიერთი ბიოგენური ამინი, რომლებიც არ შეიცავენ სულფიჰიდრულ ჯგუფებს, ციანოფორები, ამინოფენოლები, ზოგიერთი სპირტი, ნახშირწყლების ცალკეული წარმომადგენლები და სხვა. ამ ჯგუფის რადიოპროტექტორების მოქმედების მექანიზმების შესახებ რამდენიმე ძირითადი ჰიპოთეზა არსებობს: 1. ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც რადიოპროტექტორები განხილულია როგორც ქსოვილებში ჟანგბადის კონცენტრაციის დროებითი დაქვეითების გამომწვევი ნივთიერებები. სავარაუდოდ, ამ



დროს მცირდება ჟანგვითი რადიკალებისა და ზეჟანგების წარმოქმნის შესაძლებლობა დასხივების პროცესში. საბოლოო ჯამში, ეს იწვევს რადიოგამმლეობის ამალეობას. 2. მეორე ჰიპოთეზა რადიოპროტექტორების მოქმედების მექანიზმს ხსნის თავისუფალი რადიკალების ინაქტივაციით. ამ შეხედულების თანახმად, გოგირდშემცველ რადიოპროტექტორებს რადიაციული ზემოქმედების დროს წარმოქმნილი რადიკალების შეკავშირების უნარი შესწევთ. აღნიშნული პროცესის გამო ჟანგვითი რადიკალები არ აზიანებენ უჯრედის მოლეკულებს. 3. რადიოპროტექტორები წარმოდგენილია როგორც ქიმიური ნაერთები, რომლებიც იცავენ უჯრედის “კრიტიკულ” მოლეკულებს. ჰიპოთეზა ვარაუდობს, რომ ქიმიური რეაქციების შედეგად გოგირდშემცველი რადიოპროტექტორები რეაგირებენ ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი მოლეკულების სულფიჰიდრულ ჯგუფებთან და ამგვარად “იფარავენ” მათ მაიონიზებული რადიაციის მოქმედებისაგან. 4. რადიოპროტექტორები განიხილება როგორც შენაერთები, რომლებიც იწვევენ ბიოქიმიური სისტემის რადიომდგრადობის მომატებას. ეს ჰიპოთეზა ემყარება იმ ფაქტს, რომ მყისიერი მოქმედების რადიოპროტექტორების აბსოლუტური უმრავლესობა რადიოდამცავ ეფექტს ავლენს მხოლოდ სუბტოქსიკური დოზებით შეყვანის შემთხვევაში, რის გამოც ფერხდება სხვადასხვა რადიომგრძობიარე ბიოქიმიური სისტემების ფუნქციონირება, მაგალითად, დნმ-ის ბიოსინთეზი, უჯრედების მიკროსტრუქტურებში ჟანგვითი ფოსფორილირება, ბირთვში მაკროერგული ნაერთების წარმოქმნა და ა.შ. ბიოქიმიური სისტემის დროებითი შეფერხების მექანიზმი, თავის მხრივ, აიხსნება ფერმენტების მოლეკულებთან რადიოპროტექტორების ქიმიურ კავშირში შესვლის უნარით. ამ დროს არსებით როლს თამაშობს რადიოპროტექტორებსა და სულფიჰიდრული ჯგუფების შემცველი ცილა-ფერმენტების მოლეკულებს შორის დროებითი შერეული დისულფიდური კავშირების წარმოქმნა.

ბიოგენური სტიმულატორების ტიპის (მაგ., ვიტამინები) პროლონგირებული რადიოპროტექტორების რადიოდამცავი მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია ორგანიზმის რადირეზისტენტობის თანდათანობით ზრდასთან და კომპენსატორული და აღდგენითი პროცესების აქტიურობის მატებასთან. ასე მაგალითად, P-ჯგუფის ვიტამინების ხანგრძლივი შეყვანა დასხივებულ ცხოველებში ამცირებს ჰემორაგიის წარმოქმნის შესაძლებლობას. ამ მოვლენის მექანიზმი, ალბათ, განპირობებულია P-ვიტამინის მიერ ჰიალურონიდაზების (ფერმენტების კომპლექსი, რომლებიც იწვევენ ჰიალურონის მჟავას ფერმენტულ რღვევას) აქტიურობის დაქვეითების უნარით. აღნიშნული მჟავას ერთ-ერთი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ იგი “აწებებს” შემაერთებელ ქსოვილს.



დღესდღეობით, ზოგიერთი რადიოპროტექტორი გვევლინება ფარმაკოლოგიურ საშუალებად (მაგალითად, მერკამინი, ცისტამინი). ამასთანავე, ფარმაკოლოგიურ ბაზარზე გამოსულია ბუნებრივი წარმოშობის მრავალი პრეპარატი და კვებითი დანამატი, რომლებიც რადიოპროტექტორებად იწოდებიან, თუმცა მათი უმრავლესობის მონაცემებში ნახსენები არ არის დოზის შემცირების კოეფიციენტის მაჩვენებელი, რომლის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ პრეპარატის რადიოდამცავი თვისების შეფასება. ამ ფენომენის გარეშე წარმოუდგენელია ზემოაღნიშნულ პრეპარატებს რადიოპროტექტორები ვუწოდოთ. ეს განსაკუთრებით შეეხება სხვადასხვა ბიოლოგიური ობიექტებიდან გამოყოფილი ექსტრაქტების გამოყენებას რადიოპროტექტორების სახით იმ დროს, როდესაც მათი სრული ქიმიური შემადგენლობაც კი არ არის განსაზღვრული და დამცავი თვისების მინიჭება პრეპარატისთვის აპრიორულ ხასიათს ატარებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მთავარი რადიობიოლოგიური პოსტულატის დაცვა, რომ რადიოპროტექტორებს მიეკუთვნებიან ის პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში შეიყვანება პრერადიაციულ პერიოდში და იგი დასხივების დროს უკვე არის უჯრედის სტრუქტურების შემადგენელი კომპონენტი. ეს ფაქტი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც პოსტრადიაციულ პერიოდში იგივე პრეპარატის შეყვანა ორგანიზმში, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება უარყოფითი რეაქციის გამომწვევად მოგვევლინოს. ამ მიმართებაში მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს რადიოპროტექტორები და ადაპტოგენური ტიპის ნაერთები. ადაპტოგენების ფუნქციაში შედის რადიაციული დაზიანებით გამოწვეული დასუსტებული ორგანიზმის აღდგენით პროცესებზე ზემოქმედება და აქედან გამომდინარე, მათი გამოყენება მიზანშეწონილია პოსტრადიაციულ პერიოდში.

მთლიანობაში, ფარმაკოლოგიური პრეპარატების შექმნისა და მათი გამოცდის დროს დაცული უნდა იყოს სიზუსტე და თუ პრეპარატი რადიოპროტექტორებს მიეკუთვნება, თან უნდა ახლდეს მისი ტოქსიკურობის დახასიათება და კონკრეტული მონაცემი დოზის შემცირების კოეფიციენტის შესახებ.

## თანამედროვე ფარმაცია

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Sanjeet Bagcchi. Chernobyl: assessing the health effects, 30 years later. The Lancet Diabetes & Endocrinology, Volume 4, Issue 12, 2016.
2. Tetiana Bogdanova at al. Long-Term Analysis of the Incidence and Histopathology of Thyroid Cancer in Ukraine in Adult Patients Who Were Children and Adolescents at the Time of the Chernobyl Accident. Thyroid Cancer and Nuclear Accidents: Long-Term Aftereffects of Chernobyl and Fukushima, 2017.



3. Caroline Prouillac, Patricia Vicendo, Jean-Christophe Garrigues, Romuald Poteau, Ghassoub Rima. Evaluation of new thiazoles and benzothiazoles as potential radioprotectors: Free radical scavenging activity in vitro and theoretical studies (QSAR, DFT). *Free Radical Biology and Medicine*, Volume 46, Issue 8, 2009.
4. D. Thotala, D.E. Hallahan, E.M. Yazlovitskaya. Glycogen Synthase Kinase-3 Beta (GSK-3 $\beta$ ) Inhibitors as Radioprotectors of Hippocampal Neurons in the Developing Brain. *International Journal of Radiation Oncology/Biology/Physics*, Volume 69, Issue 3, Supplement 1, 2007.
5. Dinesh K. Thotala, Ling Geng, Amy K. Dickey, Dennis E. Hallahan, Eugenia M. Yazlovitskaya A New Class of Molecular Targeted Radioprotectors: GSK-3 $\beta$  Inhibitors Original Research Article.. *International Journal of Radiation Oncology/Biology/Physics*, Volume 76, Issue 2, 2010.

## BIOMEDICAL PROBLEMS OF OBTAINING NEW RADIOPROTECTIVE PREPARATIONS

GOGEBASHVILI M.E., IVANISHVILI N.I.

I. Beritashvili Center of experimental biomedicine laboratory of radiation safety problems

### Summary

In the work the analysis of terminological discrepancies is carried out at use of radioprotective preparations. It is shown that without the use of the standard radiobiological indicator - the factor of reduction of a dose (Dose change factor) it is difficult to estimate not only level radioprotectors activity of created preparations, but also serious problems are possible at their use. Especially this position concerns a principle of time of introduction of preparations to, and after radiating influence. If in the first case priority processes are the inhibition of various physiological and biochemical processes and decrease in cytological toxicity of free radicals at use of preparations after radiating influence by leaders there should be the processes connected with activation postradiation of restoration of radiating damages. Therefore it is necessary to observe terminological discipline strictly– it is necessary to name radioprotectors the preparations entered an organism before radiating influence, and adaptgens - after an irradiation.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა  
სამკურნალო მცენარეების გამოყენება კბილის უსუნოებში





ლ. ჭურაბე, მ. კახეთელიძე, მ. ბაბელია, ჯ. ანელი

ოსსუ ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი

*შესწავლილია სხვადასხვა სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წვრილდისპერსული ფრაქციიდან გრანულების მიღების შესაძლებლობა. ამ საკითხის გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ კბილის ფხვნილების ახალი სამკურნალო ფორმა, რომელშიც აბრაზიულ ნივთიერებასთან ერთად შევა სამკურნალო მცენარეების ნატივური ფორმა.*

კბილის ფხვნილების სხვადასხვა ნიმუშის შემუშავებისას გამოყენებული გვექონდა ნატივური ფორმები სამკურნალო მცენარეებისა, რომლებიც დაშვებულია საქართველოს ფარმაცოპეული კომიტეტის მიერ. ამასთან, მხედველობაში იყო მიღებული როგორც ლიტერატურული მონაცემები მათ სამკურნალო მოქმედებაზე, ასევე მათი ფიზიკურ-ქიმიური მონაცემები, მიღებული ექსპერიმენტით. მცენარეების ქიმიური შემადგენლობა და მათი გამოყენება მედიცინაში მოყვანილია (ცხრ. №1).

**კბილის ფხვნილის შემადგენლობაში გამოყენებული მცენარეები**

ცხრ. №1.

№	მცენარის დასახელება	შემადგენლობა და გამოყენება
1.	გვირილა Matricaria recutira L	ეთერზეთები, კაპრილის, იზოვალერიანის მჟავები, ფლავონოიდები, ორგანული მჟავები, კუმარინები, ტერპენები, სპირტები, ასკორბინის და ნიკოტინის მჟავები, ლორწო და სხვ. ანტისეპტიკი, სისხლდენის შემაჩერებელი, ტკივილგამაყუჩებელი, მთრიმლავი, ანტიალერგიული, ანთების საწინააღმდეგო, სტომატის დროს
2.	მრავალძარღვა Plantago major L	მწარე მთრიმლავი, ლორწოვანი ნივთიერებები, პოლისაქარიდები, გლუკოზიდი აკუბინი, ორგანული მჟავები, მინერალური მარილები და ა.შ. ანთების საწინააღმდეგო, სისხლდენის შემაჩერებელი და ჭრილობის შემახორცებელი.
3.	პიტნა Mentha piperita L	ეთერზეთები, მენტოლი, იზოვალერიანის და ძმარმჟავას ეთერები, მიკროელემენტები Cu, Mn და სხვ. კაროტინი, ფლავონოიდები. დამაწყნარებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური. გამოიყენება კბილის ტკივილის, პირში ცუდი სუნის დროს.
4.	სალბი Salvia officinalis L	ეთერზეთები, ზეთის მავგარი კომპონენტი - მენტოლი, ფლავონოიდები, ორგანული მჟავები, ალკალოიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ფიტოციდები, ვიტ. P, PP და სხვ.



**THE I INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL INTERNET-CONFERENCE  
MODERN PHARMACY – SCIENCE AND PRACTICE**  
**I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია**  
**თანამედროვე ფარმაცია – მეცნიერება და პრაქტიკა**

5.	ევკალიპტი Eucalyptus globulus	ეთერზეთები, რომლის მთავარი კომპონენტი - ცინკოლი, რომელიც აძლევს მცენარეს სპეციფიკურ სუნს, მთრიმლავი ნივთიერებები, ფისები, ორგანული მჟავები და ტკივილგამაყუჩებელი, ჭრილობის შემახორცებელი, ანთებისსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური; გამოიყენება ცხვირ-ხახის ანთების ჩირქოვანი ჭრილობების დროს.
6.	ჭინჭარი Utrica dioica L	ქლოროფილი, ფლავონოიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ჭიანჭველმჟავა, პროტეინი, ჰისტამინი, რკინის მარილები, ცვილი. სისხლდენის შემაჩერებელი, ანთებისსაწინააღმდეგო.
7.	კრაზანა Hypericum perforatum L	ფლავონოიდები, ეთერზეთები, მთრიმლავი, მწარე და წითელი ფისოვანი ნივთ-ი, ასკორბინის და ნიკოტინის მჟავები, კაროტინინი, საპონინები, ვიტ. P და PP. ანთებისსაწინააღმდეგო, შემომგარსველი, კანის დაზიანების, დამწვრობის, წყლულების და აბსცესების დროს.
8.	ბარამბო Melissa officinalis L	ეთერზეთი, შემადგენლობით ციტრალის, ციტრონეალალი, ჰერანოლი, ტანინები, კაროტინი, კოფეინი, ოლეინის მჟავა და სხვ. ტკივილგამაყუჩებელი, სპაზმოლიტური, გამოიყენება პირის ღრუს ანთებითი დაავადების დროს.
9.	თრიმლი Cotinus coggygia შემკვრელი	მთრიმლავი ნივთიერებები (20-40%), გალის მჟავა, ფენილკაბონმჟავები, ფლავონოიდები, კვარცეტინი, მირიციტინი. ეთერზეთები - შეიცავს მირცენი ლინალოლი, ტერპინოლი, კამფორა. ანთებისსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, სისხლდენისშემაჩერებელი; გამოიყენება პირის ღრუს, ცხვირის, საყლაპავის ანთებითი დაავადების და კანის ნახეთქების დროს.

კბილის ფხვნილების შემადგენლობიდან გამომდინარე, ის შეიძლება გამოყენებული იქნას არა მარტო კბილების გასაწმენდად, არამედ აპლიკაციისათვის - ფხვნილის მასის დადება ღრძილის სხვადასხვა დაავადების დროს. კბილის ფხვნილების ნაკლოვანებას წარმოადგენს მისი მოხმარების ან გამოყენების უხერხულობა. ფხვნილს ფუთავენ მუყაოს ან თუნუქის კოლოფებში, საიდანაც ფხვნილის გამოსაყენებლად ხმარობენ სველ ჯაგრისს, რის გამოც ფხვნილი სწრაფად ბინძურდება და ტენიანდება. გარდა ამისა, არსებული კბილის ფხვნილის მრავალჯერად გამოყენებას მივყავართ ფხვნილის მიკრობული ფლორით დაბინძურებამდე; ასევე არაჰიგიენურია ოჯახის წევრების მიერ ერთი საფუთავის გამოყენებაც, ამასთან ყოველდღიურად ფხვნილის მოხმარებისას ბაქტერიული გაჭუჭყიანება კიდევ უფრო იზრდება. ამიტომ მწვავედ დგას ფხვნილის მასის შეფუთვის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საშუალებას მოგვცემს კბილის ჯაგრისთან ფხვნილის მასის უშუალო კონტაქტის თავიდან აცილებას. ასეთ შემთხვევაში რეალურია ტექნოლოგიური ხერხი - შემბოჭავი ნივთიერების შეყვანა და კბილის ფხვნილის მიღება გრანულების სახით, რომლის დროსაც მოხერხდება გრანულირებული ფხვნილის გადმოყრა უშუალო სველ კბილის ჯაგრისზე.



გრანულაციის ჩასატარებლად, შემაკავშირებელ კომპონენტებად გამოყენებული გვექონდა 2% სახამებლის ხსნარი. კბილის ფხვნილში ცარცისა და მცენარეთა ნარევის შეფარდება შეადგენდა 5:1; გამოყენებული ცარცი კი იყო მაღალი დისპერსიულობის, რომელშიც ნაწილაკთა ზომა შეადგენდა 2-20 მკრ. გრანულირებული მასის პარამეტრების შესასწავლად გამოყენებული გვექონდა სიფხვიერის, ბუნებრივი გადახრის კუთხის, ჩაყრითი მასის და მოცულობითი სიმკვრივის განსაზღვრის მეთოდები (ცხრ. №2.), საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სახამებლის გამოყენების შემთხვევაში შედეგები მდგრადია, მაგ. სიფხვიერე 8,85, ჩაყრითი მასა მერყეობს 0,6-0,78გ/სმ-ის ფარგლებში, მოცულობითი სიმკვრივე 0,75-0,9გ/სმ<sup>3</sup>.

**გრანულების ქიმიურ-ფიზიკური მაჩვენებლების განსაზღვრა**

2% სახამებელი

ცხრ. №2

№	მცენ. დასახელება	სიფხვიერე Wm	ბუნებრივი გადახრის კუთხე	ჩაყრითი მასა P გ/სმ <sup>3</sup>	მოცულო- ბითი სიმ- კვრივე Q გ/სმ <sup>3</sup>
1.	პიტნა, გვირილა, დაფნა	8,85	30-40	0,66	0,75
2.	ევკალიპტი, სალბი, გვირილა	8,85	„	0,66	0,81
3.	თრიმლი, პიტნა, მრავალძარღვა	8,85	„	0,72	0,86
4.	თრიმლი, დაფნა, სალბი	8,85	„	0,72	0,88
5.	თრიმლი, გვირილა, ევკალიპტი	8,85	„	0,76	0,83
6.	თრიმლი, ევკალიპტი, მრავალძარღვა	8,85	„	0,78	0,91
7.	თრიმლი, გვირილა, დაფნა	8,85	„	0,70	0,86

ერთ-ერთ ძირითად საკითხად ითვლება მიღებული გრანულებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოთავისუფლების სიჩქარე კბილის დამუშავების პერიოდში. ამისათვის, გრანულირებული მასა იყო დატაბლატირებული და შესწავლილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების-ის გამონთავისუფლების სიჩქარე დისტილირებულ წყალში. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე უკვე მე-3 წუთზე ხსნარში გადადის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების 74-86%.

ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები ჩატარებულ იყო მცენარეთა ნაკრებების ოთხ ჯგუფზე, სადაც ცარცთან ერთად გაერთიანებული გვექონდა 3-3 სამკურნალო მცენარის წვრილდისპერსიული ფრაქცია.

შემდგომ ეტაპზე, კბილის ფხვნილის სამკურნალო და ჰიგიენური თვისებების გაზრდის მიზნით მოვახდინეთ მცენარეთა ამ ჯგუფების გაერთიანება 2 ძირითად ჯგუფად. 1 ჯგუფი, რომელშიც შედის: თრიმლი, მრავალძარღვა, პიტნა, დაფნა, სალბი, ჭინჭარი. 2



ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია მცენარეები: თრიმლი, გვირილა, ევკალიპტი, კრაზანა, ჭინჭარი, ბარამბო.

კბილის ფხვნილის საბოლოო ვარიანტის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა

ცხრ. №3.

№	მცენარეთა დასახელება	სიფხვიერე			ბუნებრივი გადახრის კუთხე	ჩაყრითი მასა P გ/სმ <sup>3</sup>	მოცულობითი სიმკვრივე Q გ/სმ <sup>3</sup>
		წმ	საშ. წმ	Wm			
1.	პიტნა, თრიმლი, მრავალმარღვა, დაფნა, სალბი, ჭინჭარი	20, 18, 10, 12	15	1,7	30-40	0,68	1,1
2.	თრიმლი, გვირილა, ევკალიპტი, კრაზანა, ჭინჭარი, ბარამბო	22, 10, 12	14,7	1,81	„	0,70	1,15

ამ შემთხვევაშიც აღებული გვქონდა შეფარდება ცარცი-მცენარეთა ნაკრები 5:1 და ორივე ნიმუშზე აღებული იყო ფიზიკურ-ქიმიური მონაცემები, რომელიც მოყვანილია (ცხრ. № 3.).

ნატურალურ კომპონენტებზე დასამზადებელი კბილის ფხვნილები გამოცდილი იყო კბილის ხელოვნურ პროთეზზე, რომელსაც ვფარავდით პურის თხელი მასით, ფხვნილით გასუფთავების შემდეგ პროთეზის ფერი არ იცვლებოდა, ნარჩენები კი მთლიანად სცილდებოდა.

კბილის ფხვნილი, ასევე გამოვცადეთ ლაბორატორიის თანამშრომლებზეც. ამ შემთხვევაშიც კბილი მთლიანად სუფთავდებოდა საკვები ნარჩენებისაგან.

ამრიგად, კბილის ფხვნილი უნდა ინახებოდეს სპეციალურ ჰერმეტიკულ კონტეინერებში, საიდანაც მოხდება უშუალოდ სველ კბილის ჯაგრისზე მისი გადმოყრა.

აქედან გამომდინარე, სხვადასხვა მცენარეთა ცარცთან ნარეგების გრანულაცია საშუალებას გვაძლევს მივიღოთ კბილის ფხვნილების ახალი სამკურნალო ფორმა, რომელიც შესაძლებელია ჰერმეტიკული შეფუთვიდან გადავიტანოთ უშუალოდ კბილის სველ ჯაგრისზე, ეს კი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ კბილის ფხვნილების მიკრობული დაბინძურება.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## ლიტერატურა

1. О. М. Хишова Создание таблеток и капсул на основе измельченного лекарственного растительного сырья 2006 Автореферат диссертации.
2. О. М. Хишова Технология производства дозированных лекарственных форм на основе тонко измельченных растительных субстанций. 2007. *Диссертация*.
3. В.П. Ердакова. НАУЧНОЕ ОБОСНОВАНИЕ И ПРАКТИЧЕСКАЯ РЕАЛИЗАЦИЯ КОМПЛЕКСНОГО ПРИМЕНЕНИЯ БИОЛОГИЧЕСКИ АКТИВНЫХ ДОБАВОК И КОСМЕТИЧЕСКИХ СРЕДСТВ ФУНКЦИОНАЛЬНОГО НАЗНАЧЕНИЯ Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора технических наук, Кемерово-2010.

### **TECHNOLOGY OF OBTAINING TOOTH POWDER USING MEDICINAL PLANTS**

**L. CHURADZE, M. KAKHETELIDZE, M. GABELAIA, J. ANELI**

**Tbilisi State Medical University – I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry**

#### **Summary**

A question of obtaining granules from fine fraction of crushed medicinal plant raw materials was studied. Solution of this question allows obtaining of new medicinal formula of tooth powder, which along with abrasive elements contains native formula of medicinal plants.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## SYNTHESIS AND BIOLOGICAL POTENTIAL OF COORDINATION COMPOUNDS WITH ANESTHETIC PREPARATION

N.B. ZHORZHOLIANI, K.D. AMIRKHANASHVILI, O.G. LOMTADZE,  
V.G.TSITSISHVILI

Petre Melikishvili Institute of Physical and organic chemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi  
State University

*Protonation of ligands takes place in the water-ethanol solutions of transition metal salt and lidocaine or Trimecaine with any ratio and synthesized  $M(ASH)_2X_nH_2O$  (I) type compounds were M-Co(II), Ni(II), Cu(II), Zn(II), Mn(II), Fe(II), Cr(III);, X-Cl, NCS; n=0, 1, 2; ASH-LidH or TmH.  $M(Lid)_2(NCS)_2$  (II) types of compounds containing basal lidocaine are synthesized in water-methanol solution (pH=7) with 1:2:2 molar ratio of metal acetate, potassium tyocyanate and lidocaine. The composition and individuality of the complexes are determineselementary analysis. Their solubility in water and organic solvents has been studied. Monocrystals are characterized by X-ray diffractometer parameters. The structure of the compounds is proposed based on infrared absorption spectrum analysis and the literature data: In (I)-type compounds, the central ion coordination with acidoligands generates tetrahedral anion, while the ligands in the form of protonated cations remain in an outer coordination field. In (II) type- complex forming metal coordinates with carbonil group oxygen and tertiary nitrogen atoms.*

Application of coordination compounds of various metal ions in the contemporary medicine is gaining increasing popularity. Transition metals have an important place within medicinal bio-inorganic chemistry. Bio-metals exhibit different oxidation states and can interact with a number of negatively charged molecules. This activity of transition metals led to the recent development of drugs, which are based on metals and considered to be potential candidates for pharmacological and therapeutic applications. The diversity of structures, properties of the metal complexes and the possibility for their fine tuning according to the target application is the key reason for the broad spectrum of their pharmaceutical application in treatment of cancer, arthritis, hormonal and other diseases. The knowledge on the properties of the essential and toxic metal ions allows for the positive influence on neurodegenerative and cardio-vascular diseases as well as for detoxification through chelatotherapy. Lidocaine [2-diethylamino-N-(2,6-dimethylphenyl) acetamide] is a one of the most generally used local anesthetics and peripheral analgesics in surgery, gynecology and dentistry. It is also an antiarrhythmic medication. Furthermore, nebulized lidocaine has a significant efficacy in managing asthma due to its anti-inflammatory and direct spasmolytic actions. An injectable solution of lidocaine is used for epidural, conduction and infiltration anesthetics, and it may be applied as a liquid, jelly or spray to produce topical anesthesia. One of the authors has previously reported that the 9% lidocaine ointment is an effective agent for postherpetic neuralgia. Lidocaine is present in the European Pharmacopoeia in two forms: the free base, not very stable and characterized by a very low solubility in aqueous solution and the chloride salt, characterized by a



very high solubility in aqueous solution and used generally for the preparation of injection solutions. To modify and improve solubility, stability and therefore efficacy of the free base, lidocaine is usually made available as salt. In the literature, several examples are reported of lidocaine compounds with organic acids, studied to improve the properties of the free base and with other active ingredients to combine different therapeutic effects in the same drug. [1-4]. Lidocaine barbiturate is a novel organic, mechanically and optically stable non-linear optical material, which shows effects higher than that of KDP. Nickel (II) and Cobalt (II) complexes of lidocaine have been synthesized and characterized. The complexes are water soluble and stable in aqueous solution. The interaction of coordination compounds with calf thymus DNA and bovine serum albumin (BSA) was investigated using UV-visible and fluorescence spectrophotometric methods. A gel electrophoresis assay demonstrated that the complexes cleave pUC19 plasmid DNA. The in vitro free radical scavenging, antimicrobial activity and cytotoxic potential of all the complexes were examined [5-7].

Increasing scientific evidence suggests that the purposeful synthesis and research of coordination compounds containing bio-metals and anesthesia drugs is interesting in the field of medical science and current pharmaceuticals. Protonation of ligands takes place in the water-ethanol solutions of transition metal salt and lidocaine (lid) or Trimecaine (Tm) with any ratio, and synthesized  $M(ASH)_2X_nH_2O$  (I) type compounds were M-Co(II),Ni(II),Cu(II),Zn(II),Mn(II),Fe(II),Cr(III);,X-Cl,NCS;n-0,1,2;ASH-LidH or TmH.  $M(Lid)_2(NCS)_2$  (II) types of compounds containing basal lidocaine where M-Co(II),Ni(II),Zn(II),Cu(II),Mn(II) are synthesized in water-methanol solution (pH=7) with 1:2:2 molar ratio of metal acetate, potassium thiocyanate and lidocaine. The composition and individuality of the complexes are determined by the micro-elementary analysis and determination of the melting temperature. Their solubility in water and organic solvents has been studied (Table 1). Monocrystals are characterized by X-ray diffractometer parameters. The structure of the compounds is proposed based on infrared absorption spectrum analysis and the literature data: In (I)-type compounds, the central ion coordination with acidoligands generates tetrahedral anion, while the ligands (Lid and Tm) in the form of protonated cations remain in an outer coordination field. In (II) type compounds, complex forming metal coordinates with carbonyl group oxygen and tertiary nitrogen atoms [8-9]. Thiocyanate ion also is in inner coordination field, which binds central ion by nitrogen atom. The study of biometal coordination compounds in this direction has not only a theoretical significance, but also potential application in the metallotherapeutic and contemporary chemical-pharmaceutical industry.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



Table 1. Data of elemental analysis, results of measuring of melting temperatures and solubility for prepared compounds

№	Chemical Formula	Measured, %				Calculated, %				Melting point °C	Solubility		
		Me	C	H	N	Me	C	H	N		H <sub>2</sub> O, 25 °C g/100gr	C <sub>2</sub> H <sub>5</sub> OH	CH <sub>3</sub> COCH <sub>3</sub>
1	(LidH) <sub>2</sub> NiCl <sub>4</sub> ·2H <sub>2</sub> O	8,71	49,82	6,68	8,12	8,74	50,10	6,91	8,35	110-112	12,88	+	Low
2	(LidH) <sub>2</sub> ZnCl <sub>4</sub>	7,99	49,18	6,49	8,14	8,72	49,61	6,84	7,47	114-116	11,05	+	+
3	(LidH) <sub>2</sub> CuCl <sub>4</sub> ·2H <sub>2</sub> O	8,87	46,97	6,89	7,57	8,98	47,20	7,07	7,86	103-105	10,5	+	+
4	(LidH) <sub>2</sub> CrCl <sub>4</sub> ·H <sub>2</sub> O	7,58	50,32	6,27	8,08	7,82	50,44	6,61	8,21	98-100	10,32	+	Low
5	(TmH) <sub>2</sub> MnCl <sub>4</sub> ·H <sub>2</sub> O	7,76	49,9	7,68	7,74	7,71	50,53	7,29	7,85	102-104	11,30	+	+
6	(TmH) <sub>2</sub> FeCl <sub>4</sub> ·H <sub>2</sub> O	12,27	37,60	5,79	5,35	12,01	38,76	5,81	6,03	120-121	18,75	+	+
7	(TmH) <sub>2</sub> CoCl <sub>4</sub> ·H <sub>2</sub> O	8,57	50,58	7,16	7,66	8,22	50,24	7,25	7,81	182-183	+	+	+
8	(TmH) <sub>2</sub> CuCl <sub>4</sub> ·H <sub>2</sub> O	8,60	49,90	6,81	7,63	8,80	49,93	7,21	7,76	180-182	+	+	+
9	(LidH) <sub>2</sub> Ni(NCS) <sub>4</sub>	7,68	50,18	5,95	14,66	7,71	50,46	6,09	14,71	188-193	+	+	+
10	(LidH) <sub>2</sub> Co(NCS) <sub>4</sub>	7,52	50,12	5,87	14,32	7,73	50,44	6,08	14,70	176-178	+	+	+
11	(LidH) <sub>2</sub> Zn(NCS) <sub>4</sub>	8,29	49,53	5,66	14,13	8,51	50,02	6,03	14,58	191-193	+	+	+
12	(LidH) <sub>2</sub> Mn(NCS) <sub>4</sub>	7,57	49,28	5,69	14,09	8,23	50,08	6,04	14,60	-	+	+	+
13	(LidH) <sub>2</sub> Fe(NCS) <sub>4</sub>	7,20	49,78	6,04	14,89	7,35	50,65	6,11	14,76	-	+	+	+
14	[Mn(Lid) <sub>2</sub> (NCS) <sub>2</sub> ]	8,59	56,58	6,93	13,1	8,21	56,19	6,74	12,89	-	+	+	+
15	[Cu(Lid) <sub>2</sub> (NCS) <sub>2</sub> ]	9,80	55,57	6,84	12,9	9,53	55,12	6,55	12,80	-	+	+	+
16	[Zn(Lid) <sub>2</sub> (NCS) <sub>2</sub> ]	9,78	55,01	6,13	12,4	10,05	55,42	6,82	12,92	-	+	+	+





**REFERENCES**

[1]Muthusamy Selvaganapathy and Natarajan Raman. Review Article. Journal of Chemical Biology and Therapeutics, India, 2016, vol. 1, 1-17.

[2]Yukiko Umeda, Hirosima Nagase, Mizue Makimura, Kazuo Tomono, Motoo Shiro and Haruhisa Ueda. The Japan Society for Analytical Chemistry, Japan, 2007, vol. 23, 15-16.

[3]Dario Braga, Laura Chelazzi, Fabrizia Grepioni, Elena Dichiarante, Michele R. Chierotti and Roberto Gobetto. American Chemical Society. Cristal Growth Design, 2013, 13, 2564-2572.

[4]James S., Ladams C.J., Bolm C., Braga D., Collier P., et al. J. Chemical Society Review, 2012, 41, 413-447.

[5]Mariena Gryl, Marcin Koziel, Katarzyna Stadnicka, Irena Matulkova, Ivan Nemeč and et.al. Journal The Royal Society of Chemistry. CrystEngComm, 2013, 15, 3275-3278.

[6]Hiyam Hamaed, Jenna M. Pawlowski, Benjamin F.T. Cooper, Riqiang Fu., et. al. J. American Chemical Society, 2008, 130, 11056-11065.

[7]By A.W.Hanson and M.Rohrl, J. Acta Crystallography. Ottawa, 1972, B28, 3567-3571

[8]Leila Tabrizi, Patrick McArdle, Andrea Erxleben, Hossein Chiniforoshan. European Journal of Medicinal Chemistry, 2015, 103, 516-529.

[9]Zhorzholiani N.B., Amirkhanashvili K.D., Lomtadze O.G., Tsitsishvili V.G. Chemistry of Coordination Compounds: Actual Problems of Analytical Chemistry. Materials of the International scientific Conferense, Baku, 2017, 81-82.

**ანესთეზიური პრეპარატების უმცველი კოორდინაციული ნაერთების სინთეზი  
და მათი ბიოლოგიური აქტიურობა**  
**ნ.ბ. ჟორჯოლიანი, კ.დ. ამირხანაშვილი, ო.ბ. ლომთაძე, ვ.ბ. ციციშვილი**  
**თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**  
**რეზიუმე**

ეთანოლწყალხსნარებში გარდამავალი ლითონის მარილისა და ანესთეზიურ პრეპარატ ლიდოკაინის (Lid) ან ტრიმეკაინის (Tm) ნებისმიერი თანაფარდობისას ხდება ლიგანდის პროტონირება და მიიღება  $M(ASH)_2X_nH_2O(I)$  ტიპის ნაერთები, სადაც M-Co(II), Ni(II), Zn(II), Cu(II), Mn(II), Fe(II), Cr(III), X-Cl, NCS, n-0,1,2, ASH-LidH, TmH. მეთანოლწყალხსნარებში pH=7 პირობებში, ლითონის აცეტატის, KNCS და ლიდოკაინის 1:2:2 მოლური თანაფარდობისას სინთეზირებულია ფუძე ლიდოკაინის უმცველი  $M(Lid)_2(NCS)_2(II)$  ტიპის კომპლექსები, სადაც M-Co(II), Ni(II), Cu(II), Zn(II). მიღებული ნაერთების შედგენილობა და ინდივიდუალობა დადგენილია მიკროელემენტური ანალიზით. დადგენილია მათი ხსნადობა წყალსა და ორგანულ გამხსნელებში. მონოკრისტალები დახასიათებულია რენტგენული დიფრაქტომეტრიის პარამეტრებით. შთანთქმის ი.წ. სპექტრების შესწავლისა და ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება მათი აღნაგობის შესახებ: (I)-ტიპის ნაერთებში ცენტრალურ იონთან კოორდინირებს აციდოლიგანდები და წარმოქმნის ტეტრაედრულ ანიონს, ხოლო ლიგანდები (Lid და Tm) პროტონირებული კათიონის სახით გარე კოორდინაციულ სფეროში რჩება. (II) ტიპის ნაერთებში კი ლითონი კოორდინირებს კარბონილის ჯგუფის ჟანგბადისა და მესამეული აზოტის ატომებთან; [8] შიდა კოორდინაციულ სფეროშია თიოცანატ-იონიც, რომელიც ცენტრალურ იონთან ბმას ახორციელებს აზოტის ატომით.



ანტიანემიური პრეპარატები ხელატური კომპლექსების  
საფუძველზე

მ. სალუქვაძე, ც. ბაბელია, ლ. ჯაფარიძე, ნ. ოსიპოვა, თ. კვიციანი,  
ო. ლომთაძე

ოსუ პ. მედიკინის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ლითონდეფიციტური ანემიის სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებების მიღების მიზნით ხელატწარმომქმნელ აგენტად შერჩეულია მონომეტირ D- ფრუქტოზა, ხოლო ხელატწარმომქმნელ ლითონებთან და სასიცოცხლოდ აუცილებელი გარდამავალი ლითონები- რკინა, კობალტი, თუთია, მანგანუმი და სპილენძი. ცალ-ცალკე, სხვადასხვა მყავურობის პირობებში სინთეზირებულია Fe(II),Co(II),Zn(II),Mn(II),Cu(II)-D-ფრუქტოზის კომპლექსები. მათ საფუძველზე მომზადებულია ლითონდეფიციტური ანემიის სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატები საინექციო და პერორალურად მისაღები, მყარი ფორმით. მიღებული ანტიანემიური პრეპარატული ფორმები გამოცდილი იყო სავსე ცხოველებზე - ლაბორატორიულ თეთრ ვირთხებზე და ახლადშობილ გოჭებზე. ინექციის შემდეგ (დაბადებიდან მე-3 და მე-16- დღეს) ახლადშობილ გოჭებში ანემიის განვითარებას ადგილი არ ჰქონია, მათ სისხლის პლაზმაში ჰემოგლობინის და ერითროციტების შემცველობა იყო ნორმის ფარგლებში. დადგინდა, რომ შემუშავებული კომპოზიციები არატოქსიკურია და ხასიათდებიან, მაღალი ბიოათვისებადობით, არ იწვევენ გასტრალურ და დერმატოლოგიურ გართულებებს.

ლითონების კომპლექსები საყოველთაოდ აღიარებულ ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს წარმოადგენენ. ამასთან მიკროელემენტების შემცველი კომპლექსებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებენ ლითონების ხელატური ნაერთები ორგანულ მილეკულებთან. აღიშნული ინტერესი განპირობებულია ცოცხალ ორგანიზმში მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეული მრავალი დაავადებით, რომელთაგან მიმდინარეობის და გართულებების მხრივ განსაკუთრებით სიმწვავეთ გამოირჩევა ლითონდეფიციტური (პირველყოფლისა რკინადეფიციტური) ანემია [1-6].

ხელატწარმომქმნელ აგენტად ჩვენს მიერ შერჩეული ცოცხალი უჯრედის მეტაბოლიზმში აქტიურად მონაწილე ორგანული ნაერთების - შაქრების და მათი წარმოებულების კომპლექსები გარდამავალი კლასის ლითონებთან მაღალი ბიომედიკაციულობით, გვერდითი მოვლენების არარსებობით ან მინიმალური გამოვლინებით ხასიათდებიან.

სინთეზირებულია Fe(II),Co(II),Zn(II),Mn(II),Cu(II) კომპლექსები მონომეტირ D-ფრუქტოზასთან. Fe(II),Co(II) კომპლექსები D-ფრუქტოზასთან მიიღება ცალ-ცალკე, რკინის და კობალტის ქლორიდების და D-ფრუქტოზის ურთიერთქმედებით ტუტე არეში, ხოლო Zn(II),Mn(II),Cu(II) კომპლექსები ცალ-ცალკე, მყავა არეში, მუდმივი მორევის პირობებში, შესაბამისი ელემენტების სულფატებსა და D-ფრუქტოზას შორის კომ-



პლექსწარმოქმნის შედეგად. სინთეზირებული კომპლექსების ხსნარები სიროპის კონსისტენციამდე კონცენტრირდება ვაკუუმ-ამორთქლებელზე 60° C. სუფთა სახით კომპლექსების ექსტრაგირება სარეაქციო არედან ხორციელდება სპირტ-ეთერის ხსნარების ნარევიტ. კომპლექსები ირეცხება აცეტონით, ეთერით, ლიოფილური შრობის მეთოდის გამოყენებით მიიღება მყარი სახით [7-8]. სინთეზირებული ლითონკომპლექსების საფუძველზე მომზადებულია ლითონდეფიციტური ანემიის სამკურნალო-პროფილაქტიკური კომპოზიციური პრეპარატები საინექციო და პერორალურად მისაღები, მყარი სახით. საინექციო ხსნარის რეცეპტორული შედგენილობა შემდეგია:

ცხრ. 1. საინექციო ხსნარის შედგენილობა

ინგრედიენტი	გრ
Fe(II)	7,5
Co(II)	0,07
გლიცინი	0,5
ფრუქტოზა	24,3
წყალი	100 მლ-მდე

პერორალურად მისაღები სამკურნალო-პროფილაქტიკური ფორმის შედგენილობა წარმოდგენილია ცხრ. 2- ის სახით.

ცხრ. 2. ანტიანემიური პრეპარატის მყარი ფორმის შედგენილობა

ინგრედიენტი	შემცველობა 1 გრამ პრეპარატში, მგ
ფრუქტოზა	241,85
Fe(II)	75,0
Zn(II)	0,1
Cu(II)	0,1
Mn(II)	0,06
Co(II)	0,007
Se	0,000262
მეთიონინი	0,00038
გლიცინი	5,0
ასკან - თიხა	678,0

მიღებული ანტიანემიური პრეპარატული ფორმები გამოცდილი იყო საცდელ ცხოველებზე - ლაბორატორიულ თეთრ ვირთხებზე და ახლადშობილ გოჭებზე. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებული მგრძობიარობით ხასიათდებიან რკინის ნაკლებობის მიმართ, რაც იწვევს მათ ხშირ სიკვდილიანობას და დიდ ეკონომიკურ ზარალს.

დადგინდა, რომ შემუშავებული კომპოზიციები მაღალი ბიოათვისებადობით და არატოქსიურობით ხასიათდებიან, არ იწვევენ გასტრალურ და დერმატოლოგიურ გარ-



თულებებს. ინექციის შემდეგ (დაბადებიდან მე-3 და მე-16- დღეს) ახლადშობილ გოჭებში ანემიის განვითარებას ადგილი არ ჰქონია, მათ სისხლის პლაზმაში ჰემოგლობინის და ერითროციტების შემცველობა იყო ნორმის ფარგლებში (ცხრ. 1).

ჩვენს მიერ მოზადებული ანტიანემიური სამკურნალო-პროფილაქტიკური კომპოზიციები ეფექტურობის მხრივ არ ჩამოუვარდებიან ძვირადღირებულ, იმპორტულ, ანალოგიური დანიშნულების პრეპარატებს. შემუშავებული პრეპარატების უპირატესობა უცხოურ ანალოგებთან შედარებით მდგომარეობს მათ დაბალ თვითღირებულებაში, პროლონგირების უნარში, უსაფრთხო გამოყენებაში.

ცხრ. 3. ჰემოგლობინის და ერითროციტების შემცველობა ინექცირებული საცდელი ცხოველების (მეძუძური გოჭების) სისხლის პლაზმაში

საანალიზოდ სინჯის ადების ეტაპი	ჰემოგლობინი (ნორმა 90-150 გ/ლ)	ერითროციტები (ნორმა 5,6-8,0 10 <sup>12</sup> უჯ./ლ)
ახალდაბადებული	65,0	5,1
მე-3 დღე (ინექციის დღე)	70,0	5,3
მე-4 დღე	81,2	6,1
მე-6 დღე	100,8	7,0
მე-10 დღე	101,2	6,8
მე-20 დღე	102,0	7,5
30-ე დღე	109,0	7,8
მე-40 დღე	110,0	8,1

ანტიანემიური სამკურნალო-პროფილაქტიკური საინექციო და პერორალურად მისაღები ფორმების მიღებასა და გამოყენებაზე მიღებულია სამი პატენტი.

ავტორები მადლობას უცხადებენ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს გრანტის პროექტის # FR/436/6-480/14 დაფინანსებისათვის, რის ფარგლებშიც ჩატარდა ეს კვლევები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. World Health Organization. Iron deficiency anemia: assessment, prevention and control: a guide for programme managers. Geneva, WHO, 2001.
2. Калетина Н., Калетин Г. Микроэлементы, биологические регуляторы, Наука в России, 2007, № 1, с. 21-26.
3. Калетина Н., Калетин Г. Предикативная токсикология. Микроэлементы и регуляция металл-лигандного взаимодействия. Наука в России, 2007, № 3, с. 220-227.
4. Rao CP, Kaiwar SP. 1993 Reduction of potassium chromate by D-fructose, D- glucose, D- galactose and L- sorbose, Carbohydr Res 244, 15-25.



5. Ch. Pulla Rao, K.Geetha & M.S.S. Raghavan, Fe complexes of D- glucose and D- fructose, 1994,7, 25-29.
6. Williams D.R. The metals of Life. London: Van Nostrad Reingold, 1971, p. 235.
7. ც. გაბელია, ლ. ჯაფარიძე, ე. სალუქვაძე, ლ. კაშია, ს. უროტაძე, რკინა (II) – D-ფრუქტოზის კომპლექსის სინთეზი და კვლევა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2008, ტ. 34, # 4, გვ. 401-404.
8. ც. გაბელია, ლ. ჯაფარიძე, ე. სალუქვაძე, ნ. ოსიპოვა, თ. კვერნაძე, ასკან- თიხის ჰიდროფილურ- ჰიდროფობური მოდიფიკაციების მიღება და კვლევა, პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ინსტიტუტის შრომები, 2013, გვ. 28-34.

### ANTI-ANEMIC DRUGS BASED ON CHELATE COMPLEXES

E. SALUKVADZE, C. GABELIA, L. JAPARIDZE, N. OSIPOVA, T. KVERNADZE, O. LOMTADZE

Petre Melikishvili Institute of physical and organic chemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

#### Summary

Monosaccharide D-fructose is chosen as a chelating agent, and vital transition metals - iron, cobalt, zinc, manganese and copper as chelating metals for the preparation of a preventive treatment against metal deficiency anemia. Separately, under various acidic conditions, Fe (II), Co (II), Zn (II), Mn (II), Cu (II) - D-Fructose complexes are synthesized. On their basis drugs for preventive treatment of metal deficiency anemia are prepared in the form of injection, and in solid form for oral administration. The obtained anti-anemia drugs were tested on laboratory animals – white rats and newborn pigs. After injection to the newborn pigs (3rd and 16th day of birth) there were no signs of anemia development, their hemoglobin and erythrocyte content in blood plasma was within the norm. It was found that the compositions developed are non-toxic, are characterized by high bio-digestion and do not cause gastric and dermatological complications.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## ON THE POSSIBILITY OF DEVELOPING ANTIMICROBIAL AND ANTIFUNGAL REMEDIES WITHOUT THE USE OF ANTIBIOTICS

NATIA CHUBINIDZE,\* NINO ABULADZE,\* PAVEL IAVICH\*\*

Akaki Tsereteli State University\*

Tbilisi State Medical University – I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry \*\*

The problem of microbial and fungal infections that cause various skin diseases, is one of the most important in modern health care [1]. A progressive increase in the number of patients is a serious medical and social problem. The most common diseases are onychomycoses and acne.

According to literary sources, from 2 to 18.5% of the inhabitants of the planet are suffering from onychomycosis, and in the age group of 70 years and older, 50% of the global population are blighted by this affliction. In Europe, the incidence of onychomycoses in the population ranges from 3 to 10%, increasing among people over 60 years of age to 30%. Onychomycoses in the structure of dermatologic pathology account for 24%, the cases of athlete's foot and smooth skin mycosis - 7%. The incidence of athlete's foot is increasing each year, explaining the overall increase in the incidence of dermatophytosis.

Onychomycosis is outstandingly frequent among dermatomycoses, which threaten the life quality of patients. Onychomycosis is often regarded as the natural cosmetic problem, although in reality it refers to debilitating diseases that have the negative physical and psychological effects on patients. There are three groups of onychomycosis pathogens: dermatophytes, yeast-like fungi and mold-line fungi - non-dermatophytes. Up to 90% of nail lesions are caused by dermatophytes. Mycoses of skin and its appendages (dermatomycoses) are caused predominantly by filamentous fungi. These, for example, are trichophytosis, epidermophytosis, microsporia, and favus, as well as athlete's foot and nails mycoses. The intensity of changes during these mycoses depends on the immune status of patient, virulence factor of pathogen, focalization of the affection, and the state of the affected areas. Most often, onychomycosis is caused by *Trichophyton (Tr) rubrum*, and less often - by *Tr. mentagrophytes*, and much less — by *Tr. violaceum*, *Epidermophyton floccosum*. In addition to dermatophytes, onychomycoses are often caused by yeast-like fungi of *Candida* family. The literature describes the cases with onychomycoses caused by mold-line fungi - non-dermatophytes, represented by different kinds of families of *Moniliaceae* and *Dematiaceae*. Recently, there is frequently noted poly-mycosis – the combination of the affections caused by yeast-like and mold-line fungi. There is also the possibility of the association of fungal and bacterial infection.

In systemic therapy of onychomycosis, there are widely used the antifungal drugs, such as: griseofulvin, amphotericin, ketoconazole, itraconazole, etc. These drugs have high activity, but are often enough tend to be characterized by a large number of side effects, characteristic of antibiotics, especially in oral use, as well as by addiction. For example, according to literary sources, in a



double-blind clinical test, the colloidal suspension of amphotericin B in a dose of 4 mg/kg/day was causing the chill and hypoxia, which occurred against the background of a drastic. pyrogenic reaction. The drug had to be discontinued in 4.6% of patients.

Another drug, liposomal amphotericin B, contains 50 mg of amphotericin B and 350 mg of lipids (in a molar ratio - approximately 1:10). A lipid part of this preparation includes hydrogenated soy lecithin (phosphatidylcholine), cholesterol and distearoil-phosphatidyl-glycerol in a molar ratio 10:5:4. Liposomal drug is accumulated in the liver and the spleen, to a greater extent than ordinary amphotericin B, causes kidney dysfunction, hypokalemia and reactions to the intake - fever, chills, hypoxia, arterial hypo- and hypertension. In some cases, usually the first several dosings lead to back, abdominal or chest pains. The cases of anaphylactic shock were also reported. In some cases, amphotericin B can cause severe renal impairment.

Long use of antibiotics gradually develops resistance to them, therefore, the treatment becomes ineffective. A side effect of itraconazole may be due to drug interactions. Intake in the dose of 400 mg/day, sometimes leads to gastrointestinal disturbances. According to literary sources, the side effects were observed in 39% of 189 patients treated with itraconazole in a dose of 50 to 400 mg/day: nausea and vomiting - in 10%, hypertriglyceridemia - in 9%, hypokalemia - in 6% of patients, increment ion activity of liver enzymes - in 5%, and rash - in 2% of patients. Hepatotoxic effects and drug rash are forcing to discontinue the preparation.

**Results and their discussion.** In the first cycle of the experiments, there were used



suppositories with a mass of 3 g and methylene blue content – 0,05%.

Comparison of three types of the bases, when using different emulsifiers, has shown the practically identical and higher resorptive properties of cocoa butter and hydrogenated fats and gelatinous-glycerin mixtures (Table 1). On average, the use of hydrogenated fat as a basis, allows for succeeding in obtaining the extent of releasing at the level of 48-54%. Among suppositories, which were based on cocoa butter or gelatinous-glycerin mixtures, this value is increasing up to 60% on average. These data allow us for making conclusion that in the case of water-soluble dyes, it is possible to use the bases of both types.

**Table 1. The influence of the type of a basis on the extent of releasing methylene blue**

Time, min	Release of methylene blue from suppositories, %		
	Suppositories – cocoa butter	Suppositories – hydrogenated fats	Suppositories – gelatinous-glycerin mixtures
15	10,9	6,6	19,5
30	25,3	15,6	31,8
45	32,7	20,6	39,6
60	43,4	33,1	48,3
90	51,5	40,1	52,3
120	55,3	48,3	58,0
150	58,9	50,2	59,8
180	61,6	53,8	60,3
210	61,9	54,0	60,5

The emulsifier – hostecerine, methylene blue content – 0,05%, suppository mass – 3,0 g, pH of the medium of dialysis – 5,0.

When comparing the type of emulsifier and its concentration, it turned out that there has been a strong relationship between the extent of releasing methylene blue and the content of emulsifier in a suppository within 1-5%. With further increase in the amount of emulsifier, no such relationship is apparent (Table 2). It is apparent that this involves improvements in the structure of suppositories, obtaining high homogeneity when administering emulsifier up to a certain limit.

**Table 2. The influence of the concentration of emulsifier on the extent of release**

Time, min	Release of methylene blue from suppositories, %			
	The content of emulsifier in suppositories, %			
	1,0	3,0	5,0	7,0
15	5,0	8,3	10,9	10,9
30	16,3	22,1	25,3	25,0
45	25,0	30,6	32,7	32,0
60	33,1	40,2	43,4	44,3
90	42,1	47,3	51,5	52,3
120	47,2	51,8	55,3	53,9
150	50,0	53,5	58,9	58,5
180	50,2	56,2	61,6	61,9
210	50,6	56,6	61,9	62,1



The emulsifier – hostecerine, methylene blue content – 0,05%, suppository mass – 3,0 g, pH of the medium of dialysis – 5,0.

Comparison of the type of emulsifier has shown that the activities of T-2 and hostecerine are practically identical (Table 3). However, the use of the latter one is more convenient, taking into account its liquid consistency.

**Table 3. The influence of the type of emulsifier on the extent of release**

Time, min	Release of methylene blue from suppositories, %					
	The basis – cocoa butter			The basis – hydrogenated fat		
	Hostecerine	Emulsion waxes	T-2	Hostecerine	Emulsion waxes	T-2
15	10,9	6,3	18,2	6,3	4,0	8,2
30	25,3	18,4	23,0	15,6	10,1	18,3
45	32,7	28,0	30,0	20,6	16,3	23,4
60	43,4	40,2	40,2	33,6	22,6	30,0
90	51,5	46,3	48,3	40,2	35,4	38,9
120	55,3	50,2	53,1	48,3	44,3	47,2
150	58,9	53,6	58,0	50,2	46,2	50,9
180	61,6	55,1	60,3	53,8	48,1	52,1
210	61,9	55,5	61,0	54,2	49,3	52,3

Methylene blue content – 0,05%, suppository mass – 3,0 g, pH of the medium of dialysis – 5,0.

The masses of suppositories do little to actually influence (within the limits under study) the value of the extent of release.

A certain influence takes place when using the medium of dialysis with different values of pH. Some increases in the extent of release observed at higher values of pH can be explained by a greater solubility of dye under these conditions. However, this change is not very conspicuous, and on average it makes up 5-8% (relatively). It is possible to predict practically the identical resorptive capacity of suppositories in the mucous media during the entire menstrual cycle.

A marked influence is observed between the extent of releasing methylene blue and its concentration in suppository (Table 4). It is apparent that this involves improvements in the mass-exchange characteristics with a greater difference between the concentrations of dye in different phases.

The emulsifier – cholesterol, suppository mass – 3,0 g, pH of the medium of dialysis – 5,0.

Study of the process of diffusion of a medicinal substance has shown the process begins within 50-60 minutes, on average, and within 24 hours, almost the entire surface of Petri dish is covered by dye. This one more possibility for predicting the fullness of absorbing a medicinal substance through the mucous membrane.



Table 4. The influence of the concentration of methylene blue (%) on the extent of release

Time, min	Release of methylene blue from suppositories, %					
	The basis – cocoa butter			The basis – hydrogenated gel		
	0,01	0,05	0,1	0,01	0,05	0,1
15	8,0	10,9	12,3	12,3	19,5	20,1
30	21,5	25,3	28,2	28,0	31,8	35,0
45	28,3	32,7	35,3	33,4	39,6	46,2
60	37,9	43,4	45,6	46,1	48,3	50,3
90	48,2	51,5	53,1	50,2	52,3	55,8
120	51,1	55,3	59,1	56,3	58,0	60,0
150	54,3	58,9	63,5	57,1	59,8	62,0
180	55,6	61,6	64,0	58,1	60,3	63,3
210	55,9	61,9	64,1	59,3	60,5	63,5

The time of a complete deformation of suppositories containing cocoa butter is 8-12 minutes. The time of dissolution suppositories containing hydrogenated gels – not more than 40-45 minutes. Within the intervals of the studied parameters of suppositories (mass, concentration of the active substance), they satisfy the existing requirements. The data obtained allow for recommending cocoa butter and hydrogenated gels as the bases for this type of suppositories. The final conclusion on the advantage of the appropriate composition can be made only after the clinical tests. Probably, it is necessary to produce suppositories containing the different amounts of methylene blue, which will be used depending on the type of illness and its severity.

#### REFERENCES:

1. Машковский М. Д. Лекарственные средства. 2005, 1200
2. Поцелуева Л.А. Сафулин Р.С. Биофармацевтическое исследование мази с метиленовым синим. Фармация, 2006, т. 2, 20-23.
3. Шатаева Л. К., Чернова Н. А. Зеленский Б.М. Исследование сорбции метиленового синего на гранулированных и мелкодисперсных сорбентах. Вестник ВГУ, сер. хим. фарм., 2004. 57-60.
4. Маринин В.С., Маринина А. В. В кн. "Лечение псориаза "Харьков, 2007, 92.
5. Хахлова Т. Д. Ле Тхи Хаан. Адсорбция красителей на активированных углях Вестник МГУ 2007 вып. 48, №3, 23-27.
6. Джавахия М.Ш, Л.И Чурадзе, П.А.Явич. Биофармацевтические и технологические исследования вагинальных супозиторий содержащих бриллиантовый зеленый. Georgian Medical News. 2008, №5, 33-36.





მეთილენის ლურჯის შემცველი სუპოზიტორიების ბიოფარმაცევტული  
ასპექტების შესწავლა

მაკა ჯავახია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
რეზიუმე

შესწავლილია მეთილენის ლურჯის გამოთავისუფლება ვაგინალური სუპოზიტორიებიდან კაკოს ზეთის, ჰიდროგენიზებული ცხიმების ან ჟელატინ-გლიცერინის ფუძეზე. ემულგატორად გამოიყენებოდა T-2, ემულსიური ცვილები ან ქოსტეცერინი. მიღებულია მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, გამოთავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია ფუძის სახეობაზე, ემულგატორის ტიპზე, მეთილენის ლურჯის კონცენტრაციაზე სუპოზიტორიებში და სხვა. მნიშვნელოვან შესაძლოა გადააჭარბოს 60%-ს, რაც შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## STUDIES OF THE STABILITY OF SOME COSMETIC PRODUCTS

MAKA JAVAKHIA

Akaki Tsereteli State University

*The paper dwells on studying the stability of some cosmetic products such as nourishing, moisturizing and liquid creams, under conditions of free access of oxygen that is the characteristic of their stability during the storage.*

The developed formulas of an array of cosmetic products, such as nourishing, moisturizing and liquid creams, prescribe the presence of oils using in the process of a 3-phase extraction of vegetable oil. In this case, the organic phase contains fat-soluble phenolic compounds, which, according to literary sources [1], are being used on a wide enough scale in the cosmetic industry displaying antioxidant activity. This suggests that the cosmetic compositions, which contain the above-mentioned fat phase, can be more resistant against oxidation, than creams containing the commonly used oils.

In this part of research, the grape-seed oil using in the process of 3-phase extraction, where the leaves of the eucalyptus, sage and smoke tree, as well as rosemary shoots and calendula flowers were used as the raw materials, was introduced into cosmetic products that do not contain stabilizers.

The studies were carried out in a temperature-controlled unit having a soldered-in glass filter, through which, by using a special-purpose pump, air was supplied at the blower-speed of 15 ml/min, within a certain time limit, at a given temperature of the mass of the obtaining cosmetic composition. Mass fraction of total peroxides (in percentage of active oxygen) was determined in accordance with [2]. As the objects of comparisons, there were used similar cosmetic products containing the grape-seed oil in the form of fat phase.

With oxidative deterioration, organoleptic assessment evaluation must be unambiguously correlated with the number of accumulated products.

Table 1. The growth in value of peroxide number over time ( $t=40^{\circ}$ )

Name of product	The content of oil of a 3-phase extraction(%)	Oxidation time (hours)						
		0	2,5	5,0	10,0	15,0	20,0	25,0
		Value of peroxide number (%)						
Nourishing cream	3,0	0,11	0,15	0,19	0,20	0,30	0,33	0,36
	5,0	0,09	0,13	0,16	0,20	0,27	0,30	0,34
	10,0	0,06	0,09	0,11	0,13	0,18	0,24	0,30
Comparing cream		0,14	0,20	0,23	0,30	0,37	0,48	0,54
	3,0	0,09	0,18	0,22	0,24	0,32	0,39	0,44



Moisturizing cream	5,0	0,08	0,16	0,18	0,23	0,29	0,36	0,40
	10,0	0,07	0,09	0,12	0,21	0,26	0,30	0,36
<b>Comparing cream</b>		0,16	0,20	0,23	0,34	0,46	0,52	0,57
Light-protective cream	5,0	0,06	0,10	0,12	0,16	0,20	0,22	0,26
	10,0	0,05	0,09	0,09	0,13	0,13	0,17	0,20
	20,0	0,05	0,08	0,08	0,12	0,13	0,15	0,18
<b>Comparing cream</b>		0,08	0,16	0,20	0,24	0,3	0,34	0,38
Liquid cream	3,0	0,21	0,28	0,32	0,35	0,43	0,47	0,51
	5,0	0,19	0,25	0,29	0,32	0,40	0,45	0,49
	10,0	0,16	0,20	0,22	0,28	0,35	0,39	0,44
<b>Comparing cream</b>		0,21	0,28	0,31	0,39	0,46	0,53	0,60

The data obtained (Table 1) allow us for making conclusion that the oil containing fat-soluble phenolic compounds displays a certain antioxidant activity. In all studied composition, introduction of this type of oil drives down the amount of peroxide compounds in the process of oxidation. In the medium range of a 3-10%-concentration, a decrease in values of a peroxidation number, in comparison with a reference sample, may reach 50%, averagely. The largest decrease in this indicator is observed in the case with nourishing cream (42-46%) and light-protective cream (50-53%). The lower values of indicators are observed when using moisturizing cream (35-38%) and liquid cream (25-28%). Such a difference in the stability is associated with the presence of different amount of water in them. Nourishing cream contains up to 30% of water; light-protective cream – up to 55%. High antioxidant activities of light-protective cream are due to the fact that along with amount of fat-soluble phenolic compounds, it also contains a number of plant extracts in larger quantities than other ones, which apparently also have antioxidant activity. A meaningful factor is also the oil concentration in cosmetic products, which is used in the process of a 3-phase extraction. With the increase in its amount, there is observed a considerable increase in its antioxidant activity. In the range of the 3-10% concentrations, for nourishing cream it accounts for 15-18%; for moisturizing cream – 19-21%; for liquid cream – 12-15%. For light-protective cream, it varies between 5,0-20,0% and 18-32%. It should be noted that the formulas of all creams prescribe the introduction of distilled monoglycerides. It is well-known that creams containing distilled monoglycerides, in substitution for the spermaceti, have a coarser structure. This is determined visually as well when applying it to the skin.

Introduction of oil containing fat-soluble phenolic compounds into the studied compositions allows for ensuring the structure, which, with conventional ways of evaluation, is practically similar to creams containing the spermaceti.



**Table 2. The change in value of peroxide number at room temperature  
(in the presence of stabilizers)**

Name of products and the content of oil of a 3-phase extraction	Oxidation time (hours)						
	0	2,0	4,0	6,0	8,0	10,0	12,0
<b>Nourishing cream 5%</b>	0,09	0,09	0,09	0,10	0,12	0,12	0,14
Comparing cream	0,09	0,10	0,12	0,15	0,18	0,19	0,20
<b>Moisturizing cream 5%</b>	0,08	0,08	0,09	0,10	0,12	0,14	0,16
Comparing cream	0,08	0,14	0,16	0,20	0,22	0,24	0,26
<b>Light-protective cream 10%</b>	0,08	0,08	0,08	0,08	0,10	0,10	0,12
Comparing cream	0,05	0,08	0,10	0,12	0,14	0,16	0,16
<b>Liquid cream 5%</b>	0,14	0,12	0,20	0,20	0,25	0,28	0,29
Comparing cream	0,11	0,16	0,20	0,24	0,26	0,30	0,34

During the storage of the developed cosmetic compositions under normal conditions at room temperature, in winter – about 15-20 °C, in summer, during the hottest months – 30-35%, in cans with a ground-in lid, the growth in the amount of peroxide compounds in most creams is not significant (Table 2) in absolute numbers. Over a period of one year of storage, the amount of peroxide compounds in most creams accounted for 0,12-0,14%, on average. Only in liquid cream, it accounted for 0,29%. However, a relative increase is more significant, in nourishing cream – 34-37%, in moisturizing cream - 48-52%, in light-protective cream – 32-36%, and in liquid cream – 61-65%. Furthermore, these data are substantially different from quantitative accumulation of the amount of peroxide compounds in comparing creams.

These data allow us for making conclusion that the introduction of oils containing fat-soluble phenolic compounds into cosmetic products allows for increasing their stability, and improving to some extent, by visual control, their structural properties.

#### REFERENCES:

- Gusakova C.D., Sakudaev SH.I., Khushbaqтова Z.A. KHPS, 1998(4), 437-448
- Масла. Эфирные, вещества душистые, полупродукты их синтеза. ГОСТ 146 18.0.78

#### ზოგიერთი კოსმეტიკური საშუალებების სტაბილობის შესწავლა მაკა ჯაფანია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
რეზიუმე

შესწავლილია რიგი კოსმეტიკური საშუალებების - მკვებავი, დამატენიანებელი, სინათლისგან დამცავი და თხევადი კრემების - სტაბილობა ჟანგბადის თავისუფალი შეღწევის პირობებში, რაც ითვლება მათი მდგრადობის მახასიათებლად შენახვის დროს.



მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით ახალი სასურსათო პროდუქტების შექმნა მათთვის დაბალანსებული ენერგეტიკული, საბემოვნო და ფარმაკოლოგიური თვისებების მინიჭების მიზნით

ტყემალაძე ბ.შ., ქვარცხავა ბ.რ., ჭიტიაშვილი ჯ.ბ., ღავითაია ბ.შ.,  
ძნელაძე ს.წ., მურვანიძე ხ.ბ., დემეტრაშვილი მ.ა., ჯუმბურაძე ბ.კ.,  
შუბითიძე ა.ი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. საქართველო

*ინგრედიენტების წყაროდ შევარჩიეთ: ბალის ქონდარი, კულმუხო, სალბისა და ფეიხოს ფოთლები, აგრეთვე თავშავას ექსტრაქტი. ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სურსათის ორგანოლეპტიკურ და სამკურნალო თვისებებზე ინგრედიენტების გავლენა. ქონდარისათვის დადგენილია ანთებითი პათოლოგიების სამკურნალო- პროფილაქტიკური ეფექტი. შექმნილია Q10 „ალფა+“ იმუნო-სტიმულატორი. ღვიწროში კულმუხოსა და სალბის გამოყენებით შესწავლილია ახალი ენერგეტიკულ-საგემოვნო და ფარმაკოლოგიური თვისებების მქონე სასმელის შექმნის შესაძლებლობა.*

სტუ-ს აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო, საქართველოში ველურად მოზარდი და კულტივირებული მცენარეების გამოყენებით, ქართული პროდუქციის, მათ შორის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისათვის ტექნოლოგიებისა და რეკომენდაციების შემუშავება, აგრეთვე ასორტიმენტის გაუმჯობესება და ახალი რეცეპტების შეთავაზება; უფრო მეტი სასარგებლო თვისებების მინიჭება; შენახვის ვადის გახანგრძლივება; სტაბილურობის, ფერის, სუნის, გემოსა და არომატის შექმნა; ადამიანის გუნება-განწყობილების, გონებრივი განვითარების, სასიცოცხლო ტონუსისა და შრომითი აქტიურობის ამაღლება; დაბერების პროცესების შეწყვეტა და სხვ. ამგვარად, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო, მცენარეული ინგრედიენტებით დაბალანსებული, სურსათის წარმოება - ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სხვადასხვა დაავადებისაგან დაცვის აუცილებელი წინაპირობაა.[1-2]

დასახული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია:

1. იმ ადგილობრივი მცენარეების მოძიება, რომლებიც გამოირჩევა ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით და აქვს პროფილაქტიკურ-სამკურნალო თვისებები. ხასიათდება მისაღები ორგანოლეპტიკური მახასიათებლებით, გავრცელების არეალით, ჩვენში ვეგეტაციის მისაღები პირობებით, მცენარეული რესურსების



ხელმისაწვდომობით, კულტივირებისა და მათგან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფის შედარებითი სიადვილით, გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლის საგრძნობი სიმარტივითა და ეკონომიურობით.

2. საკვებ პროდუქტებში მცენარეული ინგრედიენტების ჩართვის ხასიათი განისაზღვროს მომხმარებელთა ზოგადი ინდივიდუალური შესაძლებლობების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური დატვირთვის, სქესის, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა ჯანმრთელობაზე სეზონურობისა და კლიმატის გავლენის, აგრეთვე ქართული კულინარიული ტრადიციებისა და ეთნიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

კვლევა წარმართება შერჩეული მცენარეების უსაფრთხოების ყველა აუცილებელი სტანდარტის დაცვით; მთელი რიგი ქიმიური, ფიზიკური, ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლის დადგენით.

კვლევის საწყის ეტაპზე მცენარეული ინგრედიენტების წყაროდ გამოვიყენეთ ბალის ქონდარი (*Satureja hortensis* L.) კულმუხოს (*Inula helenium*) ფესვები, სალბისა (*Salvia officinalis*) და ფეიხოსის (*Feijoa sellowiana*, *Acca sellowiana*) ფოთლები, აგრეთვე თავშავა (*Origanum vulgare* L.) აღნიშნული მცენარეების შერჩევა განაპირობა მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მრავალფეროვანმა შემცველობამ, მრავალმხრივმა სამკურნალო-პროფილაქტიკურმა, სასარგებლო თვისებებმა და ევროპაში, ამ კუთხით, დიდმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ.

ქონდარს ჯერ კიდევ ძველი რომაელები უკავშირებდნენ მიწათმოქმედების ღმერთ სატურნს. ახლო აღმოსავლეთში ის საკულტო მცენარედ მიიჩნეოდა და გამოიყენებოდა როგორც მედიცინაში, ისე საკვები პროდუქტების წარმოებაში. მცენარე დიდი რაოდენობით შეიცავს ისეთ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, როგორებიცაა: ეთერზეთები, ფისები, ანტიოქსი-დანტები, მთრიმლავი ნივთიერებები და სხვ. ქონდარს აქვს ანტისპაზმური, მატონიზირებელი, დეტოქსიკაციური, ბაქტერიოციდული და მრავალი სხვა თვისება. ადვილებს მონელების პროცესს, აძლიერებს მადას, ხელს უწყობს გაზების გამოდევნას, ხსნის კუჭის სპაზმს. ქონდარი აძლიერებს მომნელებელი ფერმენტების გამოყოფას. აქვს ტკვილ-გამაყუჩებელი და ანტიდიაბეტური მოქმედება [ 3 ].

კულმუხოს სამკურნალო თვისებები უკავშირდება მის ფესვსა და ფესვურაში არსებულ ნივთიერებებს. კერძოდ: ინულინს (44%-მდე); სესკვიტერპენოიდებსა და ტრიტერპენოიდებს; სტეროიდებს; საპონინებს; უმაღლეს ალიფატურ ნახშირწყალბადებს; ლიპიდებს; ლინოლმჟავას (63,7%); ლინოლენმჟავას (4%); მირისტინის (0,6%); პალმიტინისა (17,5%) და ოლეინმჟავას (7,9%) და სხვ. კულმუხოს პრეპარატები გამოიყენება ტუბერკულოზის, ბრონქული ასთმის, ტრაქეიტებისა და ბრონქიტების დროს. აგრეთვე გასტროენტერიტებისა, ენ-



ტეროკოლიტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და ღრძილების ანთების, ნეფრიტის, ლარინგიტის, შაქრიანი დიაბეტის, ქოლევსტიტის, ჰეპატიტისა და სხვა მრავალი დაავადების სამკურნალოდ [4-6].

სალბი [*Lamiaceae (Labiatae)*] ოჯახის ბუჩქოვანი მცენარეა. შეიცავს ისეთ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, როგორებიცაა: მონოტერპენები, სესქვიტერპენები, მთრიმლავი ნივთი-ერებები, ეთერები, ფენოლები, ფიტონციდები, ალკალოიდები, ფლავანოიდები. ურსოლინმჟავას შემცველობის გამო, სალბი გამოიყენება კუნთოვანი ატროფიის სამკურნალოდ, ქსოვილებში ცხიმისა და სისხლში გლუგოზის შესამცირებლად. ხასიათდება ანტიანთებითი, ანტიმიკრობული მოქმედებით. გამოიყენება მელანომის თერაპიაში და სხვ. ქლოროგენმჟავას შემცველობის გამო, სალბი ხასიათდება ძლიერი ანტიოქსიდანტური, ანტიმუტაგენური, ანტიმიკრობული აქტივობით [7-9].

ფეიხოა განეკუთვნება ბიოაქტიური ნივთიერებებით, ორგანოლექტიკური თვისებებით გამორჩეულ და იოდდეფიციტური ჩიყვის დროს ფართოდ გამოყენებულ მცენარეს [4,8]. საყოველთაოდ ცნობილია ფეიხოს ნაყოფის განსაკუთრებული თვისებები. აღმოჩნდა, რომ არანაკლები სამკურნალო-პროფილაქტიკური და საგემოვნო თვისებებით ხასიათდება ფეიხოს ფოთლებიც, რომლებიც, ნაყოფის მსგავსად, მდიდარია მაკრო- და მიკროელემენტებით, ვიტამინებით, ეთერზეთებითა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სხვა ბიოაქტიური ნივთიერებებით, კერძოდ, ადვილად შეთვისებადი იოდის ნაერთების შემცველობით [10]. ასეთმა ქიმიურმა შედგენილობამ განაპირობა ფოთლების გამოყენება ხალხურ მედიცინაშიც: ჭრილობების, კანის წყლულების, ღრძილებიდან სისხლდენისა და კბილის ტკივილის დროს. არსებული მონაცემების თანახმად, ფეიხოა გამოიყენება, როგორც მნიშვნელოვანი ანტინფექციური საშუალება, ანტიოქსიდანტი და ღვიძლის ჰეპატო-პროტექტორი [8,11].

თავშავა (შავბალახა, ოსური ჩაი, ჩაის პიტნა) არომატული, თაფლოვანი, მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა [3,4]. საქართველოში ბუნებრივად გავრცელებული თავშავა უხსოვარი დროიდან ცნობილია, როგორც სამკურნალო მცენარე [4-8]. თავშავა ფართოდ გამოიყენებოდა როგორც ანტიბაქტერიული, შარდმდენი, ნალველმდენი, ოფლმდენი, ამოსახველებელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, აგრეთვე სასუნთქი გზების, საჭმლის მომნელებელი სისტემის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებებისა და ანთებითი პროცესების სამკურნალოდ [8,12]. თავშავას პრეპარატები შედის ბუნებრივი სამკურნალო ნაკრებების შედგენილობაში. ეფექტურია გაცივებისა და ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისათვის. გამოიყენება იმუნიტეტის გასამდიერებლად, ბრონქული ასთმის, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის, ნერვული სისტემის აშლილობის, ნერვოზების, დეპრესიის, ისტერიის, უძილობის, ეპილეფსი-



ის, გინეკოლოგიური პრობლემების სამკურნალოდ. ასევე, ჭარბი წონის კორექციისთვის და, ზოგადად, ორგანიზმის გასაწმენდად [4,5,13].

დაბოლოს, თავშავას ჩაი ცნობილია, როგორც ალკოჰოლიზმის სამკურნალო უებარი სა- შუალეობა. ჩაის რეგულარულად სმისას ადამიანს უქრება ალკოჰოლის მიმართ მო- თხოვნილება.

ქონდარზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ მასში არსებული ფლავანოიდური ნაერთები გამოირჩევა უფრო მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით, ვიდრე ამ კლასის ისეთი ცნობილი ნაერთები, როგორებიცაა: კვერცეტინი და რუ- ტინი. ფლავონოიდურ ნაერთებს აღმოაჩნდა გარკვეული ანტიმიკრობული აქტივობა ზოგიერთ გრამ-დადებით და გრამ-უარყოფით მიკროორგანიზმების მიმართაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი დამრთავუნველი ეფექტი იმ მიკროორგანიზმების (*Pseudomonas tumefaciens*, *Bacillus subtilis* და *Staphylococcus aureus*) მიმართ, რომლებიც იწვევს საკვები პროდუქტების დაბინძურებას. მცენარის ფენოლური ნაერთები ახდენს ღვიძლის მიკროსომური, მონო- ოქსიგენაზური და ციკლოოქსიგენაზური ფერმენტული სისტემების აქტივობის ინჰიბირებასა და მათი პროდუქტების თვისებრივი და რაოდენობრივი შედგენილობის რეგულირებას როგორც *in vitro*, ისე *in vivo* პირობებში. ვფიქრობთ, ბიოფლავანოიდების ეფექტის ერთ-ერთ სავარაუდო მექანიზმს უნდა წარმოადგენდეს ორგანიზმში პროსტანოიდური და ეიკოზანოიდური ბუნების ვაზო- დილატატორებსა და ვაზოკონსტრიქტორებს შორის ბალანსის რეგულირება, მათი წარმოქმნილი ფერმენტული სისტემების არასპეციფიკური ინჰიბირების გზით. საკვლევი ფლავანო- იდური ნაერთები დადებით გავლენას ახდენს ოპერაციის შემდგომ რეგენერაციულ პროცებზე, რაც დამახასიათებელია მიტოზური აქტივობის სტიმულირებისთვის [14-18].

მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით შემუშავებულ იქნა იმუნოსტიმულატორი Q10”ალფა+” ემულსია, რომელიც ხასიათდება ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნო- ნიტეტის გამაძლიერებელი თვისებებით. ზრდის ჰემოგლობინის რაოდენობას და ეფექტურია მრავალი დაავადების მიმართ. იმუნოსტიმულატორი გამოიყენება როგორც მა- ლალეფექტური პროფილაქტიკურ-სამკურნალო საშუალება, ისე საჭმლის მომნელებელი სისტემის, გასტრიტების, წყლულების, ჰეპატიტების, პანკრეატის, პროსტატიტის, ნეფრი- ტის, დიაბეტის, ჰიპერტონიის, სტენოკარდიის, ართრიტის, ასთმის, ალერგიების, ჰემო- როის, ანემიისა და სხვა დაავადებების დროს. იმუნოსტიმულატორის გავლენით ორგანი- ზმში ნორმალიზდება წყალბადიონთა კონცენტრაცია, საჭმლის მომნელებელი სისტე- მის ფუნქციონირება. ორგანიზმი იწმინდება ზედმეტი ქოლესტეროლისგან; იზრდება სისხლის მიმოქცევა; ჰემოგლობინის რაოდენობა. პარალელურად იზრდება ორგანიზმის ჟანგბადით მომარაგება და შრომისუნარიანობა.





დღეს მსოფლიოში ღვინის მწარმოებელმა უმსხვილესმა ქვეყნებმა - საფრანგეთმა, იტალიამ, ესპანეთმა - საშუალო ხარისხის ღვინის ჭარბწარმოებით გამოწვეული ეკონომიკური სიძნელეების გამო, გადაწყვიტა: მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლება; სუფრის ყურძნის ჯიშების წარმოების განვითარება; ყურძნის ახალი დანიშნულებით გამოყენება (ყურძნის შაქრისა და საკვები საღებრების წარმოება); ახალი ტიპის სასმელების, კერძოდ, დაბალალკოჰოლიანი ღვინოების, აგრეთვე ხილთან შერეული წვენების წარმოება და სხვ. განვითარებადი მეღვინეობის ქვეყნებში შეიმჩნევა წარმოებისა და ხარისხის ზრდისადმი სწრაფვა, მეღვინეობის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კი ყურადღება მახვილდება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაზე, აგრეთვე ყურძნის გამოყენების ახალი გზების ძიებაზე [19].

აღნიშნულიდან გამომდინარე, შევისწავლეთ კულმუხოს ფესვებისა და სალბის ფოთლების გავლენა რქაწითელის ჯიშის ყურძნის სპირტულ დუდილზე, აგრეთვე საკვლევ ნიმუშებში ღვინომასალების ფიზიკურ-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ორგანო-ლეპტიკური პარამეტრები.

სერტიფიცირებული დეგუსტატორის, პროფ. მარიამ ხომასურიძის დასკვნით, მიღებული შედეგები შეესაბამება დარგის მარეგულირებელი დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. კულმუხოსაგან დამზადებული ნიმუში ხასიათდება სასიამოვნო არომატით, მცენარისათვის დამახასიათებელი სენსორული თვისებებით და ჰარმონიულად ერწყმის ღვინომასალის ჯიშურ არომატს. სალბის გამოყენებით დამზადებულ ნიმუშში დომინირებს მცენარეული ნედლეულისათვის დამახასიათებელი გემოვნური თვისებები. შესაბამისად, დგინდება, რომ კულმუხოსა და სალბის გამოყენებით არომატიზირებული ღვინის დამზადება პერსპექტიულია და კონკრეტული რეცეპტურის შემუშავებისათვის საჭიროებს შემდგომ კვლევას.

ცდების შემდგომ სერიაში დაგეგმილია: 1. თავშავას ექსტრაქტის გამოცდა მალფუქებად საკვებ პროდუქტებზე, მაგალითად: ხორცისა და რძის პროდუქტებზე, სხვადასხვა სახის ფხალეულზე, საკონდიტრო, განსაკუთრებით კრემიან ნაწარმებზე, ალკოჰოლიან და უალკოჰოლო სასმელებზე და სხვ. 2. ფეიხოსის ფოთლების სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების დადგენა და სასურსათო პროდუქტებში ინგრედიენტებად გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა.



### გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ტყემალაძე. ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2017. ელექტრონული ვერსია.
2. გ. ტყემალაძე, გ. ქვარცხავა, ხ. მურვანიძე, მ. დემეტრაშვილი, ს. ძნელაძე, გ. ჭუმბურიძე, თ.საჩა-ნელი-ქადაგიშვილი, კ. მალრაძე. ბიოაქტიურ დანამატად კულმუხოსა (*Inula helenium*) და სალბის (*Salvia officinalis*) გამოყენების პერსპექტივები მედიცინაში. საერთაშორისო კონფერენცია - მევენახე-ობა და მედიცინა ევროპის ქვეყნებში, ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები. 25-27 ოქტომბე-რი, 2017. შრომათა კრებული, გვ. 214-226.
3. С.Я. Соколов, И.П. Замотаев. Справочник по лекарственным растениям. 1990, изд-во Металлургия, Москва, 428 с.
4. ნ. წულუნავა . საქართველოს სამკურნალო მცენარეები. თბილისი, 1966.
5. იოანე ზაგრატიონი. საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1986.
6. დავით ზაგრატიონი. „იადიგარ დაუდი“ (ლადო კოტეტიშვილის გამოცემა). თბილისი, 1985.
7. Государственная Фармакопея РФ, вип. 11 ФС. 2.5.0051.15.
8. З. А. Меньшикова, И. Б. Меньшикова, В. Б. Попова. Лекарственные растения в народной медицине .Изд-во Эксмо, 2010.
9. В. Петков и др. Современная Фитотерапия. „Медицина и физкультура“, 504 с. 1988.
10. <https://www.researchgate.net/publication/286282082> Pharmacologyonline January (2008).
11. Journal of Medicinal Plants Research Vol. 4(11). pp. 1065-1072, 4 June, 2010.
12. А. А. Крылов и др. Фитотерапия в комплексном лечении заболеваний внутренних органов, Киев, „Здоровья“, 1991.
13. Т.А Гончарова. Энциклопедия лекарственных растений, лечение травами. т.2. Изд-во Домб МСП, 1997.
14. Z. Khuchukashvili, N. Avaliani, D. Mchedlishvili, G. Davitaia. Antioxidant and scavenging activity of flavonoid extract from *Satureja hortensis L.* J. Biol. physics and chemistry (JBPC), vol. 6. N2, 06/ 2006.
15. ზ. ქუჩუკაშვილი. ბადის ქონდრის (*Satureja hortensis L.*) ფლავანოიდური ფრაქციის ანტი-ჟანგვითი აქ-ტივობა. დისერტაცია ბიოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი. 2006.
16. დ. მჭედლიშვილი. ბადის ქონდრის (*Satureja hortensis L.*) ფლავანოიდების ჯამური ფრაქციის პრო-ფილაქტიკური და სამკურნალო თვისებები, დისერტაცია ბიოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხა-რისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 2006.
17. D. Mchedlishvili, I. Modebadze, G. Davitaia. The changes of mitotic activity and the cholesterol level under influence of phenolic compounds from *Satureja hortensis L.* On one-side nephrectomized rats proceedings of the Georgian Academy of Sciences, Biological series. vol 1. N1-2, 2003, pp.66-69.
18. Z. Khuchukashvili, G. Davitaia, I. Gorosia, G. Kvesitadze, G. Khatishvili. Antioxidant characteristic of phenolic compounds of *Satureja hortensis L.* J Biol.Physics and Chemistry, vol. 3, N2, 2003 pp 85-88.
19. <http://www.oiv.int/en/the-international-organisation-of-vine-and-wine/presentation-of-the-OIV>



**PRODUCTION OF NEW FOODS USING THE VEGETABLE INGREDIENTS FOR GIVING THEM ENERGY-FLAVOR AND PHARMACOLOGICAL PROPERTIES**

**TKEMALADZE G.SH., KVARTSKHAVA G.R., KITIASHVILI J.G., DAVITAIA G.SH.,  
DZNELADZE S.J., MURVANIDZE KH.G., DEMETRASHVILI M.A., CHUMBURIDZE G.,  
SHUBITIDZE A.I.**

**Georgian Technical University. Tbilisi. Georgia**

**Summary**

One of investigation trends at the Department of Food Technology of the Faculty of Agricultural Science and Biosystem Engineering is the development of technologies for production of eco-friendly and safe products including alcoholic beverages and soft drinks, using wild and cultivated plants of Georgia. For this purpose, it is necessary: to select the plants that contain high concentrations of biologically active substances and have high organoleptic characteristics. When selecting the plants, we take into consideration easy access to raw plant materials and relatively simple and low-cost processing. Introduction of vegetable ingredients into foods is determined by individual possibilities, a state of health, physical exercise, sex, and age of consumers, by seasons and climate, and also by culinary traditions and ethnicity. The safety of infusions of the selected plants is tested in accordance with all essential standards, as well as a number of their chemical, physical and biochemical characteristics are studied. We chose the following plants as the sources of ingredients: savory, elecampane, the leaves of sage and feijoa, as well as the extract of Oregano. The effect of these ingredients on the organoleptic and pharmacological properties of various foods was studied. The medical and prophylactic effect of savory on inflammation pathologies was revealed. Immunostimulant Q<sub>10</sub> „Alpha+” was designed. By using elecampane and savory ingredients in wine, the possibility of production of a new beverage with medical-prophylactic properties was studied.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## კოლდკრემების რეოლოგიური თვისებები

ბაბელია მ., ცინცაძე თ., ბელოვანი ნ., მიშელაშვილი ხ., ღვინჯილია ს.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ჩატარებულია კოსმეციტიკის პრინციპების საფუძველზე შექმნილი კოლდკრემების რეცეპტურის რამდენიმე ვარიანტის რეოლოგიური კვლევა. კვლევის შედეგები მოცემულია სტატიისა და ცხრილების სახით.*

დღეისთვის, კოსმეტიკური პროდუქციის რეოლოგიური კვლევა აუცილებელია და ის რეგლამენტირებულია ISO-ს სტანდარტების მიხედვით. ჩვენ შემთხვევაში კოლდკრემების რეოლოგიური მახასიათებლების გაზომვა ხდებოდა როტაციული ვისკოზიმეტრის - NDJ 8 Digital Rotary Viscometer მეშვეობით.

კოლდკრემები სტანდარტული კოსმეტიკური კრემებისაგან განსხვავდებიან კოსმეციტიკური შემადგენლობით, დამზადების მეთოდით, ნაჯერი ცხიმოვანი ზეთების და მცირე რაოდენობა ემულგატორების შემცველობით. ფაქტიურად, ცხიმოვანი ზეთები შეირჩევა ისე, რომ თვითონ ასრულებენ ემულგატორის როლს. მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცვილები და ასევე ცერიატები ცვლიან კრემის სტრუქტურას. ამასთან დაკავშირებით, მიღებული რეოლოგიური მაჩვენებლები განსხვავდებიან ჩვეულებრივი კოსმეტიკური კრემების გამოკვლევებით მიღებული ანალოგიური მაჩვენებლებისაგან. განვიხილოთ შემუშავებული კოლდკრემის 3 სახეობის რეცეპტურის რეოლოგიური თვისებები. თავისი კონსისტენციით კრემის ნიმუში 1,2,3 მიეკუთვნება მყარ, კრემის ნიმუში 4 საშუალო სიმკვრივის, ხოლო კრემის ნიმუში 5,6 მსუბუქ (რბილ) კრემებს.

ჩვენს მიერ შემუშავებული კოლდკრემების რეცეპტურის ვარიანტები მოყვანილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. კოლდკრემების რეცეპტურის ვარიანტები

№	კომპონენტის დასახელება	კომპონენტების შემცველობა პროცენტებში					
		1	2	3	4	5	6
1	ქოქოსის ზეთი	8.62	8.62	21.38	11.02	6.91	5.80
2	შიის კარაქი	8.62	8.62	21.38	11.02	2.07	1.80
3	კაკაოს ცხიმი	8.62	8.62	-	14.70	9.21	9.21
4	ყურძნის წიპწის ზეთი	8.62	8.62	10.69	11.02	6.91	6.91
5	ყოყობას ზეთი	8.62	8.62	10.69	-	-	-
6	ზეითუნის ზეთი	-	-	10.69	-	13.82	13.82
7	სოიოს ზეთი	-	-	-	22.05	-	-



№	კომპონენტის დასახელება	კომპონენტების შემცველობა პროცენტებში					
		1	2	3	4	5	6
8	ცეტილპალმიტატი	25.30	16.49	10.69	15.10	9.46	8.0
9	ემულსიური ცვილი	5.50	8.62	-	-	4.12	4.04
10	ფუტკრის ცვილი	4.46	8.62	-	7.40	-	-
11	გლიცერინი	3.64	5.17	6.45	6.12	-	-
12	პროპოლისის ზეთოვანი ექსტრაქტი	-	-	2.95	-	-	-
13	ალვის მშრალი ექსტრაქტი	-	-	2.95	-	-	-
14	ვიტამინები A,E	-	-	-	0.5	0.5	0.5
15	ლიმონმჟავა	-	-	2.13	1.07	0.92	0.92
16	წყალი	18.0	18.0	-	-	46.08	49.0

ძვრის დაძაბულობის გავლენა ძვრის სიჩქარეზე მიეკუთვნება არანიუტონურ სისტემებს, რაც აშკარად დაკავშირებულია რთულ, მრავალფაზიან სისტემაში საკმაოდ მრავალკომპონენტიან შემადგენლობასთან. მიღებული მრუდების ფორმა დამოკიდებულია ცალკეული კრემების არა მარტო სიმაგრეზე, არამედ, აგრეთვე, გამყარების ტემპერატურაზე. ძვრის სიჩქარის დამოკიდებულება ძვრის დაძაბულობაზე საშუალებას გვაძლევს, მივაკუთვნოთ კრემები ფსევდოპლასტიკური დენადობის ტიპის ნივთიერებებს.

მზრუნავი მომენტის სიდიდის დაბალი მნიშვნელობისას, დინამიური სიბლანტის სიდიდის ვარდნის დროს, ყველაზე ინტენსიურია პირველი სტადია, მზრუნავი მომენტის სიდიდის ზრდისას კი მე-2 სტადია. (ნიმუშების №1,2,3-ის შემთხვევაში ის ფაქტიურად არ იცვლება, ნიმუში №4 და ნიმუში №5,6-ის შემთხვევაში შემცირება მკვეთრად შენელებულია. ამის ახსნა შესაძლებელია მალამოს კოლოიდური სტაბილურობის შეფარდებითი შემცირების პროცესით პირველ სტადიაზე დატვირთვით, მე-2 სტადიაზე წონასწორობის მდგომარეობის დაწყების დადგომამდე. ფაქტიურად, მზრუნავი მომენტის შეცვლისას, იცვლება პროცესის მასაგაცვლითი მაჩვენებლები, რაც ახასიათებს მალამოს მიღების ტექნოლოგიურ პროცესებს. მასაგაცვლითი კოეფიციენტის სიდიდის შემცირება დაკავშირებულია წონასწორობის მდგომარეობის მიღწევასთან.

ძვრის სიჩქარის გაზრდისას შეიმჩნევა მიღებული კოლდკრემების ვარიანტების დინამიური სიბლანტის მაჩვენებლის შემცირება. ნათელია, რომ ამ დროს ხდება სისტემის სტაბილურობის დარღვევა და, როგორც შედეგი, სტრუქტურული ნაწილაკების ურთიერთქმედება. დატვირთვის მოხსნასთან ერთად, კოლდკრემების დინამიური სიბლანტე იწყებს მატებას და პრაქტიკულად აღწევს საწყის მდგომარეობას, რაც დაკავშირებულია სტრუქტურული მახასიათებლების საწყის მდგომარეობაში დაბრუნებასთან. ზემოაღნიშნულის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამოსაკვლევი კოლდკრემების



ნიმუშები ფლობენ ტიქსოტროპულ თვისებებს.

მბრუნავი მომენტის სიდიდის დამოკიდებულება როტორის ბრუნვის სიჩქარეზე საშუალებას გვაძლევს განსაზღვროთ პლასტიკური დენადობის საწყისი მნიშვნელობა.

განვიხილოთ პლასტიკური სიბლანტის სიდიდის დამოკიდებულება როტორის ბრუნვის სიჩქარეზე. მოცემულ შემთხვევაში, დატვირთვის სიდიდის გაზრდისას, შეინიშნება პლასტიკური სიბლანტის დაქვეითება, რაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც კოლდკრემში განსაზღვრული სტრუქტურული კავშირების დაშლა, და ამის შედეგად, გარკვეულ ზღვრამდე ადგილობრივი თვისებების დარღვევა. როტორის ბრუნვის სიჩქარის შემცირებისას სისტემა უბრუნდება საწყისთან მიახლოებულ მდგომარეობას, რაც კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას, ინტენსიური მექანიკური ზემოქმედების დროს (ტუმბოების, სარეველების მოქმედება ტექნოლოგიური პროცესის დროს და ა.შ), ვივარაუდოთ მიღებული კოლდკრემების სტრუქტურის მდგრადობაზე და სტაბილურობაზე, რასაც ადასტურებს პლასტიკურობის კოეფიციენტის  $\psi$  ( $\psi^{-1}$ ) დინამიკა. პლასტიკურობის კოეფიციენტს, როტორის ბრუნვის სიჩქარის ცვლილებისას, ახასიათებს პრაქტიკულად მუდმივი მნიშვნელობა.

რეოლოგიური კვლევების შედეგების საფუძველზე შესწავლილია ჩვენს მიერ შემუშავებული კოლდკრემების ვარიანტების თვისებები. რეოლოგიური მახასიათებლების სიდიდეები მოყვანილია ცხრილში 2.

ცხრილი 2. კოლდკრემის ვარიანტების რეოლოგიური მაჩვენებლები

№	რეოლოგიური მაჩვენებელი	რეცეპტურის ვარიანტები					
		1	2	3	4	5	6
1	დინამიური სიბლანტე (პა·წმ)	1,368	1.296	1.210	1.172	0.938	0.91
2	პლასტიკური სიბლანტე (პა·წმ)	2.7	2.8	2.95	5.4	5.9	6.1
3	პლასტიკურობის კოეფიციენტი ( $\psi^{-1}$ )	17.8	20.7	22.1	23.3	27.8	30.1
4	დინამიური დენადობის ზღვარი (პა)	47.7	57.8	65.2	125.6	164.3	173.6

შემუშავებული იქნა სხვადასხვა რეოლოგიური მაჩვენებლის სიდიდის გაანგარიშის მეთოდიკა. ჩვენს მიერ მიღებული სხვადასხვა რეოლოგიური მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ პროდუქციის ხარისხის, მისი შენახვის ვადების და კანზე დატანის სიიოლის შესახებ.



კოლდკრემის შემუშავებული ნიმუშების რეოლოგიური კვლევების შედეგები, მათი თვისებებისა და წინასწარ განსაზღვრულ პარამეტრებთან შესაბამისობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. დამტკიცებულია, რომ მიღებული ნიმუშები ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ტიქსოტროპული თვისებებით და თავისი ხარისხით შეესაბამება საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნებს. ჩვენს მიერ მიღებული სხვადასხვა რეოლოგიური მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ პროდუქციის ხარისხზე, მისი შენახვის ვადების და შესაბამისად კანზე დატანის სიიოლის შესახებ.

ავტორები დიდ მადლობას უხდებიან პროფესორ ნინო აბულაძეს კვლევის ჩატარებისას გაწეული დახმარებისათვის და პროფესორ პავლე იავიჩს სამუშაოს განხორციელებისას კონსულტაციის გაწევისა და ხელმძღვანელობისათვის.

### ლიტერატურა

1. Шрамм Г. Основы практической реологии и реометрии/Пер. с англ. Лавыгина И.А., Под ред. Куличихина В.Г., М.,Колос, 2003, 312 с.
2. Косой В. Д., Виноградов Я. И., Малышев А. Д. Инженерная реология биотехнологических сред. Учебник. СПб., ГИОРД, 2005, 648 с.
3. Немцева М.П., Филиппов Д.В., Федорова А.А. Реологические свойства коллоидных систем. Иваново. 2016. 61с.

### კოლდკრემების რეოლოგიური თვისებები

ბაბელაია მ., ტინცაძე თ., გელოვანი ნ., მიშელაშვილი ხ., გვინჯილია ს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
რეზიუმე

კოლდკრემის შემუშავებული ნიმუშების რეოლოგიური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიღებული ვარიანტები შესაბამისობაშია კოლდკრემების წინასწარ შერჩეულ თვისებებთან, ხასიათდება ტიქსოტროპული და პასუხობს საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებს.

### RHEOLOGICAL PROPERTIES OF COLD CREAMS

GABELAIA M., TSINTSADZE T., GELOVANI N., MISHELASHVILI KH., GVINJILIA S.

Georgian Technical University

#### Summary

Results of rheological study of developed samples of cold creams showed that the obtained samples comply with the properties of cold creams selected beforehand. Such samples have thixotropic properties and comply with the requirements of international normative documents.

მეცნიერება და პრაქტიკა



## მცენარეთა მშრალი ექსტრაქტების გამოყენება კოსმეტიკური მაღაშროების მისაღებად

ღვინჯილია ს.ა., ცინცაძე თ. ბ., ბაბუღია მ.ა., იაფიჩი პ.ა., მიშელაშვილი ხ.თ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ფარმაციის დეპარტამენტი

*კანის მოვლა, გაახალგაზრდავება, დაბერების პირველ ნიშნებთან ბრძოლა - კოსმეტოლოგიური საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია. სამკურნალო-კოსმეტიკური საშუალებების შემადგენლობაში შედიან ბიოლოგიურად აქტიური და დამხმარე ნივთიერებები. კოსმეტოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ჯგუფიდან განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ მცენარეებისაგან მიღებული ბუნებრივი წარმოშობის პროდუქტები. სამკურნალო მცენარეები ფართოდ გამოიყენება კანის კოსმეტიკური დაავადებების მკურნალობის დროს.*

კანის საფარველი - ადამიანის სხეულის უნიკალური ორგანოა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია ცვლის პროცესებში, ასრულებს დამცავ ფუნქციას გარემოს დამაზიანებელი ფაქტორებისაგან, არეგულირებს თბორეგულაციის პროცესებს. კანის მოვლა, გაახალგაზრდავება, დაბერების პირველ ნიშნებთან ბრძოლა - კოსმეტოლოგიური საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია. ექიმი-კოსმეტოლოგი ზემოქმედებს რა კანის საფარველზე ესთეტიკური და აპარატურული კოსმეტოლოგიის მეთოდებით, გავლენას ახდენს პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე. კოსმეტოლოგიური პროცედურების მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია ანტისტრესული ეფექტი. კანის ქსოვილი საშრინანია. კანის ზედა შრეს წარმოადგენს ეპიდერმისი. შემდეგი არის დერმა (საკუთრივ კანი) და ბოლოს, კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედისი. კანის ტიპის მიხედვით განასხვავებენ ნორმალურ, მშრალ, ცხიმიან, კომბინირებულ, მგრძნობიარე (პრობლემურ) კანს.

სამკურნალო-კოსმეტიკური საშუალებების შემადგენლობაში შედიან ბიოლოგიურად აქტიური და დამხმარე ნივთიერებები. კოსმეტიკურ პრაქტიკაში გამოყენებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ჯგუფიდან განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ მცენარეებისგან მიღებული, ბუნებრივი წარმოშობის პროდუქტები [1-6]. მცენარეების თვისებები წინასწარ განსაზღვრავენ მათ ღირებულებას კოსმეტოლოგიაში, კერძოდ, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსის მოქმედების ხარჯზე, რომელიც წარმოიქმნა ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში. კოსმეტიკურ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მცენარეები, რომლებიც შეიცავენ კაროტინოიდებს, ფლავონოიდებს, ფიტონციდებს, ეთერზეთებს, ფისებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ანთების საწინააღმდეგო, ქრილობის შემახორცებელ, ანტიმიკრობულ და სხვა სახის მოქმედებას. სამკურნალო მცენარეები ფართოდ გამოიყენება კანის კოსმეტიკური დაავადებების მკურნალობის დროს.





მოცემული კვლევის მიზანია ფიტოკომპონენტების შემცველი სამკურნალო-პროფილაქტიკური მოქმედების კრემების შემადგენლობათა შერჩევა და ტექნოლოგიის შემუშავება. მხედველობაში მივიღეთ რა მცენარეების გამოყენება კოსმეტოლოგიურ პრაქტიკაში, ჩვენთვის საინტერესო გახდა ისეთი კოსმეტიკური კრემების შემადგენლობისა და ტექნოლოგიის შემუშავება, რომლებიც შეიცავენ მცენარეული ნედლეულის მშრალ ექსტრაქტებს. მოცემული კვლევის ჩატარებისას კრემებისა და მალამოების შემუშავება ხდება შემდეგი მცენარეების მშრალი ექსტრაქტების გამოყენებით:

1. უკვდავას ყვავილები შეიცავენ ფლავონოიდებს (არანაკლებ 6%): სალიპურპოზიდი, ნარინგენინი, აპიგენინი, კემპფეროლი და მათი გლიკოზიდები, მწარე და მთრიმლავი ნივთიერებები, ტრიტერპენული საპონინები, სკოპოლეტინი, სიტოსტერინი, ეთერზეთი (0,05%); ორგანულ მჟავებს, კაროტინოიდებს, პოლისაქარიდებს (3,5-5,5%), ვიტამინ K-ს, ასკორბინმჟავას, კალიუმის, კალციუმის, რკინისა და მანგანუმის მარილებს. გააჩნია ანტიბაქტერიული აქტივობა. უკვდავას ექსტრაქტი გამოიყენება კანის, თმის მოვლისთვის. ის აუმჯობესებს კანის მიკროცირკულაციას, ასტიმულირებს კოლაგენის გამომუშავებას, ხელს უწყობს კანის უჯრედების რეგენერაციას, რაც გვეხმარება ფოტოდაზიანებებისაგან მიყენებული ზიანის, ასაკობრივი ცვლილებების შემცირებასა და კანის სასიცოცხლო ძალის აღდგენაში.

2. ყურძნის კანისა და წიპწის ექსტრაქტი შეიცავს ცილებს, ლიპიდებს, ნახშირწყლებს, მინერალურ ნივთიერებებს, მთრიმლავ ნივთიერებებსა და სხვ. აღნიშნული ექსტრაქტი ატენიანებს კანს, ხელს უშლის კანში კოლაგენისა და ელასტინის, აგრეთვე, ჰიალურონის მჟავას დაშლას. გამოიყენება ანტიასაკობრივი კოსმეტიკის შემადგენლობაში. აღნიშნული კოსმეტიკის მიზანია კანის ელასტიურობის და სიმკვრივის გაზრდა, ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესება, ხელს უწყობს უჯრედების განახლებას, უხვად ატენიანებს ეპიდერმისის ზედა შრეს. ასეთი პროცედურების სერიის შემდეგ კანი ხდება სუფთა, ნაზი, ქრება წვრილი ნაოჭები, უმჯობესდება მისი ტონუსი და ელასტიურობა.

3. გინკგო ბილობას ფოთლები შეიცავენ 160-ზე მეტ სასარგებლო კომპონენტს, რომელთა შორისაა ტერპენული ლაქტონები, ფლავონოიდები, გინკგოლიდები და ჰეტეროზიდები, აგრეთვე, A, B, C ვიტამინები, ტანინები, ორგანული მჟავები, პოლისაქარიდები, კატექინები, ცხიმოვანი და ეთერზეთები, ცვილი. ფოთლების შემადგენლობაში შედის ასევე ფერმენტი - სუპეროქსიდდისმუტაზა, რომელსაც გააჩნია ანტიოქსიდანტური თვისებები. გინკგოს ფოთლებიდან მიღებული ექსტრაქტი ხასიათდება ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედებით, რომელსაც შეუძლია თავისუფალი რადიკალების ნეგატიური ზემოქმედების ნეიტრალიზაცია. გინკგოს ექსტრაქტი აუმჯობესებს სისხლის ჟანგბადით გაჯერებას, რაც, მის სხვა სასარგებლო თვისებებთან ერთად, ამ ექსტრაქტს აქცევს მრავალ-



ლი კოსმეტიკური საშუალების შეუცვლელ ინგრედიენტად.

4. სამკურნალო გულყვითელას ყვავილების თვისებები განპირობებულია ნედლეულში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსის: კაროტინის (პროვიტამინ A-ს), სტერინების, ტრიტერპინოიდების, ფლავონოიდების, ეთერზეთების, კუმარინების, მაკრო- და მიკროელემენტების შემცველობით. ყვავილელებში არ არის აღმოჩენილი Ba, V, Cd, Li, Au, Ag, Br. გულყვითელა ახდენს Zn, Cu, Mo, Se კონცენტრაციას. გულყვითელას ექსტრაქტს გააჩნია ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, დამამშვიდებელი და გამაახალგაზრდავებელი თვისებები, ააქტიურებს კანის დამცავ ფუნქციებს, ახდენს უჯრედების განახლების პროცესების სტიმულაციას, ამაგრებს, ასწორებს კანის საფარველს და ზრდის კაპილარების სიმტკიცეს; შედის მკვებავი კრემების, მზისაგან დამცავი და საბავშვო კოსმეტიკური საშუალებების, დამატენიანებელი გელების, დეზოდორანტების, კბილის პასტების, აგრეთვე, თმის მოვლის სხვადასხვა საშუალებების შემადგენლობაში.

5. სამკურნალო და კოსმეტიკური მიზნებისთვის გამოიყენება სამკურნალო გვირილას თანაყვავილეები, რომელთა ქიმიური შემადგენლობა მნიშვნელოვნად მდიდარია სამკურნალო ნივთიერებებით. გვირილა შეიცავს ეთერზეთებს, ლორწოებსა და ფისებს, კაროტინოიდებს, კუმარინებს, ორგანულ მჟავებს, ფლავონოიდებს, გლიკოზიდებს, ფიტოსტერინს, ტრიტერპენულ სპირტებს, ქოლინს, აგრეთვე, ვიტამინებს B1, B2 და კაროტინს. გვირილას გააჩნია ძლიერი ბაქტერიოციდული, ანთების საწინააღმდეგო და დამამშვიდებელი მოქმედება, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას. ამ თვისებების გამო გვირილა შეუცვლელი საშუალებაა სხვადასხვა ანთებითი პროცესების მკურნალობისას. კვებავს, ატენიანებს და აახალგაზრდავებს კანს, ანიჭებს სიხალისეს, არბილებს, ამშვიდებს და აღადგენს მას, ათეთრებს და ხელს უშლის პიგმენტაციას, ასწორებს ნაოჭებს, ახდენს კანის რეგენერაციის სტიმულაციას, ცვლის პროცესებისა და ცხიმის ჯირკვლების მუშაობის ნორმალიზებას, გამოიყენება აკნეს სამკურნალოდ, აქრობს ფერიმჭამელებს.

2. ინსულტის მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში. კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) 2010;. 14-15
3. ინსულტის მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში, კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაცია (გაიდლაინი), საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი. 2009; 18-20
4. Клинические рекомендации по диагностике и лечению пострадавших с острыми нарушениями мозгового кровообращения в чрезвычайных ситуациях Москва 2014; 17-19
5. В. И. Петров Прикладная Фармакоэкономика. Москва 2007; 207-216.

#### ON THE ISSUE OF PHARMACOECONOMIC ANALYSIS OF AN ISCHEMIC STROKE IN THE BRAIN IN GEORGIA

N. BARATASHVILI, M. SAMSONIA, N. ALAVIDZE, N. ABULADZE

Akaki Tseretli State University

#### Summary

Our research was aimed at pharmacoeconomic analysis of an ischemic stroke in the brain in Georgia.

In order to provide pharmacoeconomic analysis of the schemes of treating an ischemic stroke in the brain existing in Georgia, it is necessary to study the information base for the purpose of further pharmacoeconomic analysis.

The results of searching for available information sources have revealed that there is certainly no the evidence base on pharmacoeconomic analysis of the treatment of ischemic stroke in the brain in Georgia.



თავის ტვინის იშემიური ინსულტის ფარმაკოეკონომიკური კვლევის  
საკითხისათვის საქართველოში

ნ. ბარათაშვილი, მ. სამსონია, ნ. ალავიძე, ნ. აბულაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
რეზიუმე

ჩვენი კვლევის მიზანი იყო თავის ტვინის იშემიური ინსულტის ფარმაკოეკონომიკური შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში.

თავის ტვინის იშემიური ინსულტის მკურნალობის არსებული სქემებიდან ფარმაკოეკონომიკური ანალიზისათვის საქართველოში მნიშვნელოვანია ინფორმაციული ბაზის შესწავლა შემდგომი ფარმაკოეკონომიკური ანალიზის მიზნით. ინფორმაციული ძიებისათვის აღებულ იქნა პერიოდი 2012 წლიდან დღემდე.

ხელმისაწვდომი ინფორმაციული ძიების შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში თავის ტვინის იშემიური ინსულტის მკურნალობის ფარმაკოეკონომიკური ანალიზის მტკიცებულებითი ბაზა არ არსებობს.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა





თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



**DIRECTION 4. NEW MEDICAL MATERIALS IN PHARMACY AND MEDICINE**

**მიმართულება 4. ახალი სამედიცინო მასალები ფარმაციაში და მედიცინაში**

**პროფესიულ დაავადებათა რისკები და პრევენციის საშუალებები**

**ბრძელიძე მ. ბ.**

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

*თანამედროვე სოფლის მეურნეობის სექტორი წარმოუდგენელია აგროქიმიკატების გამოყენების გარეშე, რაც ამ სექტორში მომსახურე პირების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, ამიტომ შრომის პირობების უსაფრთხოებასა და ჰიგიენას განსაკუთრებული მოთხოვნები წაეყენება.*

*სტატიაში საუბარია აგროსექტორში დასაქმებული პერსონალის აგროქიმიკატებისაგან დაცვის ერთ-ერთი საშუალების – სპეცფებსაცემლის ოპტიმალური მახასიათებლების უზრუნველყოფაზე, რომელიც ტერფის მექანიკური და დერმატოლოგიური პათოლოგიებისაგან დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია.*

დასაქმებული ადამიანის სიცოცხლე, ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და ის სათანადოდ უნდა იყოს დაცული. აღნიშნული საკითხი განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო კონტროლზე არის აყვანილი, კერძოდ, მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობს შრომის პირობების დაცვის კუთხით [1]. სახელმწიფოს ინტერესს განაპირობებს შრომის ჰიგიენის დარღვევის შედეგად დაავადებულ პირთა შემდგომი მკურნალობის და რეაბილიტაციისათვის სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯების დიდი წილი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სანიტარულ კოდექსში არსებობს მნიშვნელოვანი ჩანაწერები შრომის ჰიგიენისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნორმატივების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ შრომის სანიტარული პირობების აუცილებელ დაცვას, ამ მიმართულებით კვლევის შედეგები არ იძებნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული პრობლემა ჯერ ქვეყნის პრიორიტეტებში არ განიხილება.

შრომის პირობებისა და პროფესიული დაავადებების სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის მონაცემების მიხედვით, შრომის მავნე პირობებში მუშაობა უხდება მოსახლეობის დაახლოებით 62%-ს, მათი დაახლოებით 52% ქალია. მათი საერთო რიცხვიდან მაღალი მტვერიანობის და მავნე გაზების პირობებში მუშაობა უწევთ დაახლოებით 15%-ს, ხმაურის ზემოქმედებით – 21%-ს, ვიბრაციის პირობებში – 19,2%-ს, მძიმე ფიზიკური




შრომით დაკავებულია – 27% [2, 3]. ამ მონაცემებში არაფერია ნათქვამი ქიმიკატებისა და პესტიციდების შედეგად მოწამვლის შესახებ, მაშინ, როდესაც აგრარული დარგების მაღალპროდუქტიულობა, გარდა მძიმე ფიზიკური შრომისა, რაც ამ დარგს მუდმივად ახლავს, პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული გამოყენებულ შხამ-ქიმიკატებზე და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებზე. აღნიშნული ნივთიერებები ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, რადგან მათი მოხვედრა ორგანიზმში თავისუფლად შეიძლება მოხდეს როგორც უშულოდ კონტაქტის შედეგად, ისე სასუნთქი გზებით. განსაკუთრებით ხშირია აღნიშნულ ნივთიერებების კანთან შეხების საფრთხე. კანის (როგორც ნივთიერებათა ცვლის ერთ-ერთი ორგანოს) საშუალებით ხდება მათი მიგრაცია ორგანიზმში, რაც იწვევს არანაკლებ ზიანს, ვიდრე სასუნთქი გზებით მათი მოხვედრა ორგანიზმში.

საქსტატის შედეგების ანალიზის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში, ანუ შრომის მავნე და საშიშ პირობებში 10 და მეტი წელია მუშაობს მოსახლეობის დაახლოებით 47% (სოფლის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე), მათგან დაახლოებით 42-49% დაკავებულია მემცენარეობით (ცხრილი 1).

**ცხრილი 1.** სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (%).

აგროსექტორში მემცენარეობის წილი (%)	წელი	მემცენარეობა
	2010 წ	42
	2011 წ	43
	2012 წ	39
	2013 წ	44
	2014 წ	45
	2015 წ	46
	2016 წ	49




**სურ. 1.** საქართველოში მემცენარეობის წილის დინამიკა (%).

ცნობილია, რომ შხამ-ქიმიკატების გამოყენების აუცილებლობა აგროსექტორის სპეციფიკით არის განპირობებული. საქართველოში მინერალური სასუქებისა და პესტიციდების მოხმარების მასშტაბები საკმაოდ შთამბეჭდავია (სურ. 2) [2, 3].

სტატისტიკური მონაცემები საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ აგროქიმიკატების მოხმარების გაზრდა პირდაპირპროპორციულად იწვევს აგროსექტორში დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას. როგორც მოსახლეობის გამოკითხვებით დასტურდება, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ჯერ არ მიუმართავს ექიმი-



სათვის შრომის უსაფრთხოების პირობებიდან გამომდინარე. მათი ვიზიტი ექიმთან ყოველთვის კონკრეტული დაავადების მოტივით აიხსნება.



**სურ. 2.** საქართველოში მინერალური სასუქებისა და პესტიციდების მოხმარების სტატისტიკა.

აგროქიმიკატებით მოწამვლის შემთხვევების დროს თანმდევი ქრონიკული დაავადებების პირობებში პროფესიული დაავადებების წინ წამოწევა არ ხდება, რადგან თუ საქმე არ გვაქვს მწვავე მოწამვლასთან, ასეთ შემთხვევაში აქცენტი პირდაპირ არ კეთდება აგროქიმიკატებით შეძენილ პათოლოგიებზე. არადა პათოლოგიები საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორცაა პესტიციდებითა და აგროქიმიკატებით მოწამვლა, დერმატოლოგიური და სხვა სახის ქრონიკული დაავადებები. პროფესიულ დაავადებათა სტრუქტურაში გარკვეული წილი მოდის ასევე ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე (ნეიროსენსორული უნარების დაქვეითება, ვიზრაციული დაავადებები), დაავადებები, დაკავშირებული ფიზიკურ გადაღლასთან და ცალკეული ორგანოების და სასიცოცხლო სისტემების გადატვირთვასთან. პროფესიულ დაავადებათა უმრავლესი შემთხვევა სრულდება შრომის უნარის დაქვეითებით ან დაკარგვით.

სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით რაიონული ცენტრებიდან და ქალაქებიდან დაშორებული სოფლების მცხოვრებნი, ხშირად ვერ სარგებლობენ სამედიცინო დახმარებით და კონკრეტულ შემთხვევებში თვითმკურნალობას მიმართავენ. შეიძლება ვერც გაცნობიერონ, რომ რიგი დაავადებები სწორედ შრომის პირობების არასათანადო დაცვის შედეგად შეიძინონ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ასაკის მატებასთან ერთად ადგილი აქვს დაავადებათა „დაგროვების“ პროცესს, შრომის ჰიგიენის დაცვის უგულვებელყოფით, შეიძლება ეს პროცესი ადრეულ ასაკშიც დაიწყოს.

შრომის ჰიგიენის პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა ყველა სპეციფიური მოთხოვნების გათვალისწინებით შერჩეული სპეცტანსაცემლი და სპეცფესხაცემლი, რომლის როლი უდიდესია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. დაუშვებელია ამ დროს საყოფაცხოვრებო სამოსის გამოყენება. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების



ტარების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი გასუფთავებისა და შემდგომი გამოყენების პირობების დაცვა. არის საშუალებები, რომლებიც არ ექვემდებარება მეორად მოხმარებას და ამიტომ მათი მრავალჯერ გამოყენება, დაცვის ნაცვლად, შეიძლება დაავადების წყარო გახდეს. ეს განსაკუთრებით ეხება ერთჯერად საშუალებებს, რომელთა მრავალჯერ გამოყენება მკაცრად იკრძალება. ამასთან, ხშირია ქიმიკატებისა და პერსტიციდების შენახვის, მოხმარებისა და ტრანსპორტირების წესების უხეში დარღვევის შემთხვევები. ამაზე მეტყველებს ფერმერულ და ინდივიდუალურ (ოჯახურ) მეურნეობებში შხამ-ქიმიკატების არასწორი განთავსების, შენახვის, გამოყენებისა და ტრანსპორტირების პირობების მრავალჯერ დაფიქსირებული შემთხვევა. ამასთან, მომსახურე პერსონალი არ ატარებს სპეცტანსაცმელს, სპეცფეხსაცმელს და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებს (რესპირატორებს, სათვალეებს, ხელთათმანებს, წინსაფრებს, სამკლავურებს, თავსაბურავს და სხვა).

სპეცეკვიპირების დანიშნულებაა, ზემოთ აღნიშნულ სფეროებში მომსახურე პერსონალის დაცვა შრომის არსებულ გარემოში მავნე ზემოქმედებისაგან, როგორებიცაა: მაღალი და დაბალი ტემპერატურა, მტვერი (და სხვა მსგავსი დამაბინძურებლები), ტენი, სითხეების, სხვადასხვა სახის მინერალური სასუქებთან უშუალო კონტაქტი, პესტიციდების გაფრქვევა, ნიადაგიდან ორგანიზმში მიკროორგანიზმების შეღწევა, სხვადასხვა ქიმიკატებით გამოწვეული დერმატოლოგიური და ალერგიული გამაღიზიანებლები, მექანიკური დაზიანება, სხვადასხვა სახის საწარმოო ტრავმები და სხვა. ყველა ისინი განსხვავებულია საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. შესაბამისად სპეცაღჭურვილობა და აქსესუარებიც განსხვავებულია და მათი დანიშნულებაა აღნიშნულ პირობებში მომუშავეთა დაცვა ყველა სახის არასასურველი შემთხვევებისაგან და ამასთან ორგანიზმს ნორმალური ფუნქციონირების საშუალება უნდა მისცეს. ნორმალური ფუნქციონირების საშუალებაში იგულისხმება როგორც თავისუფალი, შეუზღუდავი მოძრაობა, გადაადგილება და ტარების მოხერხებულობა, ასევე სხეულის ბუნებრივ-ანატომიური მდგომარეობის შენარჩუნება.

ამ მხრივ ფეხსაცმლის როლი დიდია, არა მარტო ტერფის დაცვის თვალსაზრისით, არამედ მოხერხებულობის (კომფორტულობის) და ჰიგიენურობის მხრივ, რომელსაც მრავალი ფაქტორი და კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური პარამეტრი განაპირობებს.

ფეხსაცმელი, როგორც მრავალჯერადი მოხმარების ნაკეთობა, პირველ რიგში თვითონ უნდა იყოს ჰიგიენური, არატოქსიკური, რასაც ცალსახად განაპირობებს მისი დამზადებისათვის გამოყენებულ მასალათა პაკეტი. ეს კი ფეხსაცმლის დამზადებისათვის საჭირო ყველა მასალას არ შეუძლია. განსაკუთრებით ხელოვნურ და სინთეზურ მასალებს. ყოველდღიური პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაოდ იყენებს უკვე მოძველებულ, ყოველდღიური ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარ საყოფაცხოვრებო ფეხსაცმელს. საყოფ-



ფაცხოვრებო ფეხსაცმელს კი ექსპლუატაციის აბსოლუტურად განსხვავებული მოთხოვნები წაყენება, ვიდრე სპეცფეხსაცმელს. ამიტომ მისი შერჩევის კრიტერიუმები მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული და უნდა დაიცვას ყველამ, ვისაც უწევს კონტაქტი აგროქიმიკატებთან.

სპეცფეხსაცმელს, გარდა ჰიგიენისა, დამატებით მოეთხოვება მოხერხებულობა, სიმსუბუქე, ელასტიურობა და სხვა სამომხმარებლო თვისებების ოპტიმალური მახასიათებლები, მთელი დღის დაძაბული და მდგომარე, ან მუდმივად მოძრავ მდგომარეობაში ტერფის და საერთოდ ქვედა კიდურების გადაღლის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელი ტერფის შესანარჩუნებლად და არსებული პათოლოგიების პროგრესირების პრევენციისათვის.

ამ მხრივ საუკეთესოა ბუნებრივი მასალები. ბუნებრივ ტყავს აქვს უნარი შეიწოვოს ტერფიდან გამოყოფილი ტენი და შემდეგ გასცეს ის გარემოში. გარდა ამისა, არ არის უხეში, ადვილად ყალიბდება ტერფზე ექსპლუატაციის პროცესში, აქვს მაღალელასტიური თვისებები და მრავალჯერადი ღუნვისადმი მდგრადობა (შესაბამისად მეტია ფეხსაცმლის ხანგამძლეობაც). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასარჩულე მასალების ხარისხი, კერძოდ მისი ჰიგიენურობა და ტოქსიკოლოგიური მახასიათებლები, რადგან ისინი უშუალოდ ეხებიან ფეხის ტერფს. მაღალტემპერატურულ გარემოში და ინტენსიური მოძრაობის დროს ტერფიდან შესაბამისად ინტენსიურად ხდება ტენის გამოყოფა (ოფლის სახით) და მისი აკუმულირება გარკვეული რაოდენობით ხდება ტერფსა და ფეხსაცმელს შორის. ტენის ზემოქმედებით სასარჩულე მასალებზე ხდება ტოქსიკური ნივთიერებების (არსებობის შემთხვევაში) გამორეცხვა და ტერფის კანის საშუალებით დიდია მათი ორგანიზმში მოხვედრის ალბათობა. ამიტომ სპეცფეხსაცმელების შიგა კომფორტი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

სასარჩულედ გამოყენებული სინთეზური მასალების მთავარი უარყოფითი თვისებაა მცირე ჰიდროფილურობის უნარი. მათ უმრავლესობას ეს თვისება საერთოდ არ ახასიათებს, რითაც ისინი მკვეთრად განსხვავდება ნატურალური მასალებისაგან. ბამბის ან სხვა ნატურალური მასალებისაგან დამზადებული წინდის გამოყენება სინთეზური მასალებისაგან დამზადებულ, ან რეზინის ფეხსაცმელებში ვერ უზრუნველყოფს მის ჰიგიენურობას და ტერფის კომფორტს. მხოლოდ ნატურალური მასალების სრული პაკეტი იძლევა ფეხსაცმლის ოპტიმალურ ჰაერ და ტენგამტარებლობას და ფეხსაცმლის შიგნით ნორმალური კლიმატის შექმნასა და შენარჩუნებას დღის განმავლობაში.

ისეთ სპეციფიურ გარემოს, ძირითადად მაღალი ტენის პირობებში, რაც ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი აგროსექტორისათვის, აუცილებელია რეზინის ფეხსაცმელების გამოყენება ტერფის დასაცავად გარემო ფაქტორების მავნე ზემოქმედებისაგან. ასეთ ფეხსაცმელებში აუცილებელია გამოყენებული იქნას მაღალჰიგიენური სასარჩულე



მასალები და ბუნებრივი ბოჭკოსაგან დამზადებული წინდები (რომლის ცვლა აუცილებელია მოხდეს ხშირად). ასეთი ფეხსაცმლების სასარჩულედ რეკომენდებულია გამოყენებული იქნას ე.წ. ბიო-პოლიმერები, რომელთა სანიტარულ-ჰიგიენური მახასიათებლები მნიშვნელოვნად უახლოვდება ბუნებრივ მასალებს და დამატებით გააჩნიათ უნარი, თავისი არატოქსიკურობის ხარჯზე, ტერფს შეუნარჩუნოს ჯანსაღი მიკროკლიმატი. ფეხსაცმლის ტერფიდან გახდის შემდეგ ასეთი მასალები ტენს გასცემს გარემოში ისე, რომ არ რჩება სპეციფიური სუნი (ბიოპოლიმერების ეს თვისება და ტერფის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების დადებითი მხარეები დადასტურებულია ჩვენს მიერ ჩატარებული მრავალჯერადი საცდელი ექსპლუატაციით) [4, 5].

რაც შეეხება ფეხსაცმლის მოხერხებულობას, მის მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ აგროსექტორში მუშაობა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივია. პერსონალს ხშირად მთელი დღის მანძილზე უხდება მუშაობა და შეხება ნიადაგთან. შრომის ასეთი მძიმე რეჟიმი ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. მომსახურე პერსონალი ფეხსაცმელს ატარებს მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. ამიტომ მისი შიგა ფორმა ოპტიმალურად უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის ტერფის ფორმას და არ იწვევდეს მის მექანიკურ დაზიანებას, ტერფის ძვალ-სახსროვანი შენაწევრებების ზედმეტ დაწოლას ან შეზღუდვას და შესაბამისად ტერფის ნორმალური ბიომექანიკის დარღვევას. გარდა ამისა შიგა საყრდენი ზედაპირი უნდა იყოს ფართე, რათა დაყრდნობის და გაადგილების პროცესში არ იწვევდეს სიარულის შეზღუდვას, არ არღვევდეს მის სიმდოვრეს და მაქსიმალურად ხელს უწყობდეს დგომისა და სიარულის დროს წონასწორობის შენარჩუნებას. შიგა საყრდენი ზედაპირისათვის (ჩასაფენი დაბაში) რბილი მასალების გამოყენება ხელს შეუწყობს ლოკალური დატვირთვების მინიმიზაციას დაყრდნობის პროცესში.

სპეცფეხსაცმლის ცხვირის ნაწილის ფორმა აუცილებელია იყოს ფართე, რათა არ შეზღუდოს ფეხსაცმელში თითების ნორმალური ფუნქციონირება. ფეხსაცმლის ზედაპირის კონსტრუქცია მინიმალური ნაკერებით უნდა იყოს შესრულებული. ქუსლის სიმაღლე აუცილებელია იყოს საშუალო - 25-45 მმ (და არა დაბალი- 0-25მმ-მდე, ან მაღალი, 45 მმ-ზე მეტი), რადგან დაბალქუსლიანი ფეხსაცმელით მთელი დღის განმავლობაში დგომის ან სიარულის შემდეგ ქუსლის ძვალზე და მის ქვემოთ განთავსებულ კუნთოვან ქსოვილზე და მყესებზე (ქუსლის კუნთი და აქილევსის მყესი) ლოკალური დატვირთვა მაქსიმალურია და დღის ბოლოს დაღლილობა და ტკივილი პიკს აღწევს. საშუალო ქუსლის - 25-45 მმ-ის შემთხვევაში სხეულის სიმძიმის ცენტრი გადანაცვლებულია წინ, შესაბამისად დატვირთვა გადანაწილდება წინა ტერფის ძვლებისაკენ. ამ დროს განტვირთულია ქუსლის ძვალი და ის წინა ტერფ-ფალანგთა შენაწევრებასთან ერთად იტვირთება თანაბრად, ანუ სიმძიმე ტერფის გასწვრივ გაწონასწორებულია.



სპეცფეხსაცმლის ლანჩა სასურველია დამზადებული იქნას მსუბუქი და ელასტიური პოლიმერებისაგან, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ფეხსაცმლის სიმსუბუქეს, ელასტიურობას, ტენდამცველ თვისებებს, ცვეთამდეგობას, მოცურებისადმი წინააღმდეგობას, გააჩნიათ დრეკად-ამორტიზაციული უნარი. ლანჩა უნდა იყოს მონოლითური, ერთიანი, ქუსლთან ერთად (ცალკე გამოყოფილი ქუსლის გარეშე), რაც ამცირებს ტერფის კამარის ნაწილის დამაბულობას, შესაბამისად განტვირთავს ტერფს და ამალღებს კომფორტის შეგრძნებას.

მოუხერხებელი კონსტრუქციის ფეხსაცმლით მთელი დღის განმავლობაში ფეხზე დგომის ან მოძრაობის დროს ტერფის არაკომფორტულობის გამო მომუშავე ვერ შეძლებს სამუშაოს მოხერხებულად შესრულებას და შესაბამისად მისი განწყობა და შრომის ხარისხი იქნება დაბალი. ტერფს კი მიაყენებს მძიმე დეფორმაციების მაპროვოცირებელ დატვირთვებს, რამაც შეიძლება მის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს, როგორც საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის (განსაკუთრებით ხერხემლის) და ნერვული სისტემის მხრივ, ასევე სხვადასხვა შინაგანი დაავადებების გამოწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს, რადგან ცნობილია, რომ ტერფის ნორმალურ ფუნქციონირებაზე მთელი ორგანიზმის სრულყოფილი ფუნქციონირებაა დამოკიდებული [4, 5].

დროა ეს საკითხი სახელმწიფოს მიერ რეგულირდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გახშირებული ტოქსიკოზები, სხვადასხვა სახის ვირუსული ინფექციები, ქრონიკული და სიმსივნური დაავადებების გახშირების მიზეზები – პასუხგაუცემელ კითხვებად რჩება და რატომღაც ზემოთ დასმული პრობლემა ხშირ შემთხვევაში მიზეზად არ განიხილება.

### ლიტერატურა:

1. ombudsman.ge. 02.07.2013. სახალხო დამცველის რეკომენდაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.
2. <http://www.geostat.ge/>. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2017.
3. <http://www.nplg.gov.ge/>. საქართველოს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალები. სსსდ, თბ. 2015.
4. Grdzeldze M. The problem of dimensional typology of the foot for the normal functioning of the musculoskeletal system. The Scientific journal “Norwegian Journal of development of the International Science”. №5/2017 VOL.2. pp. 90-94. [http://www.njd-iscience.com/wp-content/uploads/2017/04/NJD\\_5\\_2.pdf](http://www.njd-iscience.com/wp-content/uploads/2017/04/NJD_5_2.pdf).
5. M. Grdzeldze. The problem of drawing out the means of normalizing foot age deformations in Georgia. Scope Academic house. 4<sup>th</sup> International Conference “Economy Modernization: New Challenges and Innovative Practice”. October 20, 2016, Sheffield, United Kingdom of Great Britain and Northern Ireland. DOI: [http://doi.org/10.15350/UK\\_3/4](http://doi.org/10.15350/UK_3/4). [http://www.colloquium-publishing.ru/doc\\_konf\\_eng/UK\\_3\\_4.pdf](http://www.colloquium-publishing.ru/doc_konf_eng/UK_3_4.pdf).





## THE RISKS OF PROFESSIONAL DISEASES AND MEANS OF PREVENTION

M. G. GRDZELIDZE

Akaki Tsereteli State University

### Summary

The modern agriculture can't be imagined without the use of agrochemicals, which creates the threat to the health of people working in this industry. Thus the special requirement will be set to the safety of the job conditions and hygiene.

The article discusses about the providing the optimal specifications of special footwear as one of the means of defending the labour force working in agro-sector from agrochemicals. This is one of the important attribute of protecting the foot from mechanical and dermatological pathologies.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## THE IMPACT OF THE PROCESSES OF KNITTING MEDICAL-PURPOSE KNITWEAR ON THE DEMANDS PLACED ON THEM BY MEDICINE

Z. VADACHKORIA, N. ABESADZE, N. FAILODZE

Akaki Tsereteli State University

In recent decades, assortment of knitted goods has developed not only in their traditional form. There takes place the widespread introduction of knitwear in areas such as medicine and engineering. Knitted materials are increasingly used for manufacturing of artificial organs of human body, such as heart valves, blood vessels, for patching purposes in operations, netlike jersey for the treatment of burns and so on.

Depending on the requirements, the options have been developed with the changes in the characteristics of knitwear: porosity, surface covering with the threads, density, length of a thread in a loop, width of the loop step, height of the row of loops, and so on. It is known that the length in the loop depends on the knock-over depth, knitting thread tension, draw-off value, thickness of the processed yarn, its twisting, rheological and frictional properties of threads constituting the loop. This was preceded by study of both loop-forming action and the properties of the processed thread.

A mathematical model of the loop-forming process can only be found experimentally. An active method places high demands on the experiment. This method involves carrying out an experiment in accordance with the pre-designed program. In addition, two prerequisites must be met. One of them may be formulated as follows: a mathematical model is set in advance (given the number of independent variables and the order of the polynomial). The second premise: the independent variables are measured without error. In a passive experiment, this premise is constantly violated – an error in the measurement of the independent one is often comparable with the variation magnitude of this variable.

Search for a mathematical model describing the loop-forming process can be formulated as follows: it is necessary to find the dependence that characterizes the relationship between the process parameters subject to study (in our case, this parameter is a length of a thread in a loop) and the independent variables (factors).

Studies were carried out on a three-bar warp-knitting machine. Knitwear was developed by two bars, filled with polyester threads of nylon with a linear density of 5 tex.

During the study, the value of the binder and weft threads tension were varied. The value of draw-off force was fixed at a minimum level, ensuring the withdrawal of the developed cloths from a knitting station.

As an optimization parameter, there was taken one length of a thread in a loop  $Y$  (mm). Based on a priori information and analysis of the process of knitting the following values have been chosen as the independent variables or factors;



$X_1$  -the binder thread tension, cN;  $X_2$  –the weft thread tension, cN.

Based on data of a preliminary experiment, considering the stability of the process of knitting, there have been identified the levels of factors and the variability interval. The creation of the specified levels of the warp thread tension was carried out by using an electronic device.

It is known that when developing knitwear from several systems of threads, the tension of a separate system is affected by the thread tension of other systems. Since the  $X_1$  and  $X_2$  must be the independent variables, there was checked the value of impact of tension of one system of threads on the value of tension of another system, within the lower and upper levels of tension. To that end, the following experiment was conducted. The tension of one system of threads was determined at the maximum and minimum levels, within the chosen variability interval.

Simultaneously, there was registered the change in the tension in the second thread system. The ratio of absolute value of the change in the tension of the second system to the value of the first one, was chosen as a measure of their relative changes that characterized the impact tension of both systems:

$$O = \frac{\Delta T}{T} 100\%$$

where  $O$  is the relative change in the thread tension;  $\Delta T$  - the change in the tension of one system threads when changing the tension in the another system, cN;  $T$  – initial tension, cN.

In the experiment, the relative change in the tensions was within  $\approx 3-4\%$ . Therefore, with enough to practice accuracy, it can be considered that in this case, within the lower and the upper levels of the thread tension change of one of warps does not affect the magnitude of the tension of the another warp. In our case, one of the requirements to our medical knitwear, is a certain size of eyelets. Linear dimensions of eyelets depend mostly on the lengths of loops of the binder and weft threads. Therefore, as an output parameter subject to optimization, there have been selected: length of a binder thread in a loop  $l_x$ ; length of the weft thread  $l_y$ .

Having a series of curves of equal level, it is possible to find values of tensions of the binder and weft threads to obtain the specified lengths of loops. With the specified values of the variables and the tension of thread of one of the bars, it is possible to determine the filling value of the thread tension of the another bar. With the use of a mathematical method of the experiment found the dependencies of the lengths of the binder and weft threads in the loops on the thread tension in different systems.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



### REFERENCES

1. Gries, T. Elastische textiles Elastische Textilien Text. / T. Gries / Game, Verarbeitung, Anwendung, Frankfurt am Main : Dt. Fachverl., 2005. 122.
2. Wegener, W. Die Bestimmung der Formänderungseigenschaften von Polyurethen und Kautchuk-Elastomerfaden Text. / W. Wegener, B. Wulfhorst -Zeitschrift für die gesamte Textilindustrie, 1969, №8. 527-533.
3. Distributions Text. / Rong Liu, Yi-Lin Kwok, Yi Li, Terence-T Lao and Xin Zhang. Fibers and Polymers Vol.6, No.4, 2005. 322-331.
4. Oks, B.S. Compressive knitted items for treatment of chronic venous insufficiency and lymphostasis Text. / B.S. Oks , A.B. Oks / "44 Congress IFKT "Knitting round the clock", St-Petersburg, 23-27 September 2008. 119-126.
5. Kovar, R. "Knitted fabric as a pre-tensioned system" Text. / R. Kovar. Knitwear Technology, Vol. 1, 2000. - 10-14.
6. Hui, C.L. Theoretical Analysis of Tension and Pressure Decay of a Tubular Elastic Fabric Text. / C.L. Hui and S.F. Ng / Textile Research Journal, Vol. 73, 2003. 268-272.

### **THE IMPACT OF THE PROCESSES OF KNITTING MEDICAL-PURPOSE KNITWEAR ON THE DEMANDS PLACED ON THEM BY MEDICINE**

**Z. VADACHKORIA, N. ABESADZE, N. FAILODZE**

**Akaki Tsereteli State University**

#### Summary

The paper dwells on the method for mathematical modeling, which describes the knitting process. There has been found the relationship between the parameters for studying the process, in our case, the length of a thread in a loop, and the individual variables (factors). There have been determined the variability limits of the tension of the binder and weft threads, and the relationship between the warp and weft threads in the loops and the thread tension in different systems have been found.

**სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟის მიმართ მედიცინის მიერ  
წარდგენილი მოთხოვნები და მათი გავლენა ქსოვის პროცესებზე**

**ზ. ვადაჭკორია, ნ. აბესაძე, ნ. შაილოძე**  
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**რეზიუმე**

ნაშრომში გამოყენებულია მათემატიკური მოდელირების მეთოდი, რომელიც აღწერს სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟის ქსოვის პროცესს. ნაპოვნია დამოკიდებულება, რომელიც ასახავს პროცესის საკვლევ პარამეტრებს, ჩვენს შემთხვევაში მარყუჟში ძაფის სიგრძე, და დამოუკიდებელ ცვლადებს (ფაქტორებს) შორის. დადგენილია გრუნტისა და მისაქსელის ძაფების დაჭიმულობის ვარიაციების ზღვრები. ნაპოვნია მისაქსელის და ქსელის ძაფების მარყუჟების სიგრძეების დამოკიდებულება სხვადასხვა სისტემის ძაფების დაჭიმულობაზე.



## ქირურგიული საკერი მასალის სიმტკიცის განსაზღვრა

ნატო ფაილოკე, ზინაიდა ვადაჭკორია, სოფიკო ჟორჟოლიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატიაში განხილულია ჩვენს მიერ შემუშავებული ქირურგიული საკერი მასალის (მაფის) გამომუშავების ტექნოლოგია ტრიკოტაჟული ხერხით. ის განსხვავებულია უკვე არსებული ქირურგიული მაფებისგან ხასიათდება განსაკუთრებული სიმტკიცით რომელიც შენარჩუნებულია ჭრილობის შეხორცებამდე.*

თანამედროვე ქირურგიაში გამოიყენება მრავალი სახის საკერი მასალა, რომელიც განსხვავებულია გამომუშავების მეთოდით, შემაღენლობით, სისქით და ა.შ.

ჩვენს მიერ შემუშავებულია განსხვავებული ქირურგიული საკერი მასალა, რომელიც მიღებულია ტრიკოტაჟული ხერხით.

სატრიკოტაჟო მრეწველობა ითვლება საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა დარგად. ტრიკოტაჟულ ნაწარმს ახასიათებს მრავალი დადებითი თვისება, რომელთა გამოც ის წამყვანია თანამედროვე მოდაში. დღეს არ არსებობს ადამიანი, რომლის გარდერობშიც არ მოიძებნება ტრიკოტაჟული ნაწარმი.

ბოლო ათწლეულებში ტრიკოტაჟი გამოიყენება არა მხოლოდ მისთვის ჩვეულ სფეროში, როგორცაა წინდები, მაქმანები და კიდევ მრავალი სხვა, არამედ ისეთ უჩვეულო სფეროებში, როგორცაა მედიცინა და ტექნიკა. ტრიკოტაჟისგან ამზადებენ სისხლძარღვების პროტეზებს, ქვედა და ზედა კიდურების პროტეზებს, გულის სარქველებს, სისხლის ფილტრებს კარდიოტომული რეზერვუარ-რეინფუზორისთვის, ქირურგიულ მაფებს და ა. შ.

ჩვენს მიერ შემუშავებულია ქირურგიული საკერი მასალის (მაფის) გამომუშავების ტექნოლოგია ტრიკოტაჟული ხერხით.

ქირურგიული საკერი მასალა - მაფებია, რომლებიც გამოიყენება სისხლძარღვების ლიგირებისთვის ან დაზიანებული ქსოვილების აპროქსიმაციისთვის.

არსებობს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ქსოვილების გაკერვას ახორციელებდნენ ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 2000 წლის წინ. საუკუნეების განმავლობაში ქირურგიული ოპერაციების დროს ქსოვილების შესაერთებლად იყენებდნენ აბრეშუმს, სელს, ბამბას, ძუას, ცხოველების ნაწლავებს და მყესებს, ძვირფასი მეტალისგან დამზადებულ მავთულებს და ა. შ.

ქირურგიული საკერი მასალის მრავალწლიანი ევოლუციის შედეგად დღეს ქირურგებს აქვთ სპეციალიზირებული მაფები კონკრეტული ოპერაციებისათვის. ამრიგად,



მნიშვნელოვნად შემცირებულია პოსტოპერაციულ პერიოდში ჭრილობის დაჩირქება და სხვა ქირურგიული გართულებები.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ძაფები დანიშნულების შესაბამისად შეიძლება იყოს სხვადასხვა სისქის.

ქირურგიული საკერი მასალა იქსოვება საქსოვ მანქანაზე მინიმუმ ორი სავარცხლით, რომლებიც გაწყობილია სპეციალური ძაფით.

ერთ-ერთ უმთავრესი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქირურგიული ძაფი, არის მისი სიმტკიცე. ისეთი ძაფებისთვის, რომლებიც ოპერაციის შემდეგ დროთა განმავლობაში გაიწოვებიან ორგანიზმში. აუცილებელია, რომ ძაფი სიმტკიცეს ინარჩუნებდეს საბოლოო შეხორცებამდე. თუ ქირურგიული ძაფი სწრაფად დაკარგავს სიმტკიცეს, მოხდება მისი წყვეტა და შესაბამისად მოხდება ჭრილობის ნაპირების გახსნა. გარდა ამისა მას უნდა ახასიათებდეს ნასკვის სიმტკიცე, რადგან ის წარმოადგენს ძალის საზომს, რომელმაც უნდა გაუძლოს ძაფს ჩანასკვის დროს. გასაკერი ქსოვილის სიმტკიცე (ანუ მექანიკური დატვირთვისადმი მედეგობა) განსაზღვრავს თუ რა ზომისა და სიმტკიცის საკერი ძაფი უნდა აირჩიოს ქირურგმა. არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც სულაც არ არის აუცილებელი, რომ საკერი ძაფი უფრო მტკიცე იყოს, ვიდრე გასაკერი ქსოვილი. მეორე მხრივ, უკიდურეს შემთხვევაში ძაფი უნდა იყოს იმავე სიმტკიცის, როგორც გასაკერი მასალა. თუ რაღაც დროის განმავლობაში ქსოვილი მოქმედებს ძაფზე და ამცირებს მის სიმტკიცეს, საჭიროა აუცილებლად ვიცოდეთ ძაფის სიმტკიცის დაკარგვისა და ჭრილობის შეხორცების პროცესების ფარდობითი სიჩქარეები.

მოცემულ სტატიაში განხილულია როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ქირურგიული ძაფის ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, როგორცაა სიმტკიცე.

შემუშავებული და შესწავლილი იქნა ამ ხლართების რამდენიმე ნიმუში, რომელთაგან შევარჩიეთ საუკეთესოები. შევისწავლეთ ტრიკოტაჟული ქირურგიული ძაფის 9 სახეობა.

ქვემოთ ცხრილში მოტანილია გაგლეჯვაზე და გამგლეჯ წაგრძელებაზე კვლევის შედეგები.

მიღებული შედეგების შედარება გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა ნიმუში თანაბრადწელვადია. გამგლეჯი წაგრძელება არ აღემატება 72%-ს. იმ შემთხვევაში, თუ დატვირთვა ერთი-ორი რიგით უფრო მცირეა, ხდება ქირურგიული ძაფის მცირე დეფორმირება. ანალიზის შედეგად ჩანს მათი მაჩვენებლები ძირითადად დამოკიდებულია ხლართის სახეზე. საბოლოოდ დავასკვნით, რომ ყველაზე მცირე სიმტკიცე გააჩნია 1 და 2 ნიმუშს.



სახეობა N	გამგლეჯი დატვირთვა P <sub>p</sub>	გამგლეჯი წაგრძელება E <sub>p</sub> (%)
1	29,5	68
2	27	70
3	38,2	71
4	36,8	72
5	38,3	69
6	39,1	77
7	40,9	70
8	45,8	69
9	43,4	70

ნიმუში 1 მოქსოვილია დახურულ მარყუჟებიანი ხლართით ტრიკო-ტრიკო ორი სავარცხლის ძაფების საპირისპირო წყობით. ნიმუში 2 მოქსოვილია იგივე ხლართით, სავარცხლის იგივე გადაადგილებით, მხოლოდ ერთი სავარცხელი ქსოვს ღია მარყუჟებიანი ტრიკოს ხლართს. ქირურგიულ ძაფს უნდა ახასიათებდეს მუშა ზონაში მინიმალური წაგრძელება, ასეთებია ნიმუშები 7, 8 და 9, რომლებსაც მაქსიმალური დატვირთვის დროს აქვთ მინიმალური გამგლეჯი წაგრძელება. ნიმუში 7 მოქსოვილია სამი სავარცხლით ხლართი ტრიკო - მაუდი 5 ნემსზე. ნიმუში 8-იქსოვება 4 სავარცხლით ოთხ ნემსზე ხლართით ტრიკო-მაუდი, ხოლო ნიმუში 9 - ორი სავარცხლით 4 ნემსზე ხლართით ტრიკო -შარმე.

დადასტურდა, რომ მნიშვნელოვან ზემოქმედებას გამგლეჯ მახასიათებელზე ახდენს ხლართის სახე.

შერჩეული ტრიკოტაჟის ძირითადი თვისებების მახასიათებლის კომპლექსური კვლევისა და ქირურგიული ძაფისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ დასაწერად რეკომენდაცია მიეცა ნიმუშს 7,8 და 9.

ყველაზე მაღალი სიმტკიცე გააჩნია ნიმუშს 8.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარყუჟოვანი სტრუქტურის ქირურგიული საკერი მასალა და მისი გამომუშავების ხერხი. საავტორო მოწმობა N820828// ზ.ა. ვადაჭკორია, ა.ა. კუდრიავინ, ი.ტ. ჯერმაკიანი. გამოქვეყნებულია 1981, ბიულეტ. N4
2. ზ.ა. ვადაჭკორია, სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟის ტექნოლოგიის შემუშავება და თვისებების კვლევა. დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდების მოსაპოვებლად M. 1982.
3. Wegener, W. Die Bestimmung der Formänderungseigenschaften von Polyurethen und Kautchuk-Elastomerfaden Text. / W. Wegener, B. Wulforth -Zeitschrift für die gesamte Textilindustrie, 1969, №8. 527-533.



4. Distributions Text. / Rong Liu, Yi-Lin Kwok, Yi Li, Terence-T Lao and Xin Zhang. Fibers and Polymers Vol.6, No.4, 2005. 322-331.

**DETERMINE THE STRENGTH OF THE SURGICAL CASING MATERIAL**  
**Z. VADACHKORIA, N. FAILODZE, S. ZHORZHOLIANI**

Akaki Tsereteli State University

**Summary**

The article deals with the results of influence of disruptive force upon the hosiery surgical thread.

It is established that, over, the disruptive the main influence tas the type of obstruction. The best version is displayed, which is characterized by the high level of solidity.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა





## ნეღლეული სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟისთვის

ნატო ფაილოკე, ზინაიდა ვადაჭკორია, სოფიკო ჟორჟოლიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟის შექმნის პრობლემაზე მუშაობის პერიოდში ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ცოცხალი ორგანიზმის თანდაყოლილი და შეძენილი დაავადებების მკურნალობის მეთოდების ძიება მიდიოდა ორი მიმართულებით: პირველი - ბიოლოგიური მასალების გამოყენება, მეორე - შიგა ორგანოების აღდგენა სხვადასხვა ხელოვნური სინთეზური მასალების გამოყენებით.*

სხვადასხვა წარმოშობის და განსხვავებული სტრუქტურის მქონე სინთეზური ბოჭკოების შექმნამ და გამოყენებამ, სატრიკოტაჟო ბოჭკოების შექმნამ და გამოყენებამ სატრიკოტაჟო წარმოებაში, პრაქტიკულად უსაზღვროდ გაზარდა ამ მასალისაგან დამზადებული პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი.

თანამედროვე ქირურგიის წარმატებები დაკავშირებულია კლინიკურ პრაქტიკაში პლასტიკისა და ორგანოების ფუნქციების დანერგვასთან. ამ პროცესისთვის ფართოდ იყენებენ სხვადასხვა სინთეტიკურ მასალებს. დღეს ქირურგიაში გამოიყენება შემდეგი ჯგუფების ბოჭკოები: პოლიეთერის ლავსანი, ტერილენი, დაკრონი, პოლიფენი, ფტოროპლასტი-4, ტეფლონი; წყალში ხსნადი პოლიმერების პოლივინილის სპირტი და სხვა.

საკმაოდ პერსპექტიულია სახეცვლილი სტრუქტურის მქონე ბოჭკოების გამოყენება.

წარმატებით გამოიყენება ასევე პოლიმერების კომბინირება ბიოლოგიურ მასალებთან და კონსერვირებულ ჰომოქსოვილებთან.

მედიცინაში გამოსაყენებელი იმ პოლიმერების შექმნისას, რომლებიც გამოიყენება სამკურნალო მიზნით, შეყავთ ადამიანის ორგანიზმში ან გამოიყენებენ ორგანიზმში შესაყვანი ბიოლოგიურ სითხეებზე ზემოქმედებისთვის, მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები.

ამას ხელს უწყობდა ის პროგრესი, რომელიც მიღწეულია პოლიმერების ორგანიზმზე ზემოქმედების შესწავლის დროს, რამაც თავის მხრივ შესაძლებელი გახდა ჩამოეყალიბებინათ პოლიმერების თვისებებისადმი ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს სამედიცინო დანიშნულების პოლიმერებს. მოთხოვნები იყო როგორც ზოგადი, ასევე დიფერენცირებული გამოყენების კონკრეტული სახეებისადმი. მოთხოვნები, რომლებიც უყენებენ სამედიცინო დანიშნულების პოლიმერებს ასევე ვრცელდება იმ მასალებზეც, რომლებისგანაც ამზადებენ სამედიცინო ინვენტარს, გარე პროტეზებს და ასე



შემდეგ.

თვისებების სხვა კომპლექსია აუცილებელი იმ მასალებისთვის, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზმის ქსოვილებზე თერაპიასა და ქირურგიაში.

თუ სინთეტიკური პოლიმერების გამოყენების პირველ ეტაპზე, როდესაც პოლიმერული მასალები ჯერ კიდევ არ იქმნებოდა სპეციალურად მედიცინისთვის, ხდებოდა მხოლოდ მათი შერჩევა უკვე არსებული ტექნიკური დანიშნულების პოლიმერებიდან, ზოგადად არსებობდა აზრი, რომ პოლიმერები უნდა ყოფილიყვნენ ინერტულები, მაგალითად - პოლიმერული იმპლანტები არ უნდა შედიოდნენ ურთიერთქმედებაში ირგვლივ მდებარე ორგანიზმის ქსოვილებთან. მოგვიანებით მეცნიერები დარწმუნდნენ იმაში, რომ მსგავსი „ინერტული“ პოლიმერები ხანდახან ორგანიზმის ქსოვილების ნეკროზსაც და სხვას იწვევენ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ შესწავლილი მასალები ახდენენ ნივთიერებათა მიგრაციის ბლოკირებას და შესაბამისად ამუხრუჭებენ უჯრედებს შორის ცვლას.

დღეს ხდება ისეთი პოლიმერების გამომუშავება, რომელთა ბიოთავსებადობა განისაზღვრება არა ინერტულობით, არამედ პირიქით ორგანიზმთან ურთიერთკავშირით და ეს ურთიერთკავშირი არის ისეთი, რომ არც თვით პოლიმერები და არც მათი დაშლის პროდუქტები არ ახდენენ არასასურველ ზემოქმედებას ორგანიზმზე. მიღებულია პოლიმერები, რომლებიც დროის განმავლობაში გაიწოვებიან ორგანიზმში, ასევე ენდოპროთეზირების შედეგად შეუძლებელია ჩაანაცვლონ ორგანიზმის ქსოვილები. ასეთი პოლიმერები იყო გამოყენებული ჩვენს მიერ ტრიკოტაჟული ხლართით ქირურგიული საკერავი მასალის და ტრიკოტაჟული ტილოების შექმნის დროს, რომლებიც გამოიყენება მუცლის აპკში, თორმეტგოჯა ნაწლავში და ორგანიზმის სხვა დაზიანებულ ქსოვილებში ჩასაკერებლად ამ უბნის დაზიანების აღმოსაფხვრელად.

ამრიგად ქირურგიული ბოჭკოებით სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟის ასორტიმენტის ძირითადი მიმართულებებია:

- ისეთი ტრიკოტაჟული ტილოების შექმნა, რომლებიც გამოიყენება დამწვრობების სამკურნალოდ, გულის სარქველების დასამზადებლად (ერთ-ერთი მათგანი შექმნილია ჩვენს მიერ), თიაქრის ნაპრალის ამოსავსებად (აქაც გამოიყენება ჩვენს მიერ შემუშავებული ერთ-ერთი ტრიკოტაჟული ტილო), მყესების დეფექტების აღმოსაფხვრელად, დიაფრაგმისთვის, ცალკეული ორგანოების ფიქსაციისათვის და ა.შ.
- შემდეგი მიმართულებაა ისეთი ტექნოლოგიების შემუშავება, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება სამკურნალო ელასტიური წინდების და სამედიცინო შესახვევი მასალის გამომუშავება, რომლებიც გამოიყენება ქვედა კიდურების სხვადასხვა დაავადების: თრომბოფლებიტის, ვენების ვარიკოზული გაგანიერების (კვანძოვანი) და



მათ ნიადაგზე, წარმოქმნილი წყლულოვანი პროცესების სამკურნალოდ.

- ქლორირებული ნართისა და ძაფისგან სამკურნალო თეთრეულის მასიური გამოშვება. თეთრეული გამოიყენება პერიფერიული ნერვული სისტემის სამკურნალოდ;
- სისხლის გადასხმა და პლაზმისთვის კონსერვირებული სისხლის ფილტრებისათვის სპეციალური ტრიკოტაჟული ტილოების დამზადება (აღნიშნული სახის ტრიკოტაჟი შემუშავებულია ჩვენს მიერ და მიღებულია საავტორო მოწმობა).
- ხელოვნური არტერიების, სისხლძარღვების შექმნა და მასიური გამომუშავება, როდესაც აუცილებელია მათი შესვლა სისხლის გამტარობის შემცირების; სისხლძარღვების გაჭედვის, შევიწროების და გაფართოების დროს, სისხლძარღვების სხვადასხვა დეფექტების დაჭრის, ონკოლოგიური დაავადებების და სხვა შემთხვევების დროს.

როდესაც საკითხი ეხება ენდოპროტეზირებას და ორგანიზმის ქსოვილების, ორგანოების შეცვლას, კონსტრუქციულ მასალად ძირითადად გამოყენებული უნდა იყოს ინერტული და ბიოთავსებადი მასალები.

ჩვენ მიერ ასეთი მასალები გამოყენებული იყო სისხლის ფილტრებისათვის, რომლებიც მექანიკურად წმენდენ სისხლის ნაწილაკებისგან; კარდიოტონული რეზერვუარ-რეინფუზორში, სადაც შედედებული სისხლის 40 მიკრონის ზომის ნაწილაკმა შეიძლება გამოიწვიოს ემბოლიას და ფატალური დასასრული.

ვმუშაობდით-რა სამედიცინო დანიშნულების ტილოს შექმნაზე, ჩვენ წინაშე დადგა ნედლეულის შერჩევის საკითხი. მაშინ გამოვიყენეთ ე.წ. „მესამე“ თაობის მასალები, რომლებმაც თავისი ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების გამო შეიძლება მონაწილეობა მიიღონ განსაზღვრულ ბიოლოგიურ პროცესებში; მათგან შესაძლებელია ისეთი პროტეზების შექმნა, რომელთაც შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ისეთი რთული ფუნქციები, როგორცაა მაგალითად მონაწილეობა ნივთიერებათა ცვლაში და ამავდროულად მიღებული იქნას არსებითი თერაპიული ეფექტები.

სამედიცინო ტრიკოტაჟისთვის ნედლეულის შერჩევისას ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მრავალი მასალა და დავასკვნით, რომ საკმაოდ პერსპექტიული აღმოჩნდა სპეციალური სახის ბოჭკოვანი მასალები, კერძოდ დრუ ბოჭკოები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკეული მოთხოვნები პოლიმერული მასალების მიმართ ზოგჯერ საპირისპიროა. ვინაიდან სისხლძარღვთა ენდოპროტეზირებისა და ჰემოსორბციისათვის განკუთვნილი მასალებისათვის ანუ იმ შემთხვევისთვის, თუ მასალა კონტაქტირებს სისხლთან, მაშინ მის მიმართ უმთავრესი მოთხოვნა იქნება თრომბორეზისტენტულობა; მაგალითად სისხლის ფილტრებისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტრიკოტაჟული ტილო უნდა გაიწოვოს ორგანიზმში ან



გამოიყენებოდა მისი ჩასმა ამათუიმ ორგანოს დაზიანებულ ნაწილში ანუ ჰემოსტატიური მასალებისათვის, მთავარი და აუცილებელი პირობაა რომ მის ზედაპირზე, პირიქით წარმოიქმნას შესქელება. მაგრამ ორივე შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრული თვისებების მქონე მასალის შესაქმნელად რაციონალური გზის ძიებისას საჭიროა ვიცოდეთ პოლიმერის ზედაპირის ურთიერთქმედება სისხლთან და ასეთი ურთიერთქმედების დროს ზედაპირის სტრუქტურული ელემენტების როლი.

ჩვენს მიერ შემუშავებული ტრიკოტაჟული ტილოები მიეკუთვნება ენდოპროტეზებს (გულის სარქველები), გარდა ამისა ეს ტრიკოტაჟული ტილოები გამოიყენება შინაგან ორგანოებში ჩასაკერებლად, ამიტომ კვლევებმა გვიჩვენა, რომ ასეთ შემთხვევაში სასურველია გამოიყენებული იქნეს პოლისილოქსანი, პოლიეთერი, პოლიტეტრაფტორეთილენი (ტეფლონი), პოლიპროპილენი და სხვა.

შევისწავლეთრა მრავალი ბოჭკოს თვისებები დავასკვნით, რომ ჩვენი შემთხვევებისთვის ყველაზე მეტად მისაღებია ცელულოზის ბოჭკოები. ანუ მსგავსი ოპერაციებისთვის გამოსაყენებელი ტრიკოტაჟული ტილოს მოსაქსოვად სასურველია გამოიყენებული იქნეს მოდიფიცირებული ცელულოზის ბოჭკოები.

ორკომპონენტური მასალა თავსებადია ორგანიზმთან და განსაზღვრული დროის განმავლობაში გაიწოვება ორგანიზმში არასასურველი მოვლენების გარეშე.

რაც შეეხება ჩვენს მიერ შემუშავებული მარყუჟოვანი სტრუქტურის მქონე ქირურგიულ საკერ მასალას, ამ შემთხვევაში სასურველია ფოსფორილირებული ძაფების გამოყენება.

ცნობილია ასევე ცელულოზის ანტიმიკრობული ბოჭკოები, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილი იქნება სტერილური ქირურგიული ინსტრუმენტების შესაფუთად, ქირურგიული პირბადეების, წინდების და ა.შ. დასამზადებლად.

სამედიცინო-ბიოლოგიური პოლიმერების შექმნა საშუალებას იძლევა შეიქმნას სამედიცინო დანიშნულების ხელოვნური და სინთეზური პოლიმერების ფართო არსენალი.

### ლიტერატურა

1. Белов Д.А. Полимеры в медицине. Белорусский государственный университет. 2012
2. И.М.Рабинович, Применение полимеров в медицине. Л., Химия, 1972
3. М.И.Штильман. Полимеры медико – биологического назначения., М., ИКЦ "Академкнига", 2006.
4. Distributions Text. / Rong Liu, Yi-Lin Kwok, Yi Li, Terence-T Lao and Xin Zhang. Fibers and Polymers Vol.6, No.4, 2005. pp.322-331.
5. Oks, B.S. Compressive knitted items for treatment of chronic venous insufficiency and lymphostasis Text. /



B.S. Oks , A.B. Oks / "44 Congress IFKT "Knitting round the clock", St-Petersburg, 23-27 September 2008. -  
pp.119-126.

## RAW MATERIAL FOR THE MEDICAL PURPOSE KNIITWEAR

Z. VADACHKORIA, N. FAILODZE, S. ZHORZHOLIANI

Akaki Tsereteli State University

### Summary

In the given work the review of existing raw material for medical textile are shown. The raw material for different area of medicine is considered: surgery, oncology, therapy. Here is analysed the raw considered for different area.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



სამედიცინო ტექსტილი - „ჭკვიანი“ მრავალფუნქციური ტექსტილი

ბუაძე ე.,\* აბდულაევა ს.,\*\* ფაილოძე ნ.,\* ფუსტვენიძე თ.,\*  
ბოჭორიშვილი რ.\*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, \*  
აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი. ბაქო\*\*

*სტატიაში განხილულია ახალი სამედიცინო ტექსტილის შექმნის შესაძლებლობა, რისთვისაც დასამზადებელია განსაკუთრებული სტრუქტურის მქონე ტრიკოტაჟის ქსოვილი, რომელიც შემდგომში დამუშავებული იქნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებით - ბენტონიტით.*

*მუშაობის პროცესში შესწავლილი იქნება „ჭკვიანი“ მრავალფუნქციური ქსოვილის მიღების ხერხები, ახალი ქსოვილის ფიზიკურ-მექანიკური და ჰიგიენური თვისებები, ქსოვილის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებით (ბენტონიტით) გაყენების მეთოდები, ბენტონიტით დამუშავებული ქსოვილის თვისებები, მიღებულ ქსოვილზე სამკურნალო კომპოზიციის დატანის გზები და მისი თვისებები. ასევე შესწავლილი იქნება მიღებული ქსოვილის სხვადასხვა დაავადებებისათვის გამოყენების შესაძლებლობები.*

XX საუკუნის ბოლოდან, განსაკუთრებით XXI საუკუნის დასაწყისში, ტექსტილისათვის ახალი თვისებების მისანიჭებლად და ტრადიციული თვისებების გასაუმჯობესებლად დაიწყო მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება, რამაც მკვეთრად გააფართოვა ტექსტილის გამოყენების სფეროები, მათ შორის მედიცინაშიც. ბოლო ათწლეულების მანძილზე მსოფლიო მედიცინაში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა „ჭკვიანი“ მრავალფუნქციური ტექსტილის გამოყენება, რომელიც არსებითად ამცირებს დაავადებებისას რისკების რიცხვს, ექიმის მიერ შეცდომათა რაოდენობას, სამკურნალო სტაციონარში ავადმყოფის დაყოვნების დროს, ადიდებს ქრონიკული ავადმყოფის სიცოცხლის და მოვლის ხარისხს, ნებას იძლევა გადატანილი იქნას აქცენტი მკურნალობიდან პროფილაქტიკაზე, მოვლასა და რეაბილიტაციაზე საშინაო პირობებში.

„ჭკვიანი“ ტექსტილი ისევე, როგორც ტრადიციული, მრავალვარიანტიანია. ბუნებრივი ბოჭკოების მრავალფეროვნება, ქიმიური ბოჭკოების ფართო ასორტიმენტი, მათი ახალი თაობა ბოჭკოწარმოქმნელ პოლიმერების საფუძველზე - მხოლოდ ეს იძლევა ახალი სახის სხვადასხვა თვისების მქონე ტექსტილის შექმნის საშუალებას.

მექანიკური ტექნოლოგიები (დართვა, გრეხა, ქსოვა) განსაზღვრავენ–რა საფეიქრო ნაწარმის მიკროსტრუქტურას და უზრუნველყოფენ მაკროფორიანობას, მოფარდვას, სორბციულ თვისებებს, მრავალფეროვნების კიდევ ერთი სერიოზული შესაძლებლობაა. ქიმიური ტექნოლოგია ანუ საბოლოო გამოყვანა სამომხმარებლო თვისებების ასევე ფართო ნაკრებს აყალიბებს, როგორცაა – მაღალი მდგრადობა, წყალგამზიდობა, ანტიმიკ-



რობულობა, ცეცხლგამძლეობა და სხვა. ზემოჩამოთვლილი შესაძლებლობების შერწყმითა და გადანაცვლებადობით ტექსტილის მასალების მიღების მათემატიკურ შესაძლებლობების ვარიაციულობა უსასრულოა.

„ჭკვიანმა“ ტექსტილმა მიუხედავად იმისა, რომ განვითარების დაწყებით ფაზაშია, უკვე დაიმკვიდრა მდგრადი ადგილი მეურნეობის სხვადასხვა დარგებში და მათ შორის, ჯანდაცვის სისტემაში. შორს არ არის ის დრო, როცა „ჭკვიანი“ ტანსამოსი და სამედიცინო სამოსი იქნება—რა ესთეტიკურად მიმზიდველი და მოსახერხებელი საზოგადოებისთვის, ამავდროულად გახდება ყოველდღიური აუცილებლობა ისევე, როგორც საათი, ტელეფონი, mp3–ფლეიერი, გახდება თავისებური პირადი „ჭკვიანი“ ჭურჭლი, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ადამიანს მთელს კაცობრიობასთან დააკავშირებს.

სამკურნალო ნივთიერების მიზანმიმართული მიწოდება ორგანოებსა და ქსოვილებში თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების დიდ ინტერესს იწვევს, რაც გამოწვეულია დოზის შესაძლო დაწევით, გვერდითი, ტოქსიკური და ალერგიული ეფექტების შემცირებით, წამლის ბიოშელწევადობის გაუმჯობესებით, პროლონგირების შესაძლებლობით, რაც საბოლოო ჯამში წარმოადგენს სამედიცინო და ეკონომიკურ სარგებლიანობას.

სწორედ ამიტომ, უკანასკნელ ხანებში ძირითადი ძალისხმევა მიმართულია არა ახალი სამკურნალო პრეპარატების შემუშავებისაკენ, არამედ მათი მიწოდების ახალი გზების ძიებისაკენ. სამედიცინო ფუნქციური ბიომასალების შექმნაზე დღეს სხვადასხვა დარგის მეცნიერ–მკვლევარები მუშაობენ: ექიმები, ფარმაცევტები, ქიმიკოსები, ბიოქიმიკოსები, ბიოფიზიკოსები და ქიმიკოს-ფეიქრები. სწორედ ტექსტილის ქიმია შეიძლება იყოს დაინტერესებული ტექსტილის ფუძეზე სამკურნალო მასალების დამუშავებით, რომლებშიც შეტანილია წამალი, ადგილობრივი გამოყენებისათვის – დაზიანებულ ადგილზე დასაფენად. ჩვენს მიერ არჩეული გზა იქნება უნიკალური, სადაც სამკურნალო ნივთიერების მატარებლად გამოყენებული იქნება ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება (ბან) -ბენტონიტი, კერძოდ ასკანის თიხა.

ადამიანის ჯანმრთელობა არის მისი ძირითადი სიმდიდრე და ყველა სამუშაოს, რაც დაკავშირებულია ჯანმრთელობის აღდგენასა და მის შენარჩუნებასთან, აქვს განუზომლად დიდი მნიშვნელობა. ჩვენი სამუშაო ეხება სწორედ ისეთი „ჭკვიანი“ ქსოვილის შემუშავებას, რომელზეც დატანილი სამკურნალო საშუალება შექმნის ახალ სამკურნალო მასალას. ამ მასალას ექნება ჩვენს მიერ წინასწარ მინიჭებული სპეციფიკური თვისებები, როგორც გარეგანი, ასევე შეწოვის შემდგომი ზოგადი მოქმედებისათვის. როგორც ვიცით, სამკურნალო საშუალებების ორალური (პირის) გზით მიღებას აქვს თავისი უარყოფითი ჩვენებები, ამიტომ ამ პრობლემასაც ჩვენ გადავჭრით ადგილობრივი მკურნა-



ლობით (ახალი სტრუქტურის მქონე \*ჰკვიანი\* ქსოვილით). ადგილობრივი მკურნალობა ეტიოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით უნდა იყოს მიმართული პათოლოგიური პროცესის ადგილობრივი, ასევე ზოგადი გამოვლინებების მიმართ. ჩვენს წინაშე დგას საკმაოდ რთული ამოცანა.

წინამდებარე კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად იქნება შემუშავებული ისეთი „ჰკვიანი“ სტრუქტურის მქონე ქსოვილი, რომელიც დამუშავებული იქნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებით – ბენტონიტით და ასეთი ქსოვილის გამოყენება შეიძლება ჯანმრთელობის აღდგენის სხვადასხვა კონკრეტულ სფეროში, მათ შორის სამკურნალო სუბსტანციის მატარებლად. ამავდროულად გვინდა გაცნობოთ, რომ ასეთი სახის ქსოვილი არ არსებობს საქართველოში, ხოლო აღნიშნულ ქსოვილში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებად (ბან-ად) გამოყენებულია ადგილობრივი წარმოშობის ბუნებრივი თიხები (ბენტონიტები), რომლებიც თავიანთი სამკურნალო აქტივობებით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო პრაქტიკაში. იგი ბლომად მოიპოვება საქართველოში.

კვლევითი სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ტექსტილის ქიმიის ჩვეულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით და ადგილობრივი წარმოშობის ბენტონიტების გამოყენების ახალი სტრუქტურის მქონე „ჰკვიანი“ მრავალფუნქციური ქსოვილის დამზადება, რომელიც გამოსადეგი იქნება ადგილობრივი გამოყენებისათვის, ფარმაცევტული კომპოზიციით გასაჟღენთად მისი ლოკალური და რეზორბციული მოქმედებისათვის; იგი იქნება საფუძველი სხვადასხვა დაავადებებისას საჭირო საფენების თუ სველსაშუშების მოსამზადებლად. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია საფეიქრო მასალის ჰიგროსკოპულობის, ტენგაცემის, კაპილარობის, სიხისტის, გამგლეჯი დატვირთვის, წაგრძელებისა და სხვა მასალათმცოდნეობითი თვისებების შესწავლა; შესაფერისი ზომის ნაჭრებად (საფენებად) ქსოვილის დაჭრა და მასზე სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებელი 2–3 ფარმაცევტული კომპოზიციის დატანა; მომზადებული საფენის ფარმაკოკინეტიკური ინ ვიტრო შესწავლა ეფექტურობაზე დასტურად იმისა, რომ ჩვენს მიერ შექმნილი „ჰკვიანი“ ტექსტილი უნივერსალურია და შეიძლება მისი გამოყენება მედიცინის სხვადასხვა დარგებში.

ზემოთქმული მიზნების განსახორციელებლად ჩვენ დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- დასმული საკითხის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა, ბოჰკოწარმოქმნილი პოლიმერების და სხვა კომპონენტების შესწავლა, ანალიზი და შერჩევის პრინციპები;
- „ჰკვიანი“ მრავალფუნქციური ქსოვილის მიღება. ახალი ქსოვილის ფიზიკო-მექანიკური და ჰიგიენური თვისებების შესწავლა;
- ქსოვილის ბიოლოგიური აქტიური ნივთიერებით (ბენტონიტით) გაჟღენთვის მე-





თოდები. ბენტონიტით დამუშავებული ქსოვილის თვისებების შესწავლა;

- მიღებულ ქსოვილზე სამკურნალო კომპოზიციის დატანა და მისი თვისებების შესწავლა;
- მიღებული ქსოვილის სხვადასხვა დაავადებებისათვის გამოყენების შესაძლებლობის შესწავლა.

სამუშაოში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად და ახალი შექმნილი ტექსტილის თვისებების შესასწავლად ვფიქრობთ გამოვიყენოთ კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ამოცანის გადაწყვეტას, კერძოდ: ელექტრონული მიკროსკოპის მეთოდი; სანიტარულ-ჰიგიენური და მექანიკური თვისებების – გაგლეჯის უნარიანობის, წაგრძელების, სიხისტის, დრაპირების, ჰაერგამტარიანობის შესასწავლი სტანდარტული მეთოდები, ბან-ის მომზადების და მისი ქსოვილზე დატანის მეთოდი. გამოყენებული იქნება მასალათმცოდნეობაში მიღებული სხვადასხვა სახის ხელსაწყოები - დინამომეტრი, ცვეთამედგობის, სიხისტის, დრაპირების, ჰაერგამტარიანობის, კაპილარობის ხელსაწყოები. საფენის აქტივობის შესწავლისათვის და შენახვისას მიკრობიოლოგიური კონტამინაციის ხარისხის დასადგენად გამოყენებული იქნება მიკრობიოლოგიური – ბაქტერიოსკოპული და ბაქტერიოლოგიური მეთოდები. შექმნილი კომპოზიციის რეოლოგიური მაჩვენებლები დატანამდე შესასწავლი იქნება ვისკოზიმეტრული მეთოდით.

შემუშავებული იქნება „ჰკვიანი“ განსაკუთრებული სტრუქტურის მქონე ქსოვილი, რომელიც გაჟღენთილი იქნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებით და შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება მედიცინაში სხვადასხვა მიმართულებით. ჩატარებული იქნება მეცნიერებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური სამუშაოები როგორცაა:

1. სრულიად ახალი სტრუქტურის ქსოვილის შემუშავება, რომლის გამოყენება შესაძლებელი გახდება მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მათ შორის მედიცინაში.

2. შემუშავებული იქნება ტექნოლოგიური პროცესის სქემა, რომელიც მოიცავს ქსოვილების მომზადებას, მასში მოქმედი ნივთიერებების შეტანის მეთოდს, მოწოდებული იქნება ტექნოლოგიური რეკომენდაციები, შემუშავდება ტექნოლოგიური დოკუმენტაცია და ა.შ.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Кричевский, Г.Е. «Нано-, био-, химические технологии и производство нового поколения волокон, текстиля и одежды»/ Г.Е. Кричевский/ М., изд-во «Известия», 2011. – 526 с.
2. Smart textile for medicine and healthcare/ Ed.by L. van Langerhove. Ed.Woodhead Publ. Lim. Cambridge, 2007. – 312 p.
3. Limberis, A., / Intelligent Biomedical clothing for personal health and disease management/ A. Limberis, S. Olsson/ Telemedicine Journ. And E-Health. Vil.9, #4, 2003. – 379-386 p.

**სამედიცინო ტექსტილი - „ჭკვიანი“ მრავალფუნქციური ტექსტილი  
 ბუაძე ე.,\* აბდულაევა ს.,\*\* ფაილოძე ნ.,\* ფესტვენიძე თ.,\* ბოჭორიშვილი რ.\*  
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, \*  
 აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი. ბაქო\*\*  
 რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ახალი სამედიცინო ტექსტილის შექმნის შესაძლებლობა. რისთვისაც დასამზადებელია განსაკუთრებული სტრუქტურის მქონე ტრიკოტაჟის ქსოვილი, რომელიც შემდგომში დამუშავებული იქნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებით - ბენტონიტით.

მუშაობის პროცესში შესწავლილი იქნება „ჭკვიანი“ მრავალფუნქციური ქსოვილის მიღების ხერხები, ახალი ქსოვილის ფიზიკურ-მექანიკური და ჰიგიენური თვისებები, ქსოვილის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებით (ბენტონიტით) გაჟღენთვის მეთოდები, ბენტონიტით დამუშავებული ქსოვილის თვისებები, მიღებულ ქსოვილზე სამკურნალო კომპოზიციის დატანის გზები და მისი თვისებები. ასევე შესწავლილი იქნება მიღებული ქსოვილის სხვადასხვა დაავადებებისათვის გამოყენების შესაძლებლობები.

**MEDICAL TEXTILES – „SMART” MULTIFUNCTIONAL TEXTILES  
 E. BUADZE, \* S. ABDULAEVA, \*\*  
 N. PAILODZE,\* T. PESTVENIDZE,\* R. BOCHORISVILI\*  
 Akaki Tsereteli State University,  
 \* Azerbaijan State Technological University.  
 Baku\*\*  
 Summary**

The article discusses possibilities of creating new medical textile. For this purpose should be create knitted textile which has a special structure, and this textile will be processed with biologically active substance - bentonite.

In the process of working it will be studied ways, how to get “Smart” multifunctional tissue, the physical-mechanical and hygienic features of new tissue, methods of impregnation of biologically active substances (bentonite) of tissue, the ways of healing the composition of the tissue and its features. Also, it will be studied the possibilities of using the tissue for various diseases.

მეცნიერება და პრაქტიკა



## ნანოტექნოლოგიები მედიცინასა და ფარმაციაში

ბუაძე ე.,\* აბდულაევა ს.,\*\* ფაილოძე ნ.,\*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, \*  
ახერებაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი. ბაქო\*\*

*ნაშრომს აქვს მიმოხილვითი ხასიათი. ჩვენ გვინდა გავაცნოთ მეცნიერებაში ახალ მიმართულებას და როგორ გამოიყენება ის მედიცინაში და ფარმაციაში. დღეს ხდება ნანოტექნოლოგიების გამოყენების ფუნდამენტის ჩაყრა პრაქტიკულად მედიცინის და ფარმაციის ყველა სფეროში. ნაჩვენებია, რომ ამ დროს მიწოდების და დიაგნოსტიკის სისტემებში in vivo ამჟამად იყენებენ ნანონაწილაკებს, როგორც აქტიურ სამკურნალო ან კონტრასტული ნივთიერებების მატარებელს დაზიანებულ ორგანოებში და ქსოვილ-მიზანში(ткань-мишень). ახალი აქტიური ნივთიერებები და მკურნალობის მეთოდების შემუშავებაში პირველყოფილის იყენებენ განსაკუთრებული მოლეკულარული მატარებლის ნანოსისტემისფარმაცევტულ პოტენციალს, მეორედ კი შეიძლება გამოიყენონ ნანონაწილაკები მაგნიტური ველების, ლაზერი გამოსხივების, ულტრაბგერის და სხვა თერმული ან მექანიკური მოქმედებთან კომბინაციაში. სწრაფი ტემპებით ვითარდება in vitro -ს ნანოტექნოლოგიური დიაგნოსტიკა. აქ გამოიყენება შესაძლო ნანოტექნოლოგიების ფართო არსენალი -დაწყებული ნანონაწილაკებიდან მარკერებით ბიოჩიპებამდე. ბიომასალების შემუშავების დროს მკვლევარების ყურადღება კვლავ არის მიჯაჭვულნანონაწილაკებთან და მათ შორის ნანოკრისტალებთან.*

პირველად ტერმინი “ნანოტექნოლოგია“ გამოიყენა ნორიო ტანიგუჩიმ ტოკიოს უნივერსიტეტის ინჟინერმა. ეს იყო 1974 წელში სტატიაში, რომელიც ეძღვნებოდა მასალების დამუშავებას. გავიდა კიდევ 20 წელი მანამ, სანამ ტერმინი იყო შეყვანილი ფართო სამეცნიერო წრეში. დღეს ნანოტექნოლოგია არის მეცნიერების ერთ ერთი განვითარებადი სფერო სხვადასხვა დარგებში მათ შორის- მედიცინაში და ფარმაციაში.

ბოლო წლებში სწრაფი ტემპებით ვითარდება ასევე ნანომედიცინა, რომელიც იქცევს ყურადღებას არა მარტო სუფთა სამეცნიერო მიღწევებით არამედ სოციალური მნიშვნელობით. ამ ტერმინის ქვეშ დღეს ითვალისწინება ნანოტექნოლოგიების გამოყენება დიაგნოსტიკაში, მონიტორინგში, დაავადებების მკურნალობაში. მედიცინის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული გენომიკის და პროტეომიკის მიღწევებთან. გამოყოფილია 5 ძირითადი სფერო, სადაც არის გამოყენებული ნანოტექნოლოგიები მედიცინაში: აქტიური სამკურნალო ნივთიერებების მიწოდება, მკურნალობის ახალი მეთოდები და ხერხები ნანომეტრულ დონეზე, in vivo დიაგნოსტიკა, სამედიცინო იმპლანტანტები. ნანომედიცინის მნიშვნელობაზე მიგვითითებს ამ თემაზე გაზრდილი პუბლიკაციების რაოდენობა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. 10 შლის განმავლობაში სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა ნანომედიცინაში გაიზარდა მსოფლიოში გაიზარდა 4 ჯერ. ასევე იზრდება პატენტების რაოდენობა. უდაო ლიდერები ამ საკითხში



არიან ამერიკა, შემდეგ გერმანია და იაპონია.

ბოლო წლებში სამედიცინო და ფარმაცევტული მრეწველობის ინტერესი ნანო-ტექნოლოგიებთან მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამიტომ მოსალოდნელია ბევრი მიღწევა ამ სფეროში. ახლო მომავალში ნანოტექნოლოგიები ითამაშებენ ინოვაციების ერთ-ერთ წამყვან როლს მედიცინაში.

### აქტიური ნივთიერებების მიწოდების სისტემები

წინა საუკუნის 60-ან წლებში მიღებული იყო ლიპოსომები, რომლებიც მიაწოდებდნენ სამკურნალო ნივთიერებებს სამიზნე ორგანოში. არჩევენ ლიპოსომების ორ სახეობას: მულტილამელარული, რომლის დიამეტრი შეადგენს 10 მმკ-მდე და ერთი ლამელიდან (ფირფიტისაგან) შემდგარი დიამეტრით მიახლოებით 20დან 50 მმკ-მდე. ბოლო გამოიყენება აქტიური ნივთიერების მიწოდების საშუალებად. პოლიმერული ნანონაწილაკები მიწოდების სისტემად იყვნენ შემოთავაზებული XX საუკუნის 70-იან წლებში. საწყის მასალად მათთვის გამოყენებული იყო სხვადასხვა ბუნებრივი ან ბიოინერტული სინთეზური პოლიმერები. მაგალითად პოლისაქარიდები, პოლირძე მჟავა, პოლილაქტიბები, პოლიაკრილატები, აკრილპოლიმერები და სხვ. “პოლიმერული ნანონაწილაკების“ ქვეშ იგულისხმება ორი მორფოლოგიურად სხვადასხვა ნაწილაკების სახეობა - ნანოსფერო და ნანოკაფსულა. ნანოსფერო წარმოადგენს მთლიან პოლიმერულ მატრიცას, რომლებზეც განლაგებულია აქტიური ნივთიერება. ნანოკაფსულები შედგებიან პოლიმერულ გარსისაგან, რომელიც შემოევლება სითხით სავსე ღრუს. ნანონაწილაკების ეს სახეები განსხვავდებიან აქტიური სამკურნალო ნივთიერებების გამოთავისუფლების გზებით: ნანოსფეროდან განთავისუფლება მიმდინარებს ექსპონენტით, ხოლო ნანოკაფსულებიდან კონსტანტით. აქტიური სამკურნალო ნივთიერების მიწოდების სისტემის კიდევ ერთი ტიპი დამოკიდებულია დეფინირებული პოლივალენტური და დენდოიტომური პოლიმერების დამუშავების სფეროს მიღწევებზე. აქ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პოლიანიონური პოლიმერები-უჯრედოვანი კავშირის ინჰიბიტორები ვირუსებთან, პოლიკათიონური კომპლექსები დნმ და რნმ-თან (ე.წ. პოლიპლექსი) და დენდრიტულ უჯრედებთან.

სამწუხაროდ, ეფექტურობის მაღალი პოტენციალის აქტიური ნივთიერებების ორგან- და ქსოვილ- მიზნებში მიწოდების სისტემები დაკავშირებული არიან არასასურველ გვერდით ეფექტებთან. მაგალითად ფარმაცევტული გიგანტი Novartis. კონცერნი Ciba სხვადასხვა სისტემების უშიშროების ანალიზის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ უნდა გაამახვილონ ყურადღება გახლეჩის უნარის მქონე ნანომატარებლების სამკურნალო საშუალებებზე, რადგან სტაბილური ნანონაწილაკების უსაფრთხოება იწვევს ეჭვს და საჭიროა დამატებითი კვლევები მათი დამტკიცებისათვის.



ალტერნატიული სისტემების ძიება გრძელდება. თანამედროვე ცნობილი მიწოდების სისტემებთან ერთად ამუშავებენ ახლებს - პოლიმერების ნაერთებს აქტიურ ნივთიერებებთან, პოლიმერული მიცელები, არაორგანული ნანონაწილაკები, მყარი ლიპიდური ნანონაწილაკები, ფულერენები. ექსპერტების აზრიდან გამომდინარე უკანასკნელი შეიძლება გახდნენ საფუძველად არა მარტო მიწოდების სისტემებისათვის, არამედ სამკურნალო საშუალებების ახალი კლასისათვის. ფულერენების საფუძველზე მუშავდება სამკურნალო პრეპარატების მიწოდების სისტემები აივ-ინფიცირებული პაციენტების და ონკოლოგიური ავადმყოფების სამკურნალოდ.

მიწოდების სისტემებს აქვთ დიდი მნიშვნელობა პროტეინების საფუძველზე დამზადებულ სამკურნალო საშუალებებისთვის, რომლების მოქმედება ხშირად მცირდება სისხლში მათი ყოფნის შეზღუდული არსებობის, ქიმიური ლაბილობის და იმუნური რეაქციის პროვოცირების უნარიანობის გამო. მიწოდების სისტემის დახმარებით მეცნიერები ცდილობენ გააუმჯობესონ პროტეინული პრეპარატების აპლიკაციური თვისებები. პროტეინთან პოლიმერული ჯაჭვის მიერთების საშუალებით შეიძლება გაზარდონ მათი ნახევარდაშლის პერიოდი, გაზარდონ მათი ეფექტურობა. დღეისათვის ცნობილია ნანოფარმაცევტული პრეპარატების ორი ბესტსელერი - პეგასის პოლიმერი-პროტეინის კონიუგატი (Pegasy - პეგილირებული ალფა<sup>2a</sup>-ინტერფერონი) ჰეპატიტი C-ს მკურნალობისათვის და ნეილასტას (Neuiasta- პეგილირებული hG-CSF) ნეიტროპენიის თერაპიისათვის.

### აქტიური ნივთიერებები და მკურნალობის ახალი მეთოდები

ნანომეტრული მოლეკულები შეიძლება გამოყენებული იქნენ აქტიური ნივთიერებების სახით. კერძოდ, საინტერესო კლასს წარმოადგენენ დენდრიმერები. ეს განშტოებული მოლეკულები არიან მცირე პროტეინების ზომის. კლასიკურ პოლიმერულ მოლეკულებთან შედარებით ისინი ხასიათდებიან იმ უპირატესობით, რომ შეიძლება აკონტროლონ მათი სინთეზი ე.ი. დააპროგრამირონ სპეციალური სამედიცინო გამოყენებისათვის; გარდა ამისა, ზედაპირზე შეიძლება განლაგდეს განსაზღვრული ფუნქციური ჯგუფები ისე, რომ ისინი განსაკუთრებით ეფექტურად ურთიერთქმედებდნენ ვირუსებთან და უჯრედებთან. დენდრიმერის საფუძველზე აქტიური ნივთიერების შექმნის მაგალითი არის პრეპარატი Vivigel-გელი, რომელსაც შეუძლია აივ-ინფექციისაგან დაცვა. ვივიგელი შემუშავებულია ავსტრალიის ბიოტექნოლოგიური კომპანია Starpharm მიერ.

ერთ-ერთი ახალი პრინციპი არის აქტიური ნივთიერებების დაქუცმაცება ნანომეტრულ ზომებამდე. ასე ცდილობენ გადაწყვიტონ სამკურნალო ნივთიერებების არასაკმარისი ხსნადობის პრობლემა რის გამოც ისინი ხასიათდებიან არასაკმარისი ბიოშეღწევადობით. 90-ან წლებში დაქუცმაცების ან ჰიპერბარული ჰომოგენიზაციის გზით მიღე-



ბული იყო აქტიური სამკურნალო ნივთიერების ნანონაწილაკები ე. წ. აქტიური ნანოკრისტალები. ეს ნანონაწილაკები 100%-ით შედგება აქტიური ნივთიერებისაგან და იწარმოება სუსპენზიის სახით (ნანოსუსპენზია), რომელიც შეიძლება შეიყვანონ ვენაში, ხოლო პერორალურად მიღებისათვის ამზადებენ გრანულებს ან აბებს. ამ დროს არ არის საჭირო პოლიმერული მატრიცა, რომლის დაშლამ, როგორც თვლის ზოგიერთი მეცნიერი, შეიძლება გამოიწვიონ ტოქსიკური მოქმედება უჯრედებზე. ნანოკრისტალების ზომაა 200–600 ნანომეტრია. ნანოკრისტალური სამკურნალო პრეპარატების აპლიკაციური თვისებების გაუმჯობესებისათვის ახორციელებენ კრისტალების ზედაპირის მოდიფიკაციას. ერთ-ერთი ნანოკრისტალური პრეპარატი, რომელიც იყო დანერგილი კლინიკურ პრაქტიკაში 2000 წელს, იყო Repamune (Wyeth-Ayers Laboratories), იგი გამოიყენება ორგანოების ტრანსპლანტაციის შემდეგ. ამ პრეპარატის წარმოების დროს გამოყენებული იყო Nano-Crystal. სხვა კონცეფციაა ჩადებული ნანონაწილაკების თერმოთერაპიის საფუძველში. მაგალითად, სიმსივნეების მკურნალობის ახალი მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ნანონაწილაკები შეჰყავთ სიმსივნეში და შემდეგ ან მაგნიტური ველით ან ლაზერის დასხივებით მათ აცხელებენ, ამ დროს სიმსივნე იშლება. პირველად ეს სამედიცინო ტექნოლოგია შემოთავაზებული იყო 15 წლის წინ შარიტეს საუნივერსიტეტო კლინიკის მეცნიერების მიერ დოქტორის იორდანის ხელმძღვანელობით.

### **in vivo დიაგნოსტიკა**

გენომიკის და მოლეკულარული ბიოლოგიის რევოლუციური მიღწევები დაგვებმარა დაავადებებში ჩადებული მოლეკულური პროცესების უფრო კარგ გაგებაში. დიაგნოსტიკას, რომელიც დაფუძნებულია მოლეკულურ სტრუქტურების ვიზუალური ინფორმაციის გადაცემაზე, შეიძლება დავარქვათ ვიზიოგრაფია. აქ გამოიყენება იგივე პრინციპი, რაც გამოსახულების მიღების ტრადიციული მეთოდებით - რადიოგრაფია, ექოგრაფია, ულტრაბგერითი გამოკვლევა და ა.შ. ოღონდ საჭიროა სხვადასხვა კონტრასტული ნივთიერება, სპეციალური სამედიცინო ხელსაწყოები და მოცემულობების დამუშავების სისტემები.

მოლეკულურ დიაგნოსტიკისათვის კონტრასტული ნივთიერება შედგება ნანონაწილაკებისაგან, რომლებთან დაკავშირებულია ვიზუალიზებადი კომპონენტები და განსაკუთრებული ანტისხეულები ან სხვა მოლეკულები, რომლებსაც აქვთ მიზნის ძიების უნარი. როდესაც კონტრასტული ნივთიერება შეჰყავთ ორგანიზმში (სისხლძარღვში), მისი მაძიებელი კომპონენტები ურთიერთქმედებენ მიზან-სტრუქტურებთან დაავადებული უჯრედის ზედაპირზე “ბოქლომი-გასაღები“ პრინციპით და ვიზუალიზებული კომპონენტები აღწევენ დაავადებულ ქსოვილში. ამ კონცეფციაზე მუშაობს კომპანია Kereos, რომელიც შეიმუშავებენ კონტრასტულ ნივთიერებებს ნანოემულსიის პერფტორკარბო-



ნის საფუძველზე, რომლის თითოეული წვეთი შეიცავს გიდოლინიუმის რამდენიმე ათას ატომს. ამ შემთხვევაში მკვეთრად იზრდება კონტრასტულობა. ამ პრეპარატებს კომპანია ამუშავებს მსოფლიო კონცერნებთან Philips Bristol-Myers Squibb თანამშრომლობაში.

როტული მოლეკულური კონტრასტული ნივთიერებები, რომლებიც შექმნილი არიან ნანოტექნოლოგიების საფუძველზე, ჯერჯერობით არ გამოდგა კლინიკურ პრაქტიკისათვის, მაგრამ უკვე დანერგულია მარტივი კონტრასტული ნივთიერებები რომლებიც შედგებიან რკინის ოქსიდის ნანონაწილაკებისაგან. ისინი უზრუნველყოფენ თირკმლების დაავადებების დიაგნოსტიკას.

### **in vitro დიაგნოსტიკა**

ექსპერტები მიუთითებენ, რომ ნანოტექნოლოგიები ხელს უწყობენ ბიოსენსორების რენესანსს, რადგან ისინი ხელს უწყობენ აბსოლუტურად ახალი სენსორების კონცეფციას. ნანოტექნოლოგიები **in vitro** დიაგნოსტიკაში ვითარდებიან ორი მიმართულებით: 1) ნანოტექნოლოგიების გამოყენება როგორც ბიოლოგიური მოლეკულების მარკერებისა და 2) ინოვაციური ნანოტექნოლოგიური გაზომვის მეთოდების გამოყენება. ფირმა Nanosphere შეიმუშავა ახალი დიაგნოსტიკური ტესტები ონკოლოგიური და ალცჰეიმერის დაავადებების და მუკოვისციდოზის აღმოსაჩენად. ამავდროულად იყო გამოცხადებული, რომ ახალი დიაგნოსტიკური ტესტი მუკოვისციდოზებისათვის ეღირება 10-ჯერ ნაკლები, ვიდრე დღეს არსებულები. ახალ ნანოსამედიცინო დიაგნოსტიკურ ტესტებს მიეკუთვნებიან აგრეთვე Cantilever SPR (ზედაპირული პლაზმური რეზონანსი) სენსორული სისტემები. Cantilever სპონსორი შედგება რამდენიმე ხელოვნურ სვეტისაგან სიგრძით რამდენიმე ათეული 200 მმკ და სისქით ნანომეტრებიდან მიკრომეტრამდე. სვეტებს ფარავენ დნმ-ის ან პროტეინების ფენით, რომლებიც სპეციფიკურად ურთიერთქმედებენ სინჯში არსებულ მიზნობრივ მოლეკულებთან. ამ ურთიერთქმედებას მიყავს სვეტი გადახრამდე, რომლის მოძრაობას იჭერს ლაზერული დეტექტორი. მრავალ ოპტიკურ მეთოდთან შედარებით Cantilever სენსორს აქვს ის უპირატესობა რომ მოლეკულები სინჯში არ თხოულობენ მარკირებას და ამის ხარჯზე დიაგნოსტიკის პროცედურა საგრძნობლად მარტივდება. SPR სენსორი იძლევა საშუალებას პროტეინებს შორის ან პროტეინებს და დნმ-ს შორის ურთიერთქმედების გაზომვას რეალური დროს რეჟიმში. ნანომატარებლის განსაკუთრებული განლაგების და შუქის არეკვლის სხვადასხვა ინტენსივობის გამოცდა დამოკიდებულია შრეში ბიომოლეკულების მასაზე. ამ ხელსაწყოებმა პოვეს დიდი გამოყენება სამედიცინო მასალათმცოდნეობაში.

### **იმპლანტანტები და ბიომასალები**

იმპლანტოლოგიამ ბოლო წლებში მიიღო იმპულსი ორგანოების და ქსოვილების ჩანაცვლებაში. მთელი რიგი ფირმებისა კარგახანია მუშაობენ ნანოკრისტალურ მასალებ-



თან და იმპლანტანტების ზედაპირების ჰიდროქსილაპატიტებით დაფარვაზე.

მეორე მეთოდი არის ნანოკრისტალური ალმასური საფარი, რომელიც ზრდის იმპლანტანტების ფუნქციონირებას და სტაბილურობას. ექსპერიმენტებმა აჩვენეს ალმასური საფარების კარგი ბიომეთავსებადობა. ნანოკრისტალური ჰიდროქსილაპატიტისაგან მასალები გამოიყენებიან ძვლის დეფექტების სამკურნალოდ და ამ დროს ნანოკრისტალური სტრუქტურის ხელშეწყობით ასეთ იმპლანტში ოსტეოგენეზისის პროცესში პრაქტიკულად შეჰყავს ხელოვნური მასალა ბუნებრივ ძვალში.

ახლა დაიწყო ნანოტექნოლოგიური მასალების კიდევ ერთი მიმართულების განვითარება - ნანობოჭკოები, მკვლევარები ფიქრობენ გამოიყენონ ისინი ხელოვნური ქსოვილების შექმნაში უჯრედოვანი ტექნოლოგიების საფუძველზე.

### დასკვნა

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისაწვდომად შევძელით გადმოგვეცა ახალი მეცნიერების ნანოტექნოლოგიის შესახებ და მის მედიცინაში და ფარმაციაში გამოყენების შესაძლებლობებზე. მაშასადამე, დღეს ეყრება ნანოტექნოლოგიის გამოყენების ფუნდამენტი პრაქტიკულად მედიცინის და ფარმაციის თითქმის ყველა სფეროში. ამავდროულად მიწოდების და *in vivo* დიაგნოსტიკაში ძირითადად იყენებენ ნანონაწილაკებს, როგორც აქტიური სამკურნალო ან კონტრასტული ნივთიერებების მიმტანად დაზიანებულ ორგანოებში ან სამიზნე-ქსოვილებში. ახალი აქტიური ნივთიერებები და მკურნალობის მეთოდები პირველყოვლისა ძლიერდება მოლეკულური ნანოსისტემების ფარმაცევტული პოტენციალით (დენდრიმერები, ფულერენები), მეორედ კი შეიძლება გამოყენებული იყვნენ ნანონაწილაკები კომბინაციაში მაგნიტური ველების, ლაზერული გამოსხივების, ულტრაბგერების და სხვა. სწრაფი ტემპებით ვითარდება თერმულ ან მექანიკურ მოქმედებებთან. სწრაფი ტემპებით ვითარდება *in vitro* ნანოტექნოლოგიური დიაგნოსტიკა; აქ გამოიყენება ნანოტექნოლოგიების ფართო არსენალი - მარკერებიანი ნანონაწილაკებიდან ბიოჩიპებამდე. ბიომასალების დამუშავების სფეროში მკვლევარების ყურადღება გადატანილია კვლავ ნანონაწილაკებისკენ, მათ შორის ნანოკრისტალებისკენ, რომლებიც უნდა აწიონ ახალ დონემდე თანამედროვე იმპლანტალოგია, ორთოპედია, სტომატოლოგია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Балабанов В. Нанотехнология наука будущего 2009г
2. Рыжанков Д.И., Левина В.В., Дзидзигури Э.Л. Наноматериалы 2009г
3. Пальцев М.Л. «Рамедиум» №9 2008г.
4. Егорова Е.М. Биологические эффекты наночастиц металлов / Е.М.Егорова, А.А.Кубатиев, В.И.Швец. - М.: Наука, 2014. - 350 с.





**ნანოტექნოლოგიები მედიცინასა და ფარმაციაში**

**ბუაძე ე.,\* აბდულაევა ს.,\*\* ფაილოძე ნ.,\*  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, \*  
ახერებაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი. ბაქო\*\*  
რეზიუმე**

სტატიას აქვს მიმოხილვითი ხასიათი. ჩვენ გვინდა მომდევნო კვლევებისათვის შევისწავლოთ მეცნიერებაში ახალი მიმართულება და როგორ გამოიყენება ის მედიცინაში და ფარმაციაში. დღეს ხდება ნანოტექნოლოგიების გამოყენების ფუნდამენტის ჩაყრა პრაქტიკულად მედიცინის და ფარმაციის ყველა სფეროში. ნაჩვენებია, რომ მიწოდების და დიაგნოსტიკის სისტემებში *in vivo* ამჟამად იყენებენ ნანონაწილაკებს, როგორც აქტიურ სამკურნალო ან კონტრასტული ნივთიერებების მატარებელს დაზიანებულ ორგანოებში და სამიზნე ქსოვილში. ახალი აქტიური ნივთიერებების და მკურნალობის მეთოდების შემუშავებაში პირველყოვლისა იყენებენ განსაკუთრებული მოლეკულარული მატარებლის ნანოსისტემის ფარმაცევტულ პოტენციალს, მეორედ კი შეიძლება გამოიყენონ ნანონაწილაკები მაგნიტური ველების, ლაზერული გამოსხივების, ულტრაბგერის და სხვა თერაპიული ან მექანიკური მოქმედებასთან კომბინაციაში. სწრაფი ტემპებით ვითარდება *in vitro* ნანოტექნოლოგიური დიაგნოსტიკა.: აქ გამოიყენება შესაძლო ნანოტექნოლოგიების ფართო არსენალი -დაწყებული ნანონაწილაკებიდან დამთავრებული მარკერებით ბიოჩიპებამდე. ბიომასალების შემუშავების დროს მკვლევარების ყურადღება კვლავ არის მიმართული ნანონაწილაკებისაკენ და მათ შორის ნანოკრისტალებისაკენ.

**NANOTECHNOLOGY IN MEDICINE AND PHARMACEUTICS**

**E. BUADZE, \* S. ABDULAEVA, \*\* N. PAILODZE,\***

**Akaki Tsereteli State University\*,  
Azerbaijan State Technological University. Baku\*\***

**Summary**

The paper is of a synoptic nature. We want to contextualize a new direction in science and how it is using in medicine and pharmaceuticals. Today, the foundations are being laid for using nanotechnology in almost all sectors of medicine and pharmaceuticals. It is shown that at this time, in the delivery and diagnosis systems *in vivo*, there are currently used nanoparticles as the carriers of the active therapeutic or contrast agent in the injured organs and target tissue. Pharmaceutical capacity of a of a specific molecular carrier’s nanosystem is the first thing that is being used in the development of new active agents and treatment methods, and then there can be used nanoparticles in combination with magnetic fields laser radiation, ultrasound and other mechanical and thermal effects. *in vitro* nanotechnology diagnostics is rapidly developing: here, there is being used a wide array of possible nanotechnology, from nanoparticles with markers to the biochips. When developing biomaterials, attention of researchers is focused again on nanoparticles, including nanocrystals.

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა



## სინთეზური ქსოვილების ბავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოების თვისებათა დასაშვები ნორმები

ნანა თხელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ნაშრომში საუბარია დღეისათვის მსოფლიოში სინთეზური ქსოვილების წარმოებაზე. სინთეტიკური ქსოვილების უარყოფით გავლენაზე ადამიანის ორგანიზმზე. ონკოლოგიურ და ნერვულ დაავადებათა ზრდის ფონზე მსუბუქი მრეწველობის ნაწარმში ელექტროსტატიკური მუხტის არსებობაზე და მის გავლენაზე ადამიანის ჯანმრთელობაზე.*

დღეისათვის მსოფლიო ბაზარზე ქსოვილების წარმოება ბოჭკოვანი შემადგენლობის მიხედვით განაწილებულია შემდეგი პროცენტული რაოდენობით: ბამბა-38.3%, სინთეტიკური - 43.3%, ხელოვნური 3.4%, სხვა სახის - 15%. როგორც ვხედავთ, ყველაზე უფრო მეტი რაოდენობით გამოიმუშავდება სინთეზური ბოჭკოები. ბუნებრივი ბოჭკოებიდან პირველ ადგილზე დგას ბამბისა და შალის ბოჭკოების წარმოება, ხოლო შემდეგ მოდის აბრეშუმი და სელის ბოჭკოები. რადგანაც საქართველოში ბოჭკოების წარმოება მინიმუმამდეა დაყვანილი, ამიტომ შემოტანილი ნაწარმი ძირითადად სინთეზური ბოჭკოებიდან არის წარმოებული. მსოფლიოში კი ასეთი ბოჭკოების მოხოვნილება პროცენტულად შემდეგნაირად არის გადანაწილებული: ჰიდროცელულოზური - 8.9%, აცეტატური - 3,8%, პოლიეფირული - 50%, პოლიამიდური - 17.9%, პოლიაკრილონიტრული - 10.7%, პოლიპროპილური - 8.9%.

დღეისათვის, როდესაც საქართველო მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ნაწარმის მწარმოებელი ქვეყნიდან გადაიქცა მომხმარებელ ქვეყნად, ქართულ ბაზარზე ბევრია უცხოური პროდუქცია და არსებობს მოსაზრება, რომ ისინი არც თუ საუკეთესო ხარიახისაა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო არ არიან, რაზეც საუბრობს საზღვარგარეთული პრესა. ჩვენს მომხმარებელს ძალზე უჭირს პროდუქციის ხარისხში გარკვევა, საჭირო დოკუმენტების არ არსებობის გამო. ხარისხისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს ის თუ რა მასალისაგან მზადდება და მუშავდება ნაწარმი. ნაწარმზე ამა თუ იმ თვისების მისანიჭებლად საჭიროა მისი დამუშავება ქიმიურ ნივთიერებებში, რომლებიც ზოგჯერ ჯანმრთელობისთვის მავნენი არიან. ასეთი მიმნიშნებელი ნიშანი ნაწარმს არ უკეთდება. ასეთი ნიშნები შემოაქვთ მხოლოდ კვების მრეწველობაში.



უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიოს მეცნიერების მხრიდან, სულ უფრო ხშირად, იმება საკითხი სინთეტიკური ქსოვილების ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად ზემოქმედების შესახებ.

ადამიანებს, რომელთაც აწუხებთ ალერგიული და კანის დაავადებები, მათთვის სინთეტიკური ქსოვილები დაუშვებელია, ხოლო დაავადებული ხარისხის ქსოვილებს, ხშირ შემთხვევაში, ჯანმრთელ ადამიანებშიც კი შეიძლება კანის დაავადებები გამოიწვიოს.

დამტკიცებულია, რომ სინთეზური ქსოვილები სერიოზულად საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურა, რომ სინთეტიკური სათეთრეულე ქსოვილები შეიცავს სოკოვანი მიკროორგანიზმების მაღალ კონცენტრაციას. ასეთითა და ალერგიული დაავადებების მქონე პირებისათვის ასეთი თეთრეული კიდევ უფრო საშიშია. უნდა აღინიშნოს, რომ სინთეტიკურ ბალიშებში სოკოვანი მიკროორგანიზმები 2-3-ჯერ მეტია, ვიდრე ბუმბულის ბალიშებში, ხოლო 5 წლის ლეიბებში, ასეთი ორგანიზმების რაოდენობა 3-ჯერ დიდია დასაშვებთან შედარებით.

ნივთებები, რომლებიც შედის სინთეზური ქსოვილების შემადგენლობაში, შეიძლება გამოიწვიოს გაღიზიანება, სხეულის სიწითლე, ქავილი, ასთმური შეტევები.

დღეისათვის ონკოლოგიური და ნერვულ დაავადებათა ზრდის ფონზე ძალზე აქტუალურია სინთეტიკურ ქსოვილებში ელექტროსტატიკური მუხტის არსებობა, რომლის სიდიდე დიდ გავლენას ახდენს ყველა სახის ბიოლოგიურ ორგანიზმზე. იგი უარყოფითად მოქმედებს არა მარტო მცენარეებსა და ცხოველებზე, არამედ ადამიანებზეც, რაკი ადამიანის ორგანიზმი ინდივიდუალურია, ელექტროსტატიკური მუხტი სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ძლიერ მგრძნობიარე ადამიანებში იწვევს ალერგიულ დაავადებებს და ნერვულ სისტემათა ფუნქციონალურ დარღვევას.

ბოლო წლების უცხოელი მეცნიერების გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ელექტროსტატიკური მუხტის დასაშვებზე მეტი სიდიდე უარყოფითად მოქმედებს ადამიანზე და იწვევს როგორც გულისა და სასუნთქი ორგანოების დაავადებებს, ასევე ონკოლოგიურ დაავადებებსაც.

დღეისათვის საკმაოდ დიდი მონაცემებია მოპოვებული იმისა, რომ ელექტროსტატიკური მუხტი უარყოფითად მოქმედებს იმუნურ სისტემაზე, რომელიც იწვევს იმუნური სისტემის დაქვეითებას, კერძოდ - ლიმფოციტების იმუნო დეფიციტს და შეიძლება არასპეციფიკური იმუნო გენების გაქრობაც კი გამოიწვიოს.

ელექტროსტატიკური მუხტი ფეხმძიმე ქალებში ნაყოფის (ემბრიონის) ანტისხეულების მომატებას იწვევს. ადამიანები ხშირად უჩივიან სისუსტეს, მალე დაღლას, ცუდად ძინავთ.

ინგლისელი მედიკოსების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ელექტროსტატიკური მუხ-



ტი უარყოფითად მოქმედებს ენდოკრინოლოგიურ სისტემაზე, იწვევს ზოგიერთი ადამიანის სისხლში ადრენალინის მომატებას.

საფეიქრო ქსოვილები გადამუშავებისა და ექსპლოატაციის პროცესში ურთიერთშეხების დროს მანქანის დეტალებთან თუ ადამიანის სხეულთან შეხების დროს, გამოიმუშავებენ ელექტროობის სტატიკურ მუხტს და უნარი აქვთ რეაგირება მოახდინონ გარეგან ელექტრულ ველზე. მუხტები ჩასაცმელიდან გადადიან ადამიანზე და წარმოქმნიან მასზე მუხტის პოტენციას, ამიტომ საფეიქრო ტილოებს, როგორც საყოფაცხოვრებო ასევე ტექნიკური დანიშნულებისას, წაეყენება განსაზღვრული მოთხოვნები ელექტრულ თვისებებთან დაკავშირებით. ყველაზე მეტი სტატიკური ელექტრონის გენერაცია სხეულის ზედაპირზე შეინიშნება ქლორინული, აცეტატური, ტრიაცეტატური, კაპრონის, ლავსანის და სხვა სინთეტიკური ბოჭკოებისა და ძაფების შემთხვევაში.

რადგანაც აღნიშნული მუხტები ადამიანში, განსაკუთრებით კი ბავშვებში იწვევენ სერიოზულ პათოლოგიებს: დიათეზს. ნერვულ ტიკებს, ამიტომ დარღვევის აღნიშნული სახე მიეკუთვნება ეკოლოგიურ სამართალდარღვევას.

ელექტოსტატიკური მუხტი წარმოიქმნება ქსოვილების ზედაპირზე და მისი სიდიდე და პოლარობა დამოკიდებულია ქსოვილის პარამეტრების ბოჭკოვან შემადგენლობაზე.

თუ განვიხილავთ ტანსაცმლის პაკეტს, ვთქვათ ბავშვის ქურთუკს, რომელიც შედგება სინთეზური ქსოვილის საზედაპირე მასალისაგან და პოროლონის მათბუნებელი შუასადებისაგან, მისი სარჩული აუცილებლად უნდა იქნეს ბამბის ქსოვილისაგან, ასეთ შემთხვევაში მუხტი არ გადავა სხეულის ზედაპირზე.

თუ სინთეზური ქსოვილი ეხება უშუალოდ სხეულს, მაშინ მასში წარმოქმნილი მუხტი აკუმულირდება სხეულში და იწვევს უკვე ჩამოთვლილ ნერვულ დაავადებებს და სხვა ფიზიოლოგიურ პათოლოგიებს.

ჩვენს მიერ დადგენილი იქნა ელექტროსტატიკური მუხტის სიდიდის დასაშვები ნორმები, შედეგები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 1

ნიმუშის სახე	ელექტრული მუხტი $E_v$ (ვ)	
	ИБ3-2 ხელსაწყოზე მიღებული შედეგები	ИБ3-3 ხელსაწყოზე მიღებული შედეგები
ვისკოზური შტაპელური ნართი	43,74	43,6
კაპრონის შტაპელური ნართი	52,25	52,3
კაპრონის კომპლექსური ნართი	87,04	87,0
შალის ნართი	51,36	51,3



აცეტატური შტაპელის ნართი	44,43	43,8
ორლონის შტაპელური ნართი	41,38	41,3
ვისკოზური ძაფი	43,04	42,8
აბრეშუმის ძაფი	27,53	27,4
ბამბის ნართი	23,32	23,2
დასაშვები ზღვრული ნორმა	45.0	

ამრიგად, აუცილებელია დაისვას საკითხი მომხმარებლის ტანსაცმლის ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოებისაგან დამზადების ასაკრძალავად; სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის სინთეზური ქსოვილები გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ ტანსაცმელში, რომელიც სხეულს არ ეხება; ნებისმიერ ხელოვნურ და სინთეზურ ტანსაცმელს გაუკეთდეს ბამბის ქსოვილის სარჩული, გათვალისწინებული უნდა იქნას ელექტროსტატიკური მუხტის დასაშვები ზღვრული ნორმა. ბავშვის ტანსაცმელში სინთეზური ბოჭკოს გამოყენებისას ქმედება ჩაითვალოს ეკოლოგიურ სამართალარღვევად და მასზე გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული ზომები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Кукин Г.Н., Соловьев А.Н. Текстильное материаловедение. М: легпромбытиздат, 1985,344 с.
2. Додонкин Ю.В., Кирюхин С.М. Ассортименти, свойства и оценка качества тканей. М., Легкая индустрия 1979г. 279с.
3. Соловьев А.Н., Кирюхин С.М. Оценка и прогнозирование качества текстильных материалов. – М: Легкая и пищевая промышленность, 1987,268 с.
4. ნანა თხელიძე - მონოგრაფია, „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის სამომხმარებლო თვისებები“, გამომცემლობა აწსუ, 2011 წ. 150 გვ.
5. Артемов А.В. Ольшевская С.В. - экологическая безопасность текмтильных изделия- 2003 г.

## SYNTHETIC TISSUE EFFECT ON HUMAN HEALTH OF SAFE PROPERTIES PRODUCT OF LIGHT INDUSTRY

### NANA TKHELIDZE

Akaki Tsereteli State University

#### Summary

The article deals with the production of synthetic tissues in the world today. Negative influence of synthetic tissues on the human body. On the background of the oncological and nervous diseases growth of light industry in the existence of electrostatic charge and its impact on human health.



**შინაარსი - CONTENT**

<b>NINO ABULADZE – ON SOME ISSUES OF USING GEORGIAN ZEOLITE IN PHARMACEUTICS _____</b>	<b>5</b>
<b>VLADIMER TSITSISHVILI, NANULI DOLABERIDZE, MANANA NIJARADZE, ATO MIRDZVELI – SYNTHETIC ZEOLITES FOR PRODUCTION OF BACTERICIDAL SORBENTS _____</b>	<b>8</b>
<b>KETEVAN GABUNIA, NINO ABULADZE, TAMAR KILADZE – STUDY OF THE FLAVONOIDS OF ROSEHIP GROWING IN WESTERN GEORGIA BY SPECTROPHOTOMETRIC METHOD _____</b>	<b>13</b>
<b>NATALIA MANDARIA – THE INSECT-PHARMACISTS AND USE OF INSECTS IN PHARMACOTHERAPY _____</b>	<b>17</b>
<b>შ.მ. ჩაკვეტაძე, მ.რ. ფრუიძე, ე.ბ. ბენდელიანი – ჩაის სასმელის ბამფიდრება მცენარეული ბიოაქტიური დანამატებით _____</b>	<b>23</b>
<b>მ.შ. მიქაბერიძე, ვ.რ. აკლაკოვი, თ.ს. ხუციშვილი – დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის განკუთვნილი დაბალკალორიული, დიეტური და ბიოლოგიურად აქტიური საკვების ცუკატიისა და ფუნქციონალური დანამატების წარმოების ინტენსიფიკაცია _____</b>	<b>28</b>
<b>თ.ს. ხუციშვილი, მ.შ. მიქაბერიძე, ვ.რ. აკლაკოვი – საქართველოს ბიომრავალფეროვანი ფლორიდან ფიტოპრეპარატის შერჩევა და ბიოტექნოლოგიური დამუშავება ქოვილთა რეგენერაციისა და ანთებითი პროცესების რეგულაციისათვის პრეპარატის რეცეპტურის მიღების მიზნით _____</b>	<b>34</b>
<b>ხუციშვილი თ.ს., ყიფიანი ნ.დ. – აბრუნდელულის – მწვანე ჩაის ექსტრაქტის ქიმიური პროცენტული შემცველობის დადგენა ქვედა კიდურის სისხლძარღვთა შევიწროების მკურნალობის მიზნით _____</b>	<b>37</b>
<b>ნანა ქათამაძე – მწვანე ჩაის სამკურნალო თვისებები _____</b>	<b>41</b>



ნინო აბულაძე – სამკურნალო მცენარეულ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების აღმოჩენისა და ბამოყოვანის მეთოდები	45
გონი ბაქრაძე-გურული – ზოგიერთი სამკურნალო მცენარე ოჯახურ პირობებში	50
ნ. კუპატაშვილი – ბენზილიზოქსინოლინის ალკალოიდების ურთიერთგარდაქმნა	55
<b>NINO ABULADZE, PAVEL IAVICH, MAKHA JAVAKHIA, KETEVANI GABUNIA, MANONI GABELASHVILI – NEW OINTMENT FOR TREATING MYCOSES AND THE RESULTS OF ITS STUDY</b>	<b>59</b>
<b>MZIA TSITSAGI, MARIAM CHKHAIDZE, MANANA BUZARIASHVILI, MIRANDA KHACHIDZE, GIORGI KANDELAKI, IMEDA RUBASHVILI, TSIURI RAMISHVILI, KETEVAN EBRALIDZE, VLADIMER TSITSISHVILI – UTILIZATION OF AGRO- INDUSTRIAL WASTES BY MODERN EXTRACTION METHODS</b>	<b>62</b>
მ. ბობეჯაშვილი, ნ. ივანიშვილი – ახალი რადიოფარმაცევტიკული პრეპარატების მიღების ბიოსამედიცინო პრობლემები	67
ლ. ჭურაძე, მ. კახეთელიძე, მ. ბაბუღია, ჯ. ანელი – სამკურნალო მცენარეების ბამოყენება კბილის უხვნილებებში	72
<b>N.B. ZHORZHOLIANI, K.D. AMIRKHANASHVILI, O.G. LOMTADZE, V.G.TSITSISHVILI – SYNTHESIS AND BIOLOGICAL POTENTIAL OF COORDINATION COMPOUNDS WITH ANESTHETIC PREPARATION</b>	<b>77</b>
მ. სალუქვაძე, ც. ბაბუღია, ლ. ჯაფარიძე, ნ. ოსიპოვა, თ. კვერცხაძე, ო. ლომთაძე – ანტიანემიური პრეპარატები ხელატური კომპლექსების საფუძველზე	81
<b>NATIA CHUBINIDZE, NINO ABULADZE, PAVEL IAVICH – ON THE POSSIBILITY OF DEVELOPING ANTIMICROBIAL AND ANTIFUNGAL REMEDIES WITHOUT THE USE OF ANTIBIOTICS</b>	<b>85</b>



<b>IRMA KIKVIDZE, NINO ABULADZE, PAVEL IAVICH – MINERALWATERS. THEIR USE IN COSMETICS AND COSMECEUTICS</b>	<b>91</b>
<b>M. JAVAKHIA – EXPLORATION OF BIOPHARMACEUTICAL ASPECTS OF SUPPOSITORIES WITH METHYLENE BLUE</b>	<b>100</b>
<b>MAKA JAVAKHIA – STUDIES OF THE STABILITY OF SOME COSMETIC PRODUCTS</b>	<b>105</b>
ტყემალაძე ბ.შ., ქვარცხავა ბ.რ., ქიტიანაშვილი ჯ.ბ., დავითაია ბ.შ., ძეგლაძე ს.წ., მურგანიძე ხ.ბ., დემეტრაშვილი მ.ა., ჭუმბურიძე ბ.კ., შუბითიძე ა.ი. – მცენარეული ინბრედიენტების ბამოყენებით ახალი სასურსათო პროდუქტების შემწენა მათთვის დაბალანსებული ენერგეტიკული, საბემოვნო და ფარმაცევტული თვისებების მინიჭების მიზნით	108
ბაბუღია მ., ცინცაძე თ., ბელოვანი ნ., მიშელაშვილი ხ., ღვინჯილია ს. – კოლდკრემების რეოლოგიური თვისებები	115
ღვინჯილია ს.ა., ცინცაძე თ. ბ., ბაბუღია მ.ა., იაჰიჩი პ.ა., მიშელაშვილი ხ.თ. – მცენარეთა მშრალი ექსტრაქტების ბამოყენება კოსმეტიკური მალამოების მისაღებად	119
ვ. რუხაძე, ი. ქამუშაძე, ნ. შალამბერიძე – აკნუს პრევენცია და მკურნალობა	123
<b>MALVINA TATVIDZE – SCIENTIFIC AND PRACTICAL SIGNIFICANCE OF THE RESEARCH OF IRON-RICH MEDICAL PLANTS</b>	<b>127</b>
მაღვინა თათვიძე, მაკა ჯავახია – რკინით მდიდარი მცენარეული პრეპარატის ბამოყენება რკინის დეფიციტის პრევენციის მიზნით	131
<b>IRMA KHUJADZE, VARINKA KHARATISHVILI – THE BENEFIT OF USING PLAFERON LB AND TREATING FENOVIN IN CHILDREN’S DENTISTRY</b>	<b>136</b>
<b>N. BARATASHVILI, M. SAMSONIA, N. ALAVIDZE, N. ABULADZE – ON THE ISSUE OF PHARMACOECONOMIC ANALYSIS OF AN ISCHEMIC STROKE IN THE BRAIN IN GEORGIA</b>	<b>139</b>





ბრპელიძე მ. ბ. – პროფესიულ დაავადებათა რისკები და პრევენციის საშუალებები \_\_\_\_\_ 145

**Z. VADACHKORIA, N. ABESADZE, N. FAILODZE – THE IMPACT OF THE PROCESSES OF KNITTING MEDICAL-PURPOSE KNITWEAR ON THE DEMANDS PLACED ON THEM BY MEDICINE \_\_\_\_\_ 153**

ნატო ფაილოძე, ზინაიდა ვადაჭკორია, სოფიკო შორჟოლიანი – ქირურგიული საკერი მასალის სიმტკიცის განსაზღვრა \_\_\_\_\_ 156

ნატო ფაილოძე, ზინაიდა ვადაჭკორია, სოფიკო შორჟოლიანი – ნედლეული სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟისთვის \_\_\_\_\_ 160

ბუაძე ე., აბდულაევა ს., ფაილოძე ნ., ფესტვენიძე თ., ბოჭორიშვილი რ. – სამედიცინო ტექსტილი - „ჭკვიანი“ მრავალფუნქციური ტექსტილი \_\_\_\_\_ 165

ბუაძე ე., აბდულაევა ს., ფაილოძე ნ. – ნანოტექნოლოგიები მედიცინასა და ფარმაციაში \_\_\_\_\_ 170

ნანა თხელიძე – სინთეზური ქსოვილების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოების თვისებათა დასაფუძვლი ნორმები \_\_\_\_\_ 177

თანამედროვე ფარმაცია  
მეცნიერება და პრაქტიკა